

ገጽ ገጽ ገጽ
ገጽ ገጽ ገጽ

ገጽ ገጽ ገጽ

1789

მომხმედი პირნი

ალფონს მერე, ფერარის ჰერცოგი.


ლენორა ესტე, მისი და.

ლენორა სანვიტალე, გრაფინია სკანდიანო.

ტორკვატო ტასო.

ანტონიო მონტეკატინო, სახელმწიფო მდივანი.

მოქმედება მიმდინარეობს ბელრიგუარდოში,
გასართობ ციხე-დარბაზში.



პირველი მოქმედება

პირველი გამოცვლა

ბაღის მოედანი, სადაც ეპიკოს პოეტთა ბიუსტები დგას. სცენის წინა მხარეს, მარჯვნივ, ვირგილიუსის ბიუსტი, მარცხნივ კი არიოსტოსი.

პრინცესა. ლეონორა.

პრინცესა

შენ მე ღიმილით შემომყურებ, ელეონორა,
ხან კი საკუთარ თავს დასცქერი და იღიმები;
რა დაგემართა? გაუმხილე მეგობარს შენსას!
ფიქრს წაუღიხარ, მაგრამ მაინც ხარ კმაყოფილი.

ლეონორა

ღიახ, პრინცესა, მიხარია, როდესაც ვხედავ,
რომ ვიმყოფებით ჩვენ ამ სოფლურ მყუდროებაში,
და, ვით ნამდვილად ბედნიერი მწყემსი ქალები,
ორნივე თავს ვიქცევთ უღარდელი საქმიანობით.

გვირგვინებსა ვწნავთ და ჩემს ხელში ეს თაიგული
სწრაფად იზრდება ყვაილებით ფერად-ფერადით.
შენს გონებას კი, ეგრეთ მაღალს, დიად გულს შენსას
ეგ მშვენიერი, ნაზი დაფნა შეჭყერის უფრო.

პ რ ი ნ ც ე ს ა

რტოები ესე, რომელნიც მე ფიქრის დროს დაეწან,
პპოვებენ მათთვის შესაფერის, ღირსეულ თავსა.
მე მათ დიდებულ ვირგილიუსს მიუძღვნი ჯილდოდ.
(გვირგვინით შეამკობს ვირგილიუსის ბიუსტს.)

ლ ე ო ნ ო რ ა

მე კი მსურს ლალი, თვალწარმტაცი ჩემი გვირგვინით
დიდ მასწავლებელს—ლუდოვიკოს შევუძგო შუბლი.
(გვირგვინით შეამკობს არისტოს ბიუსტს.)

მისი ხალისი საუკუნოდ უქცნობი რჩება,
გაზაფხულისგან დე მიიღოს თავისი წილი!

პ რ ი ნ ც ე ს ა

კარგად მოიქცა ჩემი ძმა, რომ ამ ლხენით სავსე,
წარმტაც დღეებში აქ, სოფელში. ჩვენ გამოგვგზავნა;
აწ შეგვიძლია საათობით მარტონი ვიყოთ
და ვიოცნებოთ პოეტების ოქროს ხანაზე.
ბელრიგუარდო მიყვარს ძლიერ; აქ გავატარე
ახალგაზრდობის დღეები მე, ძვირფასი მეტად,
და ეს სიმწვანე. ეგრეთ ნორჩი, ეს მზე ცხოველი
კვლავ მიბრუნებენ იმ დროს განცდილ საამო გრძნობას.

ლ ე ო ნ ო რ ა

დიახ, სულ ახალ სამყაროში აღმოვჩნდით ჩვენ აქ!
სასიამოვნოდ განფენილა ამ მარადმწვანე
ხეების ჩრდილი. აი, უკვე გვაგრილებს ისევ
ულამაზესი შადრევენების შრიალი ნელი;
ნორჩ. მაღალ რტოებს ფრთხილად არწევს დილის ნიავე
და ყვაილები სურნელოვან ლამაზ კვლებიდან
ბავშვის თვალებით მეგობრულად შემოგვცქერნიან.
ავერ, მებაღემ გაბედულად გაალო უკვე

ლიმონების და თურინჯების ორანჟერეა.
მალლა, ჩვენს ზემოთ, ლურჯი ზეცა გარინდებულა
და ცის კიდურზე თეთრი თოვლი შორი მთებისა
მჭიდად გაწოლილ ნისლებიდან ოდნავლა მოჩანს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ეს გაზაფხული მეც ძალიან გამახარებდა,
სეგობარ ქალს რომ არ მართმევდეს დადგომა მისი.

ლ ე ო ნ ო რ ა

სუ გამახსენებ ამ დიდებულ წუთებში მაინც,
რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა მალე გამოვეთხოვოთ!

პ რ ი ნ ც ე ს ა

რასაც აქ სტოვებ, მას იპოვი იქ ერთიორად,
იმ დიდ ქალაქში, სადაც წასვლას აპირებ ახლა.

ლ ე ო ნ ო რ ა

მოვალეობა, სიყვარული, მიხმობს მე ქმრისკენ,
მიმელის იგი, ასე დიდხანს მთენილი მარტო.
მიეუყვან თვის შვილს, ამ ერთი წლის განმავლობაში
ეგრე სწრაფად რომ გაიზარდა, დასრულდა უცებ,
და მსურს მამობლიურ სიხარულით დავატკბო იგიც.
ბრწყინვალე არის ფლორენცია და დიდებული,
მაგრამ ვერასდროს მის უაპრავ განძეულობას
ფერარის ძვირფას ქვების გვერდით ვერ დავაყენებ.
ნამდვილ ქალაქად ფლორენცია აქცია ხალხმა,
ხოლო ფერარა განადიდეს მთავრებმა მისმა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

უფრო მეტად კი იმ კეთილმა პიროვნებებმა,
აქ რომ მემთხვევით ერთურთს შეხვდნენ და დამეგობრდნენ.

ლ ე ო ნ ო რ ა

მაგრამ შემთხვევა თვის შეკრებილს ადვილად სთიშავს,
და მარტოოდენ კაცმა, დიდად კეთილშობილმა,
ირგვლივ რომ იკრებს თავისნაირ ადამიანებს,

თქვენსავით უწყის, ისინი ვით შეინარჩუნოს.
თქვენს ირგვლივ ვხედავ კეთილშობილ ადამიანებს,
თქვენი ოჯახის შესაფერის, და თვითონ თქვენაც
ღირსნი ხართ თქვენი დიდებული წინაპრებისა.
აქ, აქ აენთო ჭეშმარიტი მეცნიერების,
თავისუფალი აზროვნების ნათელი წმინდა,
როცა ჯერ კიდევ უმეცრების, ბარბაროსობის
მძიმე წყვედიდში ჩაფლულიყო მთელი ქვეყანა.
ბავშვსვე შესმოდა აქ ჰერკულეს ესტეს სახელი,
იბოლიტ ესტეს სახელიც მე მსმენია ხშირად.
თვით მამაჩემი ფლორენციის და რომის დარად
პატივსა სცემდა, აფასებდა ფერარას დიდად.
მე მუდამ აქეთ ვისწრაფოდი და აქ ვარ ახლაც,
სადაც პეტრარკას სიყვარულით გაუმასპინძლდნენ
და სადაც ჰპოვა არიოსტომ ნიმუშნი თვისი.
ვერ წარმოგვიდგენს იტალია ვერც ერთ დიდ სახელს,
ამ სასახლეს რომ ერთხელ მაინც არა სწვეოდეს.
სასარგებლოა გენიოსის მიღება სტუმრად,
რადგანაც იგი გაწეული მასპინძლობისთვის
უძვირფასესი საბოძვარით დაგვაჯილდოვებს.
სადაც ფეხს შესდგამს დიდებული ადამიანი,
წმინდა ადგილად რჩება იგი; ასეულ წლების
შემდგომაცა ჟღერს გენიოსის სიტყვა და საქმე,
შვილიშვილებს რომ საუკუნოდ გადაეცემა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ღიახ, ისინიც შენებრ ცხოვლად თუ გრძნობენ ამას;
დიდად შეენატრი, ძვირფასო, შენს ბედნიერებას.

ლ ე ო ნ ო რ ა

შენზე ფაქიზად, შენზე ნაზად არავინ ტკბება
ამგვარ სიკეთით, ამნაირი ბედნიერებით.
მსურს გულახდილად გითხრა, რასაც ვგრძნობ ასე ნათლად:
შენ უფრო უკეთ, უფრო ღრმად გრძნობ და მაინც სდუმხარ.
ვერ დაგაბრმავებს ბრწყინვალეა წამიერების,
ვერ მოგისყიდის კაცთა მახვილგონიერება
და შენს სმენასთან მლიქვნელობა დაშვრება ფუჭად.

მტკიცე, ურყევი არის შენი აზრი, გონება,
შეუცდომელი გემოვნებით ხარ აღჭურვილი.
შენ დიდებულად თანაუგრძნობ დიდებულს მუდამ,
რომელსაც, როგორც საკუთარ თავს, შეიცნობ წამსვე.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ეგრეთ უზომო პირფერობა არ უნდა მორთო
ესდენ ერთგული მეგობრობის სამკაულებით.

ლ ე ო ნ ო რ ა

არა, სწორია მეგობრობა, სამართლიანი.
მთელს შენს ღირსებას მხოლოდ იგი შეიცნობს ხოლმე.
თუნდაც დავუშვათ, რომ ბედსა და შემთხვევითობას
წილი მიუძღვით შენს აღზრდაში; ბოლოს და ბოლოს,
სათ ხომ შენ უკვე დაეუფლე, დაიმორჩილე.
შენა და შენს დას პატივსა გცემთ მთელი ქვეყანა,
ვით უღიადეს მანდილოსნებს ჩვენი დროისას.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ეგ სრულებითაც არ მალევეებს, ელეონორა,
როს დავფიქრდები, თუ რაოდენ არაჩანი ვართ;
თუ რამე ვიცით, ისიც მხოლოდ სხვების წყალობით.
მე ცოდნას ძველი ენებისას და ყოველივე
საუკეთესოს, რაც წარსულმა ჩვენ დაგვიტოვა,
დედაჩემს უნდა ვუმაღლოდე. მაგრამ ვერც ერთი
ქალიშვილი მას ღრმა ცოდნით და გონიერებით
ვერ შევედრებით. და თუ მაინც ერთი ჩვენგანი
მას უნდა ჰგავდეს, ჩემს დასა აქვს მეტი უფლება.
ძალმიძს იმაშიც დაგარწმუნო, რომ არასოდეს
მიმიჩნევია ჩემს ღირსებად, ჩემს კუთვნილებად
ის, რაც ბედისგან, ბუნებისგან მომნიჭებია.
როცა ყურს ვუგდებ მე გონიერ კაცთა საუბარს,
მიხარია, რომ ნათლად მესმის აზრები მათი.
გარდასულ დროის ადამიანს ეხება იგი,
მის გმირულ საქმეთ თუ რაიმე მეცნიერებას,
წინ რომ მიიწევს, ვითარდება გამოცდილებით,

ადამიანის სასარგებლოდ, ამაღლებს მასაც;
საითაც გინდა წარიმართოს ეს საუბარი,
ხალისით ვუსმენ და ყველაფერს ადვილად ვიგებ.
სიამოვნებით ყურს ვუგდებ მე ჭკვიანთა კამათს,
როს ძალ-ღონეზე, რომელიც გულს ადამიანის
ხან სიხარულით, ხან წუხილით აღელვებს მძლავრად,
საუბრობს ხოლმე ორატორი ენაწყლიანი;
როცა მთავართა დიდებისკენ გულხარბი სწრაფვა—
სამფლობელოთა გადიდების, გაფართოების
მასალას აძლევს მოაზროვნეს, როცა მახვილი
ქუა-გონება განსწავლული ადამიანის
გვამდიდრებს ცოდნით—უტყუარით, შეუცდომელით.

ლ ე ო ნ ო რ ა

ხოლო ამგვარი გონიერული საუბრის შემდეგ
მზვიდად ისვენებს ჩენი სმენა, გონება ჩენი,
როდესაც ლექსებს პოეტისას ხალისით ვისმენთ,
რომელიც სულში ჰარმონიულ ბგერებად გვადვრის
გრძნობას წარმტაცი, გულითადი სიყვარულისას.
ვრცელ სამეფოს ჰფლობს შენი დიდი, მაღალი სული,
მე კი მსურს ყოფნა, ხეტიალი დაფნების ჩრდილში,
ლამაზ კუნძულზე მომხიბლავი პოეზიისა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

როგორც გადმომცეს, ამ მშვენიერ, წარმტაც მხარეში
ყველაზე მეტად ხარობს მწვანე. ლამაზი ტვია
და თუ მუხებზე აქ ასევე მომრავლებულან,
მათ შორის ნაკლებ ეძიებენ სულის მეგობარს,
რომ მასთან ერთად სიხარული გაინაწილონ,
მაგრამ პოეტთან შეხვედრა კი სწყურია ყველას,
რომელიც ძალზე გვერიდება, გაგვირბის თითქოს,
თითქოს რალაცას ეძიებს სულ, რაც ჩვენ არ ვუწყით,
და თუ რას, იქნებ მან თვითონაც არ იცის კარგად.
მაგრამ თუ იგი წინ შემოგვხვდა ბედნიერ საათს,
მსწრაფლ მოხიბლული ჩვენ მიგვიჩნევს იმ ძვირფას განძად,
რასაც ამაოდ ასე დიდხანს ეძებდა ქვეყნად.

ლ ე ო ნ ო რ ა

უნდა როგორმე ავიტანო ხუმრობა შენი,
მან თუმცა დამქრა, მაგრამ გულში ვერ გამიარა.
ყველა ღირსეულ ადამიანს ვაფასებ დიდად
და ტასოს მიმართ მე ვარ მხოლოდ სამართლიანი.
რაწამსაც მიწას შეეხება ტორკვატოს მზერა,
მყისვე ბუნების ჰარმონიას ყურს უგდებს იგი.
რასაც იძლევა ისტორია, ცხოვრება ჩენი,
ყველაფერს ხარბად ეწაფება ტორკვატოს სული,
ცალკე დაფანტულს აკავშირებს გონება მისი,
თავისი გრძნობით აცოცხლებს ის უსულო საგნებს.
კეთილშობილს ხდის მისი მუხა, რაც ჩვენ გვგონია
ჩვეულებრივი, და ძვირფასად რაც მიგვაჩნია,
იგი ტასოსთვის წარმოადგენს არარაობას.
თავის დიდებულ სამყაროში დახეტილობს
ეს შეტისძეგად საკვირველი ადამიანი
და ჩვენაც გვიწვევს, მისი ბედი გაგიზიაროთ.
ახლოს მყოფი ჩანს, თუმცა ჩვენგან შორს არის მაინც.
თითქოს ჩვენ გვიმზერს, მაგრამ ალბათ მის წარმოსახვას
ჩვენს ნაცვლად სულნი საოცარნი ევლინებიან.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ნაზი ფერებით დახატე შენ ჩენი პოეტი,
ტკბილ ოკნებათა სამეფოში რომ ცხოვრობს მარად,
მაგრამ მე ვფიქრობ, სინამდვილეც ძლიერ იზიდავს
მას თავისაკენ, შეპყრობილი ჰყავს იგი მტკიცედ.
მშვენიერ ლექსებს, ხეებზე რომ ვპოულობთ გაკრულს
ხან აქ და ხან იქ, ჩვენ რომ ოქროს ვაშლებს მსგავსად
და თვით ახალი ჰესპერივით გვაფრქვევენ სურნელს,
არ სცნობ ნაყოფად ჭეშმარიტი სიყვარულისა?

ლ ე ო ნ ო რ ა

ეგ მშვენიერი ფურცლები მეც მახარებს დიდად,
თავის ლექსებით ის ადიდებს ერთადერთ სურათს,
თუმც მას უმღერის და გვიხატავს მრავალნაირად.
ხან გარემოსილს დიდებული შარავანდელით

ვარსკვლავებიან კაბადონზე ასტუორცნის იგი
და თეთრ ღრუბლებზე დამხობილი, ვით ანგელოზი,
დადუმებული მოწიწებით თაყვანს სცემს სურათს,
ხან წყნარ მდებლობე მას იღუმალ ფეხდაფეხ მისდევს
და ყოველ ყვავილს სურნელოვან გვირგვინში აწნავს.
როს განშორდება, იგი წმინდად მიიჩნევს ბილიკს,
რომელს შეეხო მისი ნაზი, ლამაზი ფეხი,
და, ვარდის ბუჩქში შემალული ბულბულის მსგავსად,
მწველ სიყვარულით შეპყრობილი სნეული მკერდით
აღმობეთქილი კვნესით ავსებს ჭალას და ჰაერა.
მისი წუხილი, მშვენიერი მელანქოლია
ყველას ყურს ხიბლავს და მას უნდა ყოველი გული...

პ რ ი ნ ც ე ს ა

და თუ ის თავის ძვირფას საგანს შეარქმევს სახელს,
მაშინ ტასო მას ლეონორას უწოდებს ალბათ.

ლ ე ო ნ ო რ ა

დიახ, როგორც მე, ლეონორას შენც გიწოდებენ.
ძღაერ საწყენად ჩავთვლიდი, სხვა სახელი მერქვას.
დიდად მახარებს, რომ შენდამი მოპართულ გრძნობას
ამ ორაზროვან სამოსელში ფაქიზად მალავს.
კმაყოფილი ვარ, ამ სახელის ძვირფას ბგერების
გახსენებისას, თუკი იგი მეც მომიგონებს.
აქ საკითხავი როდი არის ის სიყვარული,
რომელიც ცდილობს დაეუფლოს განუსაზღვრელად
თვას სატრფიალო საგანსა და ეჭვით აღსავსეს
სურს ააცილოს დანარჩენთა უბოლო მხერაც.
როდესაც მისი ნეტარებით დამთვრალი თვალი
აღსავსე არის მარტოოდენ შენი ღირსებით,
იქნებ ჩემს მსუბუქ არსებითაც თავს იქცევს ხოლმე.
მას არ ვუყვარვართ, — მომიტევეთ, ამას რომ ვამბობ! —
ყველა სფეროდან ირჩევს იგი, რაც ძლიერ უყვარს
და ყოველივეს ერთ სახელქვეშ აერთიანებს,
რომელიც გვექვია ჩვენ ორივეს, და თავის გრძნობას
იგი ორივეს გვინაწილებს; ჩვენ კი გვეგონია
გვიყვარს ის, როგორც მამაკაცი, და ნამდვილად კი

ეტრფით მის გრძნობას უზენაესს მხოლოდ და მხოლოდ,
რაც შეიძლება იყოს ღირსი სიყვარულისა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ღრმად ჩასწვდომიხარ ამ მშვენიერ მეცნიერებას;
ელეონორა, ლაპარაკობ იმგვარ საგნებზე,
რომელნიც თითქოს მოისმინეს ყურებმა მხოლოდ
და სრულებით ვერ შეაღწიეს სიღრმეს სულისას.

ლ ე ო ნ ო რ ა

ნუთუ მოწაფეს პლატონისას არ ესმის მართლა,
რისაც ტიტინებს ახალბედა განუსწავლელი?
შესაძლო არის რაიმეში ვცდებოდე ძლიერ,
მაგამ, თუ ვცდები, კარგად ვიცი, არცთუ სავსებით,
არა, როდი ჰგავს სიყვარული თავგასულ ყმაწვილს, —
ასე გვასწავლის დიდებული პლატონის სკოლა, —
არამედ ჰაბუკს, ვინც პსიქეა შეერთო ცოლად
და ვისაც ღმერთთა სამსჯავროში თავის ხმა ჰქონდა.
მკერდიდან მკერდზე როდი დაძრწის ის შმაგი ვნებით,
არ ეტრფის მხოლოდ ის ხორციელ მშვენიერებას,
უუტკბილესი ნეტარებით გადაცდენილი,
და წამიერი გატაცება მას არ უჯდება
სიძულვილის და წყენის გრძნობით მონანიებად.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ჩემი ძმა მოდის. ნურაფრით ნუ შევამჩნევიანებთ,
თუ რა საგნისკენ გადუხვია ბაასმა ჩვენმა.
ნულარ გავხდებით ახლაც მისი დაცივნის მსხვერპლი,
როგორც ამ დილით უცნაური სამოსის გამო.

მ ი ო რ ა ბ ა მ ო ს ვ ლ ა

იგივენი. ალფონსი.

ა ლ ფ ო ნ ს ი

ტასოს დავეძებ და ველარსად ვერა ეპოულობ,
თვითონ ამ ბაღშიც, თქვენს შორისაც, მას ველარ ვხედავ.
თქვენ ხომ არ ძალგიძთ, რომ მაცნობოთ ამბავი მისი?

ლ ე ო ნ ო რ ა

შენ ყოველივეს გააკეთებ, თავადო, მისთვის,
როგორც აქამდე ასე დიდად ზრუნავდი მასზე.
სიმართლევში ყალიბდება პოეტის ნიჭი,
მტკიცე ხასიათს ის ცხოვრების ლელვაში იძენს.
ო, ნეტავი მან თავის სული და ნიჭის ძალა
დაუმორჩილოს ნებას შენსას, წარმართოს ისე,
რომ იგი აღარ გაურბოდეს ადამიანებს
და მისი დიდი უნდობლობა, ექვიანობა
არ იქცეოდეს სიძულვილად და შიშის გრძნობად.

ა ლ ფ ო ნ ს ი

ადამიანებს იგი უფრთხის. ვინც მათ არ იცნობს,
და ვინც მათ უფრთხის. იგი მათ ვერ გაიცნობს მიღე-
ასეა ტასოც; მისი სული თავისუფალი
ხდება ტყვექმნილი, იბორკება თანდათანობით.
ხშირად ის ჩემი წყალობისთვის ზედმეტად ზრუნავს,
იმაზე მეტად, ვიდრე ჰფერობს. მრავალთა მიმართ,
რომელნიც ვიცო, მისი მტრები სულ არ არიან,
შეპყრობილია უნდობლობით. მოხდება ხოლმე,
დაჰკარგავს წერილს რომელიმეს. ანდა მსახური
მას მიატოვებს, სხვას უდგება მოსამსახურედ,
ხანაც ველარსად ვერ პოულობს რაიმე ფურცელს,—
წამსვე მიაწერს იგი ამას განზრახვას, ლალატს
და ვერაგობას, მისი ბედის ძირის გამომთხრელს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ძვირფასო ძმაო,
თავს ვერ დააღწევს კაცი თვითონ თავის ხასიათს!
როცა ფეხს იტყენს მეგობარი, ვინც ჩვენთან ერთად
მოსეირნობდა, ნუთუ ჩვენ არ მოვუკლებთ ნაბიჯს,
ხელს არ გავუწვდით სიყვარულით?

ა ლ ფ ო ნ ს ი

უკეთესია,
დაუყოვნებლივ თუ მიემართავთ გამოცდილ ექიმს,
ფეხს გაუკურნავთ, მისი სწორი რჩევის თანახმად.

და განკურნებულ მეგობრითურთ, საესენი ლხენით,
წინ გაეწვეთ მაშინ ჩვენ ახალი ცხოვრების გზაზე.
მაგრამ, ძვირფასო, იმედი მაქვს. არ დამპირდება,
რომ აღვასრულო მასთან მკაცრი დოსტაქრის ვალი.
რაც ღონე შენწევს, ყოველივეს ვაკეთებ. მის გულს
სიმშვიდისა და ნდობის გრძნობა რომ ჩავუნერგო.
ხშირად, მრავალი ქვეშევრდომის თანადასწრებით,
ვუცხადებ ტასოს ჩემს აშკარა წყალობას ხოლმე,
თუკი რაიმე საჩივრით მე მომმართავს იგი,
დაუყოვნებლივ ვიწყებ საქმის გამოძიებას,
როგორც ეს ვქენი, როდესაც ამ ცოტახნის წინათ
ტასოს სჯეროდა, რომ გატეხეს მისი ოთახი.
თუ არაფერი აღმოჩნდებოდა, მე მაშინ მშვიდად
ვუხსნი, ვუმარტავ, ჩემი აზრით, რაშია საქმე.
ბევრი რამ უნდა განმოსცადოს, ისწავლოს კაცმა,
მეც ცდას არ ვაკლებ, მოთმინებას მის მიმართ ვსწავლობ,
რადგანაც იგი იმსახურებს ყველაფერ ამას.
და თქვენც, ვიცო, რომ ამ საქმეში მიდგეხართ მხარში;
მე თქვენ სოფელში მოგიყვანეთ და ამ საღამოს
ისევე ქალაქში დაგბრუნდები. აქ ერთის წამით
თქვენ ანტონიოს ინახულებთ. იგი რომიდან
მოემგზავრება და აქედან თან წავიყოლებ.
მრავალ საქმეზე უნდა ერთად მოვითათბიროთ,
ბევრი საკითხი გვაქვს სასწრაფოდ გადასაწყვეტი.
უნდა წერილნი შევადგინოთ და დავაგზავნოთ.
ყველა ამისთვის მე მჭირდება ქალაქში წასვლა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ნებას გვიბოძებ, გაგაცილოთ, ძვირფასო ძმაო?

ა ლ ფ ო ნ ს ი

დარჩით აქ, ბელრიგუარდოში, გაისეირნეთ
კონსანდოლისკენ, ისარგებლეთ ამ მშვენიერი
დღეებით, დატყბით ბუნებით და თავისუფლებით.

პ რ ი ნ ც ე ს ა

არ შეგიძლია ჩვენთან დარჩე და საქმეები
აქაც ისევე მოაგვარო, როგორც ქალაქში?

ლ ე ო ნ ო რ ა

მაშ შენ ახლავე თან წაიყვან ანტონიოსაც? —
მას ხომ ბეჭდი რამ რომზე უნდა მოეთხრო ჩვენთვის!

ა ლ ფ ო ნ ს ი

არა, ძვირფასო, არ გამოვა ეს საქმე ასე.
მაგრამ ჩვენ მალე დაებრუნდებით, როგორც კი შევქალებთ.
მაშინ მოვითხრობთ ანტონიო და თქვენ კი უნდა
ხელი შემოწყობოთ — ღირსეული მიეუზღოთ ჯილდო
იმ კაცს, ვინც ჩემთვის ამდენს წვალობს, ესოდენ იღწვის.
მაშინ კი, როცა ლაპარაკით გულს მოვიჯერებთ,
დაე გვეწვიოს მშვენიერი გუნდი ქალ-ვაჟთა,
რომ ჩვენს ბაღებში კვლავ შეიჭრას მხიარულება;
რომ მეც ღამეთა სიგრილეში, ხეების ჩრდილში
ხალისით შევხვდე, თუკი ვპოვებ, მშვენიერ ასულს.

ლ ე ო ნ ო რ ა

ვით მეგობრები, ჩვენ ამ ამბავს თქალს ავარჩევთ.

ა ლ ფ ო ნ ს ი

მეც ღმობიერად მოგეპყრობით სამაგიეროდ.

პ რ ი ნ ც ე ს ა

კარგა ხანია ვხედავ აქეთ მომავალ ტასოს,
იგი ნელ-ნელა მოაბიჯებს, ჩერდება უცებ,
თითქოს ორქოუობს, ვერა ბედავს, შემდეგ კი ისევ
ჩქარი ნაბიჯით მოდის ჩვენსკენ და კვლავ ჩერდება.

ა ლ ფ ო ნ ს ი

ხელს ნუ შეუშლით ოცნებაში, როს იგი ფიქრობს,
თავი ანებეთ, დაე მარტომ იხეტიალოს!

ლ ე ო ნ ო რ ა

არა, მან უკვე დაგვინახა, აქეთკენ მოდის.

მ ე ს ა მ ე ბ ა მ ო ს ვ ლ ა

ი ვ ი ე ნ ი, ტ ა ს ო

ტ ა ს ო (პერგამენტშემოკრული წიგნით)

არც ვჩქარობდი წარმოდგენას ჩემი შრომისას
და ახლაც ვთრთი, როდესაც მას შენს ხელს ვაბარებ.
სე კარგად ვიცი, ჯერ არ არის დასრულებული,
თუმც გარეგნულად იგი თითქოს სრულქმნილი მოჩანს.
დიდადა ვწუხდი გადმომეცა ამგვარი სახით,
მაგრამ ახალი საზრუნავი გაუჩნდა ჩემს გულს:
არ მიგეჩნიე ცრუ. უმაღურ ადამიანად.
და ვით კაცს ძალუძს მხოლოდ ეს თქვას: „მეც თქვენთანა ვარ!“
თვისი ძვირფასი მეგობრების გასახარებლად,
მეც შემოძლია გითხრათ ოდენ: „მიიღე შრომა!“
(გადასცემს შრომას).

ა ლ ფ ო ნ ს ი

ჩარიგ მანციფრებ ამ საჩუქრით, ძვირფასო ტასო.
ეს მშვენიერი დღე მიქციე დღესასწაულად.
აი, მე უკვე ხელთ მიპყრია ბრწყინვალე შრომა
და შემოძლია მას ვუწოდო აგრეთვე ჩემიც!
დიდხანს ვუცდიდი მე ამ წუთებს, რომ წარმოგეტქვა
შენ გაბედულად: „აი, უკვე მე დავამთავრე!“

ტ ა ს ო

თუ თქვენ ბრძანდებით კმაყოფილი, მაშინ მეც ძალმიძს
ჩავთვალო იგი სრულყოფილად, დამთავრებულად,
რადგან ყოველი მნიშვნელობით თქვენი იგი.
როცა ვუმზერდი ჩემს მუყაით, დაუმცხრალ შრომას,
თვალს ვადევნებდი ჩემი კალმით გავლებულ პუქარებს,
შეჰქედლო მეთქვა: „ეს ჩემია, ქმნილება ჩემი!“
მაგრამ თუკი ჩვენ ყოველივეს გავსინჯავთ კარგად,
რაც მას ანიჭებს ღირსებას და ღირებულებას,
გამოგიტყდებით, რომ ის შეგქმენ თქვენი წყალობით.
თუმცა ბუნებამ პოეზიის ზეგარდმო ნიჭით
ესდენ გულუხვად, მეგობრულად დამაჯილდოვა,
მაგრამ ჯიუტმა, ცვალებადმა ბედნიერებამ

ჩამომიშორა, ხელი მკრა მე სასტიკი ძალით:
როცა სამყარომ დიდებული მშვენიერებით,
თავის სიუხვით მოიტაცა ბავშვის თვალები,
მოულოდნელად დააბნელა გონება ყრმისა
ძვირფას მშობელთა გაჭირვებამ, უბედურებამ.
რაწამსაც მე ნაზ სასიძლეროდ გავხსნიდი ბავეს,
მისგან მაშინვე იფრქვეოდა მწუხარე ჰანგი
და დავკენსოდი დაბალი ხმით, ძლივს გასაგონად,
ჩემი დედ-მამის მწუხარებას, სევდას და ნალევლს.
ამ გაჭირვებულ ცხოვრებიდან მხოლოდ შენ ერთმა
გამომიყვანე, მაზიარე თავისუფლებას,
თავიდან ამხსენ ყოველგვარი ფიქრი და ზრუნვა,
რომ შესძლებოდა ვაჟკაცური სიმღერა ჩემს სულს
და, თუ ჩემს შრომას აქვს რაიმე ღირებულება,
მას თქვენ გიმადლით, რადგან ის თქვენ გეკუთვნით მხოლოდ.

ა ლ ფ ო ნ ს ი

ახლა ორმაგად იმსახურებ ყოველგვარ ქებას,
ჩვენც და შენს თავსაც ესდენ კრძალვით პატივი დასდე.

ტ ა ს ო

შემეძლოს მაინც ვთქვა, თუ როგორ ცხოვლად გრძნობს გული,
რომ ეს შევექმენი მარტოოდენ თქვენი წყალობით.
პოეტად როგორ იქცეოდა უქნარა ბიჭი,
როგორ შესთხზავდა ამ სიმღერებს, ამგვარ ქმნილებას?
განა მან თვითონ მოიგონა ცხარე ბრძოლათა
ბრძნული წარმართვა, ხელოვნება მედგარი ომის,
გარკვეულ დროს რომ გამოავლენს ყოველი გმირი?
სარდალთა სიბრძნე და მხედართა გამბედაობა,
სიცბიერისა და სიფხიზლის მუღმივი ბრძოლა,
ეს ყოველივე შენ თვითონვე არ შთამაგონე,
ბრძენო მთავარო, გულოვანო ადამიანო,
და თითქოს იქვე ჩემს გენიად, ვისაც ჰგვრის შვებას,
რომ ყოველივე დიადი და მიულწიველი
რაც კია მასში, გაამჟღავნოს მოკვდავის ენამ?

პ რ ი ნ ც ე ს ა

მამ დატკბი შრომით, რომელიც ჩვენ დიდად გვახარებს!

ა ლ ფ ო ნ ს ი

და გაიხარე მოწონებით კეთილი ხალხის!

ლ ე ო ნ ო რ ა

გულს გიხარებდეს განდიდება საყოველთაო!

ტ ა ს ო

ქმყოფილი ვარ, მეგობრებო, ამ ძვირფას წამის.
როდესაც ვთხზავდი, მარტოოდენ თქვენზე ვფიქრობდი,
მოგწონებოდათ — ეს მინდოდა მხოლოდ და მხოლოდ,
დამტკბარიყავით — შეადგენდა ჩემს გულწრფელ მიზანს.
ვინც მეგობრებში არა ხედავს თავის ქვეყანას,
ღირსი არ არის, რომ ქვეყანამ გაიცნოს იგი.
აქ არის მხოლოდ ერთადერთი სამშობლო ჩემი
და ის წრე, სადაც სიხარულით ძალმიძს მე ყოფნა.
მე აქ ყურს ვუგდებ ყოველ სიტყვას: გამოცდილება,
ცოდნა, ფაქიზი გემოვნება საუბრობს ჩემთან
და ჩემს წინა ღვას მთელი აწმყო და მომავალი.
უმეტარი ბრბო ხელოვან კაცს აშინებს ხოლმე
და ვინც თქვენებრ გრძნობს, ყოველივე თქვენსავით ესმის,
მხოლოდ მან უნდა განსაჯოს და გაილოს ჯილღო!

ა ლ ფ ო ნ ს ი

როს წარმოვიდგენთ ჩვენ აწმყოს და მომავალს თვალწინ,
უმოქმედობა, უქმად ყოფნა როდილა გვმართებს.
აი, იქ ვხედავ მგონისათვის ღირსეულ ნიშანს,
რომელს თვით გმირი მოწიწებით უცქერის ხოლმე,
ის ამკობს შენი დიდებული წინაპრის შუბლსა.
(მიუთითებს ვირგილიუსის ბიუსტზე.)

იგი შემთხვევამ მოიტანა თუ გენიოსის
შეკვადვმა ხელმა? სულ ერთია, ტყუილუბრალოდ
არ მოჩანს ის აქ. მე ხმა მესმის ვირგილიუსის:
„რად სცემთ მკვდრებს პატივს? მათ თავიანთ სიცოცხლეშივე

მიიღეს ჯილდო, სიხარული იგემეს დიდი.
თუ ჩვენ გვიტყვიანთ გაოცებით, გვაფასებთ ასე,
მაშინ მიუხლეთ თქვენ ცოცხლებსაც თავისი წილი;
დიდი ხანია, რაც ჩემს ქანდაკს გვირგვინი ამკობს.
მწკანე რტოები ცოცხალ მგოსანს ეკუთვნის უფრო!
(ანიშნებს თავის დას. იგი ვირგილიუსის ბიუსტს გვირგვინს მოხსნის
და მიუახლოვდება ტასოს. ტასო უკან დაიწევს.)

ლ ე ო ნ ო რ ა

უარს აცხადებ? აქ შეხედე, თუ ვისი ხელი
გთავაზობს შენ ამ უქნობს გვირგვინს, ესოდენ ლამაზს!

ტ ა ს ო

ცოტა მაცალეთ, გონს მოვიდე! ჯერ ვერ მივმხვდარვარ,
როგორ ვიცოცხლო ამ ბედნიერ წუთების შემდეგ.

ა ლ ფ ო ნ ს ი

იცოცხლე და ამ დიდებული ჯილდოთი დატკბი,
ახლა რომ გზარავს მისი ხილვის პირველი წამი.

პ რ ი ნ ც ე ს ა

რა დიდ სიხარულს მანიჭებ მე, ძვირფასო ტასო,
აწ შემიძლია უხმოდ ვითხრა, რასაცა ვფიქრობ.

ტ ა ს ო

მე მუხლმოყრილი მივიღებ ამ მშვენიერ ჯილდოს,
შენი ძვირფასი ხელისაგან ბოძებულს ჩემთვის.
(მუხლს მოიყრის, პრინცესა თავზე გვირგვინს დაადგამს.)

ლ ე ო ნ ო რ ა (ტაშის ცემით)

ვაშა, დიდება ამ პირველი გვირგვინით შემკულს!
რა დიდებულად შეენის იგი თავმდაბალ ვაჟკაცს!
(ტასო ადგება.)

ტ ა ს ო

წაიღეთ იგი, ამაცალეთ თავიდან ისევ!
შორს, მომაცილეთ! თმის კულულებს ცეცხლივით მიწვავს.
როგორც მზის სხივი, ანაზღად რომ დამეცა თავზე,
აუტანელი სიმხურვალით შემეჭრა ტვინში
და ამოშანთა აზროვნების ყოველი ძალა.
თითქოს შემიპყრო შეცარმა ციებ-ცხელებამ...
გახოვთ, მომიტევოთ! ო, ეს უკვე მეტისმეტია!

ლ ე ო ნ ო რ ა

პირიქით, ეს რტო უფრო იცავს თავს იმ კაცისას,
ცინაც დიდების ცხელ ქვეყნებში დახეტილობს,
გახურებულ შუბლს ის გრილ სიოდ მოხედება ახლა.

ტ ა ს ო

ღირსი როდი ვარ, რომ ვიგრძნო მე მაგვარი სიო,
მან უნდა მხოლოდ გააგრილოს შუბლი გმირისა.
ასწიეთ იგი და წაიღეთ ღრუბელთა შორის,
დიდო ღმერთებო, რომ თანდათან მაღლა და მაღლა,
ზეცის ლაჟვარდში დასცურავდეს მიუწვდომელი,
რომ მე ამ მიზნის მისაღწევად სულ ვისწრაფოდე
და ჩემს ხეტიალს არასოდეს მოედოს ბოლო.

ა ლ ფ ო ნ ს ი

ვინც მოიხვეჭა ამ ცხოვრების სიკეთე ადრე,
მხოლოდ მას ძალუძს დააფასოს ღირსება მისი;
ვინც ამ სიკეთით ადრე დატკბა, თავისი ნებით
როდი დასტოვებს, რასაც ერთხელ ის დაეუფლა.
და ის კი, ვინც ჰფლობს, უნდა იყოს ყოველთვის ფხიზლად.

ტ ა ს ო

მაშინ ის უნდა მკერდში გრძნობდეს უძლეველ ძალას,
რომელიც მუდამ თანამგზავრი იქნება მისი.
მე კი დამტოვა, მიღალატა მან სწორედ ახლა,
ამ ბედნიერ წამს. მოთმინებით ვიტანდი წინათ

უბედურებას და ამაყად ვხვდებოდი ხოლმე
ადამიანთა გულქვაობას, უსამართლობას.
იქნება დიდმა სიხარულმა ან აღტაცებამ
მე ამ წანიისამ წარმიხოცა სახსრებში ძალა?
მუხლთ მეკეცება უღონოდ ქმნილს. ხედავ, პრინცესა,
მეტი არ ძალმიძს, კვლავ ვემხოები მე შენს წინაშე!
გთხოვ, შეიწყნარო ჩემი აჯა — გვირგვინი ამხსენ!
რომ ამ მშვენიერ სიზმრასაგან მსურაფლ გამოვფხიზლდე
და ისევ ვიგრძნო განახლებულ სიცოცხლის ძალა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

რადგანაც ძალგის ასე მშვიდად და მოკრძალებით
ატარო ნიჭი, ზეცისაგან გარდმოვლენილი,
მამინ ისწავლე შენ ტარება ამ რტოებისაც,
მათზე ლამაზი ჩვენ არ ძალგვის გიბოძოთ რამე.
რაკი შეეხნენ ღირსეულ თავს ისინი ერთხელ,
ილივლივებენ მის გარშემო ყოველთვის, მარად.

ტ ა ს ო

ნება მიბოძეთ დარცხვენილი წავიდე თქვენგან
და წუნარ ჭალაში სიხარული დაეფარო ჩემი,
სადაც ვმალავდი მე ოდესღაც ჩემს მწუხარებას;
მე იქ მარტოს მსურს ხეტიალი; ვერ მომავონებს
ვერც ერთი თვალი იმ უზომო ბედნიერებას,
ღირსი რომლისაც მე არა ვარ, ძვირფასნო ჩემნო.
და თუ ანკარა ნაქადულის წმინდა სარკეში
მე დავინახავ დაფიქრებით მჯდომარე ვაჟკაცს
მწვანე, ახოვან ხეებსა და სალ კლდეთა შორის
თვალისწარმტაცი, საოცარი გვირგვინით შემკულს
მომეჩვენება, თითქოს ვხედავ ელიზიუმის
ჯადოსნურ ველებს, ჩემთვის ჩუმად ვიკითხავ ასე:
ვინ არის იგი? ნუთუ ყრმაა გარდასულ დროთა,
ეს მშვენიერი გვირგვინი რომ აღვია თავზე?
რა ჰქვია ამ ყრმას? თუა ღირსი ამ გვირგვინისა,
პასუხს დავუცდი დიდხანს მდგარი და გავიფიქრებ:
დავ მეორეც და მესამეც მოვიდნენ მასთან!

ოი, ნეტავი ვიხილავდე გარდასულ დროის
გმირებს, პოეტებს, შეერთებულთ ამ წმინდა ჩქერში
ისევე მტკიცედ, განუყრელად დაკავშირებულთ,
როგორც ყოფილან სიცოცხლეში ისინი წინათ.
ერთ ანდამატი აკავშირებს თავისი ძალით
რკინას რკინასთან, შეაწებებს ერთმანეთს ხოლმე.
ასე აერთებს ერთი სწოაფვა გმირსა და პოეტს.
თავისი თავი დაავიწყდა ჰომეროსს თურმე,
მთელი სიცოცხლე ორ გმირ ვაჟკაცს უქვერეტდა მხოლოდ
და აღექსანდრეც მიისწრაფის ელიზიუმში,
რომ მალე ჰპოვოს აქილევსი და ჰომეროსი.
ნეტავ მეხილა მეც ისინი, დიადნი სულნი,
ახლა აქ ერთად, დავმტკებარიყავ იმათი მხერით.

ლ ე ო ნ ო რ ა

გამოიღვიძე! გამოფხიზლდი! ნუ გვაგრძნობინებ,
რომ ირგვლივ მყოფნი, შენი აწმყო მთლად დაგავიწყდა.

ტ ა ს ო

არა, მე აწმყომ განმადიდა და ამამალა;
მათგან შორს მყოფი ვჩანვარ მხოლოდ, აღტაცებული
ვარ მე აწმყოთი!

პ რ ი ნ ც ე ს ა

მიხარია, როცა სულგებთან
გაიბამ ბაასს, რომ საუბრობ ჩვეულებრივი
ადამიანის ენით, და მეც ხალისით გისმენ.
(შემოდის პაეი და ჰერცოგს რაღაცას ჩუმად მოახსენებს.)

ა ლ ფ ო ნ ს ი

ის ჩამოვიდა! გამოცხადდა მარჯვე დროს სწორედ!
ანტონიო! შემოვიდეს! აგერ, ის თვითონ!

მეოთხე გამოცვლა

იგივენი. ანტონიო.

ალფონსი

კეთილი იყოს, ანტონიო, ჩამოსვლა შენი!
კარგი ამბები მოგაქვს ჩვენთვის.

პრინცესა

ჩვენც გესალმებით.

ანტონიო

ძლივს ვბედავ ვითხრათ, თუ რა დიდი სიამოვნებით
აღმეგსო გული, როდესაც თქვენ გიხილეთ კიდეც.
აქ, თქვენს წინაშე, ყოველივე ხელახლა ვპოვე,
რასაც ვიყავი მოკლებული მე ასე დიდხანს.
კმაყოფილი ხართ, როგორცა ჩანს, ყველაფერ იმით,
რაც გავაკეთე, აღვასრულე.—ძვირფასი ჯილდოც
ესაა სწორედ ჩემი ცდისა, ჩემი შრომისა,
მძიმე ლოდინში დაკარგული მრავალი დღისთვის.
შკვე ყველაფერს მივალწიეთ, რაც კი ჩვენ გესურდა,
ძველისძველ დავას სამუდამოდ მოვიღო ბოლო.

ლეონორა

მეც გესალმები, ანტონიო, თუმც გული მომდის,—
იმ დროს ჩამოხველ, როცა უნდა მე გავემგზავრო.

ანტონიო

მაგით ამცირებ აგრეთვე ჩემს ბედნიერებას,
რადგანაც წასვლით მართმევ შენ მის უღიდეს ნაწილს.

ტასო

და მეც აგრეთვე. სიახლოვე ადამიანის,
ვისაც ბევრი რამ განუცდია, მე დიდად მარგებს.

ანტონიო

გულახდილს მპოვებ, თუ ოდესმე გულს გადამიწლი.
და ჩემი სულის სამყაროში ჩახედვას შესძლებ.

ალფონსი

თუმცა წერილით ყველაფერი მაუწყე უკვე,
რაც გააკეთე. მაგრამ მინდა ზოგი რამ გკითხო,
რანაირი გზით მიაღწიე ამ წარმატებას.
ო, იმ საოცარ ნიადაგზე ყველა ნაბიჯი
უნდა ყოველთვის გამოზომო ძალიან კარგად,
რომ მიგიყვანოს შენს საკუთარ მიზანთან ბოლოს.
ვინც თავის მეფის ერთგულია, მას დიდად უჭირს
რომში რაიმეს მიაღწიოს, რადგან მას შენგან
ყველაფერი სურს და თვითონ კი არაფერს გაძლევს.
თუკი რაიმეს სათხოვნელად მივა იქ კაცი,
გწამდეს, არაფერს არ ძისცემენ, მაგრამ თუ ძღვენით
გამოცხადდება, ბედნიერი იქნება დიდად,
თუ ცოტაოდენ რამეს მაინც მიიღებს იგი.

ანტონიო

ჩემი ცდითა და ოსტატობით როდი მომხდარა,
რომ აღვასრულე, მბრძანებლო, სურვილი შენი.
რომელი ბრძეხი არა ჰპოვეს იქ მასწავლებელს?
ჩვენს სასარგებლოდ ბევრი რამე გაერთიანდა.
წმინდა გრიგორი გიგზავნის შენ გულითად სალამს.
ლოცვა-კურთხევას, და ძალიან დიდად 'გათასებს!
ღირსი მოხუცი, გვირგვინით თავდაშემიშებული,
ფიქრობს იმ დროზე, სიხარულით აღსაყვს წუთზე,
როდესაც იგი გულსხურვალედ გადაგეხვევა.
კაცი, ვინც ასე კარგად იცნობს ადამიანებს,
დიდი ღირსებით გიხსენიებს, გაყენებს მაღლა.
ბევრი რამ უკვე გააკეთა გრიგორიმ შენთვის.

ალფონსი

დიდად მახარებს, თუ აქვს ჩემზე კეთილი აზრი,
და თუ ნამდვილად გულწრფელია. მაგრამ შენ იცი,
რომ ვატიკანი ზიზლით დასცქერს სახელწიფოებს,
მის ფერხთქვეშ გახრთხმულთ, ვასაღებად გადაქცეულებს,
და მით უმეტეს თავადებს და უბრალო მოკვდავთ.
მხოლოდ ეს მითხარ, რამ გიმგელა ყველაზე მეტად?

ანტონიო

რაკი ასე გსურს—მაღალია გონება პაპის.
იგი მიიჩნევს მცირეს მცირედ და დიდს კი დიდად,
რომ ამით ქვეყნად იმბრძანებლოს, თავის მეზობლებს
უთმობს ყოველთვის მეგობრულად, სიამოვნებით.
თუ იგი გაძლევს ერთ ერთ თავის მოსაზღვრე მხარეს,
მან იცის შენი მეგობრობის ნამდვილი ფასი.
უნდა დამშვიდდეს იტალია, გრიგორის ნებავს,
თაკის მეზობლებს მეგობრულად ხედავდეს მუდამ,
მტკიცე მშვიდობა ქვეყნის საზღვრებს შეუნარჩუნოს.
რომ ძალა ქრისტეს ეკლესიის, რომელს ის მართავს,
შიშის ზარს სცემდეს თურქებსა და ერეტიკოსებს.

პრინცესა

რომელ ხალხს სწყალობს რომის პაპი განსაკუთრებით,
ვის აჯილდოებს იგი თავის ნამდვილი ნდობით?

ანტონიო

ყურს უგდებს იგი მარტოოდენ გამოცდილ ვაჟაკს,
მხოლოდ საქმიან ადამიანს ენდობა იგი,
ის, ვინც სიყრმიდან მსახურობდა სამეფო კარზე.
ახლა იმავე სახელმწიფოს განაგებს თვითონ
და განაგებს იმ სამეფოებს, რომელნიც წინათ
უნახავს, როგორც ელჩს თუ დესპანს, იცნობდა კარგად
და თავის ჭკვიანე წარუმართავს სურვილი მათი.
მთელ ქვეყანას სქვრეტს მისი მზერა ისევე ნათლად,
ვით სასარგებლო ინტერესებს თავის კარისას.
სუყველა აქებს, ვინც უტკერის მის მოკმედებას,
და სიხარულით ელის იმ დროს, როდესაც პაპი
გაამხელს, რასაც ამზადებდა თავისთვის დიდხანს.
უფრო ლამაზი სანახავი არა არის რა,
ვიდრე ხელმწიფე, ვინც სამეფოს ბრძნულად განაგებს,
ქვეყანა, სადაც სიამაყით მორჩილებს ყველა
თავის მბრძანებელს და ყველას სწამს, რომ საკუთარ თავს
ემსახურება მარტოოდენ, რადგან სიმართლის,
მხოლოდ სიმართლის აღსრულება აქვს ნაბრძანები.

ლეონორა

ნეტავ ეგ მხარე ერთხელ მაინც მანახა თვალით.

ალფონსი

აღბათ იმისთვის, მის მართვაში რომ ჩაერიო?
უბრლო ნახვას ლეონორა როდი ინებებს!
ჩემო ძვირფასო, მგონი ცუდი არ იქნებოდა,
რომ დიდ თამამში ჩვენც შევქვდებდეთ ჩარევას ზოგჯერ
ნახი ხელებით... მეგობარო, არ ვამბობ მართალს?

ლეონორა (ალფონსს)

გსურს გამაბრაზო, მაგრამ მაგას შენ ვერ მიაღწევ.

ალფონსი

ამ მხრივ დიდად ვარ შენგან უკვე დავალებული.

ლეონორა

სამაგიეროდ, დღეს ხომ შენი მოვალე ვრჩები.
გთხოვ, მომიტევაო, ხელს ნუ უშლი შეკითხვებს ჩემსას!
თუ გააკეთა მან ბევრი რამ ნათესაუთათვის?
(ანტონიოს)

ანტონიო

როგორც შეჭფერის, არც მეტად, არც ნაკლებად მასზე.
ქვეყნის მბრძანებელს, ვისაც თავის ნათესავეებზე
არ უყვარს ზრუნვა, თვითონ ხალხი გაჰკიცხავს ხოლმე.
დამშვიდებით და ზომიერად იცის გრიგორიმ
თავისიანთა სასარგებლო საქმის კეთება,
რის სანაცვლოდაც ისინი მას უდგანან მხარში.
სახელმწიფოსთვის მამაცურად იღწვიან ხოლმე
და ერთი ზრუნვით იხდიან ორ მოვალეობას.

ტასო

მფარველობს იგი ხელოვნებას, მეცნიერებას,
ვით ეს იცოდნენ ძველი დროის დიდმა მთავრებმა?

ანტონიო

მეცნიერებას პატივსა სცემს, ის მასში ხედავს
ხალხთა გაცნობის, ქვეყნის მართვის საშუალებას.

დიდად აფასებს ხელოვნებას, რადგანაც რომი მისი შეწევნით შემკობილა, განდიდებულა და ამ ქალაქის ტაძრები და სასახლეები გადაქცეულა მთელი ქვეყნის საკვირველებად. უსაქმოდ ყოფნას ვინ გაბედავს გრიგორის გვერდით, უნდა იღწვოდეს, მსახურობდეს ყოველი კაცი.

ა ლ ფ ო ნ ს ი

მაშ შენ ფიქრობ, რომ დაევამთავრებთ ამ საქმეს მალე და რომ ისინი საბოლოოდ აქა-იქ კიდევ აღარავითარ დაბრკოლებას არ შეგვიქმნიან?

ან ტ ო ნ ი ო

დავიბნეოდი მეტისმეტად, რომ ჩვენი დავა შენი სახელის, ზოგიერთი შენი წერილის დახმარებითა და შეწევნით მე მაშინვე არ გადამეწყვიტა სამუდამოდ.

ა ლ ფ ო ნ ს ი

ვლოცავ ამ დღეებს, მათ ჩემთვის მოაქვთ წარმატება, ბედნიერება. ჩემი საზღვრები გაფართოვდა და მომავალში ისინი უფრო გამტკიცდება. ყველაფერ ამას შენ ხმლის გარეშე მიაღწიე და მოქალაქის გვირგვინს ნამდვილად იმსახურებ. ჩვენმა ქალებმა მუხის ფოთლებით უნდა ახლავ შეგიძკონ შუბლი. შენს ჩამოსვლამდე გამამდარა მე ტორკვატომაც, ჩვენთვის დაიპყრო პალესტინის ქალაქი უკვე და შეარცხვინა მით ახალი საქრისტიანო. დიდი მხნეობით, სიბეჯითით, ხანგრძლივი შრომით მიაღწია მან ამ შორეულ, ამ დიად მიზანს და ამიტომაც ხედავ ახლა მას გვირგვინოსანს.

ან ტ ო ნ ი ო

შენ ამიხსენ ეს გამოცანა, ორ გვირგვინოსანს გაოცებულმა აქ მოავლისას შევაველე თვალი.

ტ ა ს ო

რაკი შენ ხედავ ჩემს უზომო ბედნიერებას, შე ვისურვებდი, რომ ვხილა ამავე მზერას ასე დარცხვენა, შემფოთება ჩემი სულისა.

ან ტ ო ნ ი ო

უკვე ცნობილი არის ჩემთვის დიდი ხანია, რომ უსაზღვროა მისი ჯილდო. შენ ალფონსისგან მიიღე ის, რაც მიუღია ყოველ მისიანს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

როდესაც ნახავ, როს გაიცნობ ტასოს ქმნილებას, მაშინ მიხედები, მოვქცეულვართ მის მიმართ მხოლოდ სამართლიანად, ზომიერად. ჩვენ ვართ პირველი ჩემი მოწმენი იმ გულწრფელი აღტაცებისა, რომლითაც ხედება მის ქმნილებას მთელი ქვეყანა, მომავალი კი მას ათჯერ მეტს მიუზღავს ქებას.

ან ტ ო ნ ი ო

საკმარისია მისთვის უკვე. რომ თქვენ აღიდებთ, რაკი იწონებთ, აქ ვის ძალუძს გამოოქვას ეჭვი? მაგრამ მითხარით. ვინ შეამყო, რომელმა დასწნა არიოსტოსთვის ეს გვირგვინი?

ლ ე ო ნ ო რ ა

აი, ამ ხელმა.

ან ტ ო ნ ი ო

რა კარგი არის, რა ლამაზი! რარეგად შეგნის, ვერ შეამკობდა მას თვით დაფნის ფოთლები ასე! როგორც ბუნება თვის შინაგან სიმდიდრეს ჰფარავს მწვანე, ფერადი სამოსელით, სწორედ ამგვარად თავის წარმტაცი შინაარსით მოიცავს იგიც ყველაფერს, რაც ხდის ადამიანს ღირსს ჭეშმარიტი პატივისცემის და ნამდვილი სიყვარულისა. კმაყოფილება, გონება და გამოცდილება, ძლიერი სული, გემოვნება, ნათელი აზრის ცხოველი სწრაფვა ჭეშმარიტ სიკეთისაკენ მის სიმღერებში ესდენ ცხოვლად გვევლინებიან,

აყვავებულ ხეთა ჩრდილში რომ ისვენებენ,
 გადაფარულნი თვალისწარმტაც ყვავილთა ფიფქით,
 შემკულნი ვარდის გვირგვინებით, როჩელთ გარშემო
 ლალად დაჰქრიან ამურები ჯადოსნურ ცეკვით.
 სიუხვის წყარო მორაკრავებს იქვე, მათ ახლო,
 და ვხედავთ ჩვენ შიგ მოლივლივე მშვენიერ თევზებს.
 იშვიათ ფრინველთ დაუფარავთ ცა გამჭვირვალე,
 უცხო ფარებს კი მოყვავილე მდელი და ქალა.
 იშვილბახობა, შემალული მწვანე ბუჩქებში,
 ჩუმაღ იციანის, იქვრიტება და აყურადებს,
 ხოლო ოქროსფერ ღრუბლებიდან დროგამოშვებით
 სიბრძნის მალალი მეტყველება მოისმის ხოლმე.
 ამასობაში უგნურება ხმატკბილ ბარბითზე
 ცდილობს გამოსცეს თითქოს შმაგი, ველური ბგერა,
 მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს ზომიერებას.
 ის, ვინც გაბედავს გამოვიდეს ამ კაცის გვერდით,
 მარტო ამისთვის არის უკვე გვირგვინის ღირსი.
 მომიტყვეთ, თუ აღტაცებამ შემიპყრო ისე,
 რომ აღარ ვუწევ აქ ანგარიშს დროსა და ადგილს,
 რას ვლაპარაკობ, მე თვითონაც არ ვიცი კარგად,
 რადგან ამ მგოსნებს, ამ გვირგვინებს, ესოდენ ლამაზს,
 და საზეიმო სამოსელსა მშვენიერ ქალთა
 მე გადაყვევარ ჩემთვის ფრიად უცხო მხარეში.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ის ვინც აფასებს ერთის ნიქს და დამსახურებას
 ესოდენ კარგად, მკორესაც ვერ დაივიწყებს.
 ოდესმე ტასოს სიმღერებშიც გვიჩვენებ ალბათ,
 რასაც თუმც ჩვენც ვგრძნობთ და რაც მხოლოდ შენ გესმის
 ნათლად.

ა ლ ფ ო ნ ს ი

წამო, წავიდეთ, ანტონიო. ბევრი რამ კიდევ
 მსურს დაწვრილებით გამოგკითხო, რაც ასე ძლიერ
 მაინტერესებს, რის შემდეგაც ჩვენს მანდილოსნებს
 დაუბრუნდები მზის ჩასვლამდე. წამო! მშვიდობით!
 (ანტონიო გაჰყვება ალფონსს, ტასო—მანდილოსნებს.)

მეორე მოქმედება

პირველი გამოცემა

დ ა რ ბ ა ზ ი

პ რ ი ნ ც ე ს ა. ტ ა ს ო.

ტ ა ს ო

ტურფა პრინცესა, შენს ნაბიჯებს გაუბედავად
 მოყვები უკან და ჩემს სულში ათასი აზრი
 ირევა ერთად, ჰქმნის შფოთსა და უწესრიგობას.
 ასე მგონია: სიმარტოვე ხელს მიქნევს თითქოს
 და მეგობრულად ჩამჩურჩულებს: აქ მოდი, ტასო,
 ახლად აღძრულ ექვთ მე გავფანტავ შენი გულისას.
 მაგრამ როგორც კი თვალს შევავლებ შენს ლამაზ სახეს,
 რა წამს ყურს მოვკრავ მაგ ბაგეთაგან წარმოთქმულ სიტყვას,
 ჩემს ირგვლივ წამსვე ახალი დოე გამოანათებს
 და ჩემი სულის ბოჯილებიც მსწრაფლ იმსხგრევიან.
 გამოგიტყდები გულახდილად, კაცმა, რომელიც
 მოულოდნელად გვეწვია ჩვენ, ძალზე უხემაღ
 გამომაფხიზლა მშვენიერი სიზმრებისაგან;
 მისმა არსებამ, მსჯელობამ და სიტყვებმა მისმა
 ისე საოცრად შემაძრწუნა, რომ ახლა უფრო,
 კიდრე ოდესმე, გაორებას გრძნობს ჩემი სული,
 შფოთავს, მღელვარებს და საკუთარ თავს ებრძვის ისე.

პ რ ი ნ ც ე ს ა

შეუძლებელი არის, ტასო, რომ მეგობარი,
 ვინც ასე დიდხანს ცხოვრობდა შორს, უცხო მხარეში,

პირველ წუთშივე, როს კვლავ გვნახავს, ჩვენ მოგვეჩვენოს
იმგვარი სახით, როგორც ის გვიხილავს წინათ.
სულ ოდნაეადაც არ შეცვლილა ბუნება მასი.
დაე ჩვენ მასთან ორიოდ დღე დავეოთ მხოლოდ,
აეწყობიან კვლავ ნელ-ნელა სულის სიმები
და მმეცნიერი ჰარმონია მათ შეაერთებს.
ანტონიო კი, როცა უფრო კარგად გაიგებს,
რაც გააკეთე შენ ამ დროის განმავლობაში,
უდავოა, რომ დაგაყენებს იმ მგოსნის გვერდით,
ვისაც ის ახლა, ვით გოლიათს, გიპირისპირებს.

ტასო

ჩემო პრინცესა, არიოსტოს ქება-დიდებად,
მის ბაგეთაგან წარმოთქმულმა, არ შეუტაცხყო,
მან უფრო მეტად გამახარა, მასიამოვნა.
სანუგემოა, როცა გვესმის იმ კაცის ქება,
ვინც ჩვენს წინა დგას დიდ ნიმუშად, დიდ მაგალითად.
ჩვენ მეკვიძლა საიდუქლოდ ასე ვთქვათ გულში:
თუ შენ მაღწევ, მოიხვეჭ მის ღირსების ნაწილს,
მის დიდებასაც უსაუფოდ გაინაწილებ.
ო, არა, რამაც ჩემი გული მთლიანად შესძრა
და რითაც ახლა ჩემი სული მთლად აღვსებულა,
ეს არის სახე იმ ქვეყნისა, რომელიც ასე
დაუღალაუად, სწრაფად ბრუნავს მოკვდავთა შორის
ყველაზე დიდი და ქვეყანი კაცის გარემო
და შეუკვლელად, მყობრად მისდევს ბოლომდე იმ გზას,
რომელზეც მუდამ უთითებს ეს ნახევარღმერთი.
ხარბად ვისმენდი ცხოვრებაში გამოცდილ კაცის
რწმენით აღსავსე, მტკიცე სიტყვებს. მაგრამ, რაც მეტხანს
ვუსმენდი მე მათ, ვმცირდებოდი უფრო და უფრო
საკუთარ თვალში, —მეშინოდა, არ გავმქარალიყავ,
ვით კლდეთა ექო, მთლიანად არ დავკარგულიყავ,
როგორც ბგერების უმაქნისი გამოძახილი.

პრინცესა

შენ კი გვეროდა, ცხოვლად გრინობდი ამ ცოტა ხნის წინ,
თუ რარიგ მჭიდრო კავშირშია პოეტი გმირთან

და სულ ერთმანეთს ეძიებენ ისინი ქვეყნად.
მაშ რადლა უნდა შურდეთ იმათ ერთურთის ბედი?
თუმც დიდებული არის საქმე, ღირსია ქების,
მაგრამ ასევე მშვენიერი არის, როდესაც
სიმღერის ძალით მას გადასცემ მთამომავლობას.
დასჯერდი იმას, რომ ამ მცირე სახელმწიფოდან,
რომელიც ასე მეგობრულად გმფარველობს ახლა,
ძიანის მსველლობას დამმკიდებით აღევნო თვალი.

ტასო

აქ არ ვიხილე მე პირველად, გაოცებულმა,
მამაცებს როგორ დიდებულად აჯილდოებენ?
როცა მოვედი თქვენთან ბიჭი გამოუცდელი,
შეუწყვეტელმა ნადიმმა და ასპარეზობამ
თქვენი ფერარა მსწრაფლ აქციეს ღირსების ცენტრად.
ო, რა დიადი იყო იგი სანახაობა!
ფართო მოედანს, სად წარმტაცი მშვენიერებით
რაინდთა მარჯვე სიმამაცე უნდა გვეხილა.
წრე შემორტყმოდა, რომლის მსგავსსაც მზე ხელმეორედ
ნათელს ვერ მოჰფენს ასე მალე, ასე იოლად.
იქ ისხდნენ მაშინ მმეცნიერი მანდილოსნები
და ჩვენი დროის დიდებულნი უპირველესნი.
დიდებულთ კრებულს გაოცებით შევავლე თვალი.
აშკარად ჩანდა, რომ ისინი აქ წარმოგზავნა
ერთმა სამშობლომ, ირგვლივ ზღვებით გარემოცულმა.
ისინი ერთად შეადგენდნენ დიად სამსჯავროს —
ღირსების, ღვაწლის, სიმამაცის მსაჯულს პირუთვნელს.
რომ ჩამოგველო მათს რიგობში, ვერა პპოვებდი
იქ ისეთ ვინმეს, შეერცხვინა მეზობლად მყოფი,
ბოლოს დაიწყო დიდებული ასპარეზობა:
მერნები მიწას ტორსა სცემდნენ გაფიცებულნი,
ზეცას ბინდავდა მუზარადის და ფარ-ხმლის შუქი,
ერთიმეორეს აწყუებოდა მრავალი პაეი.
და ჰა, ჰკრეს ბუქსაც და შუბების დაჯახებისგან
გაისმა უცებ ფარ-ჩაქანთა გუგუნ-ზრიალი.
ამდგარი მტვერი იმწამშივე გადაეფარა
გამარჯვებულთა სახელსა და ძლეულთა სირცხვილს.

ო, ნება დამრთე, ეს ბრწყინვალე სანახაობა არ გავიხსენო, დავიწყების დავუმვა ფარდა, რომ ამ მშვენიერ, ამ ღიადებულ, ამ ლამაზ წამში მწვავედ არ ვიგრძნო საკუთარი არარაობა.

პ რ ი ნ ც ე ს ა

თუ იმ წრემ, ეგრეთ დიდებულმა, და იმ გმირობამ ასეთ შრომისთვის აგანთო და აღგაფრთოვანა, იმავე დროში მეც შემედლო, ყრმა მეგობარო. რომ შენთვის მშვიდი მოთმინება მესწავლებინა. რე არ მინახავს ის ზეიმი, ასპარეზობა, რომელთაც ძლიერ აღიღებ შენ, რასაც მასუკან დიდხანს აქებდა ჩემს წინაშე ათასი ენა. წყნარ აღგიღს, სადაც ძლიერ აღწევდა უკანასკნელი გამოძახილი იმ ზეიმის, იმ სიხარულის, მე მიხდებოდა ამეტანა მწვავე ტკივილი, გულში ჩამეხმო ბევრი ფიქრი, სუკდის აღმძვრელი. დამფარფატებდა თავს სიკვდილის მწუხარე ლანდი და მთლად ჰფარავდა ჩემს თვალთაგან სიცოცხლის იმედს. მხოლოდ ნელ-ნელა იწყო ჩემგან ჩამოცილება და ნება მომცა, ვით მარმამში, ძლიერ გამერჩია ჭრელი ფერები სიცოცხლისა, თუმც ისევ მკრთალი. მაგრამ უდიდეს სიტკბოების მომნიჭებელი. ისევ ვიხილე ამ სიცოცხლის მოძრავი ფორმა. მაშინდა ავდექ მე სიკვდილის სარეცელიდან და სეფე ქალთა დახმარებით გამოველ გარეთ, როს ლუკრეცია, ხალისით და სიცოცხლით სავსე. მოვიდა ჩემთან, მოგიყვანა შენ ხელგაყრილი. შენ იყავ იგი, ვინც შემომხვდა ყველაზე უწინ ჩემთვის უცნობი და ახალი სიცოცხლის გზაზე. ჩვენთვის მე მაშინ ბევრი რამე ჩავითქვი გულში და იმ იმედმა დღემდე არც ეოთს არ გვიღალატა.

ტ ა ს ო

და მე კი, ხალხის ხმაურისგან გაბრუნებული, დაბრმავებული უჩვეულო ბრწყინვალეებითა, აღელვებული უამრავი ვნების ქარიშხლით,

წყნარი სასახლის დერეფანში ნელი ნაბიჯით დადუმებული მოვდიოდი შენი დის გვერდით, როცა ოთახში შემოვედი, სადაც უეცრად სეფე ქალებზე დაყრდნობილი გამოგვეცხადე, — ეს იყო ჩემთვის დიდებულნი, ნეტარი წამი. ო, მომიტევე! ვით შეპყრობილს გიჟურ ოცნებით წმინდა ლუთების სიახლოვე დაიხსნის ხოლმე, ასე მეც ჩემი ყოველგვარი ფანტაზიისგან, ყველა სწრაფვისგან, ყველა ყალბი გატაცებისგან დანახვისთანვე მსურათულ განმკურნეს შენმა თვალებმა. და თუ მანამდე ათასეულ საგანთა მიმართ გავფლანგე მწველი ვნებები და სწრაფვა გულისა, გონს გადამკდარი ჩემს ჰკუაზე პირველად მოველ, ეკანი ღირსება ქეშმარიტი სიყვარულისა. ასე ამოოდ ეძიებენ ზღვის ფართო ფსკერზე ძვირფას მარგალიტს, წყნარად რომ სთვლემს მშვიდ ნიჟარაში, უცხო თვალთაგან დაფარული, შეუმჩნეველი.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ეჰ, მაშინ ჩვენთვის იწყებოდა ნეტარი ჟამი; ჩემი და რომ არ წაეყვანა ურბინოს ჰერცოგს, გავატარებდით შეუმჩნეველად მშვიდნიერ დღეებს. ახლა კი, ჩვენდა სამწუხაროდ, დიდად გვაკლია მახვილი ჰკუა, გული, მხნე და სიცოცხლით სავსე, და ლალი სული სიყვარულის ღირსი ქალისა.

ტ ა ს ო

ეს ვიცი მხოლოდ ძალზე კარგად, რომ იმ დღის შემდეგ, რაც ის წავიდა ამ კუთხიდან, ვერავინ შესძლო მისი აღგიღის დაკაება, გართობა შენი. ო, რარიგ ძალზე მისერავდა გულს ეს ამბავი და რაოდენჯერ ტკივილს ჩემსას, ჩემს მწუხარებას ვუზიარებდი მე მშვიდ ქალას, მოეთქვამდი შენზე. ნუთუ, ვამბობდი, მხოლოდ დას აქვს იმის უფლება, რომ პრინცესასთვის ესოდენ ბევრს ნიჟნავდეს იგი? ნუთუ არ არის ღირსეული არც ერთი გული, რომ მას პრინცესა მინდობოდა? არავინ არის

აღამიანი თანამსგავსი მისი სულია?
ნუთუ მთლად გაჰქრნენ გონების და გრძნობის პატრონნი?
და ნუთუ ქალი ერთადერთი, რა მშვენიერიც
იგი არ უნდა ყოფილიყო, მისთვის ყველაფერს
წარმოადგენდა? მომიტევეთ, ჩემო პრინცესა!
მაშინ მე ზოგჯერ ჩემს თავზედაც ვუიქრობდი, მსურდა,
რომ გამეწვია სამსახური შენთვის მცირედი,
ძალზე მცირედი სამსახური, მაგრამ რაიმე...
ღიახ, მინდოდა, არა სიტყვით, არამედ საქმით
მეჩვენებინა, ეს გული რომ შენ გეკუთვნოდა.
მაგრამ ამას ვერ მივალწიე და ძალზე ხშირად
შეცდომით იმას ვაკეთებდი, რაც გულს გატყენდა,
შეურაცხველოფდი იმ კაცს, ვისაც შენ მფარველობდი,
და ვაფერხებდი მე იმ საქმეს, რომლის გადაჭრაც
სწრაფად გნებავდა. მაგრამ უფრო შორს ვგრძნობდი თავსა
იმ წუთს, როდესაც შენთან მსურდა დაახლოება.

პ რ ი ნ ც ე ს ა

მე შენს სურვილებს ვაფასებდი ყოველთვის, ტასო,
და ვიცი, შენს თავს შენ თვითონვე როგორ ვნებ ხოლმე.
ჩემს დას ყველასთან მეგობრობა შეეძლო, იგი
ვინაც არ უნდა ყოფილიყო, შენ კი, პირიქით,
ამდენი წელი აქა ხარ და ჯერაც ვერ შესძელ
გეპოვნა ერთი მეგობარი.

ტ ა ს ო

გამკიცხე მკაცრად!
მაგრამ მითხარი ერთი ესაც, სად არის კაცი
ან თუნდაც ქალი. ვისთანაც მე, ვით შენთან ძალმიძს,
ისე გულწრფელად, თავისუფლად ვილაპარაკო?

პ რ ი ნ ც ე ს ა

შეგეძლო ჩემს ძმას მინდობოდი.

ტ ა ს ო

პრინცია იგი,
მეუფე ჩემი. მაგრამ გწამდეს, თავისუფლების

ძლიერი სწრაფვა არ აღელვებს ჩემს გულს სრულებით.
თავისუფალი არ შობილა აღამიანი
და ახნაურის ერთადერთი ბედნიერებაც
ის არის მხოლოდ. იმ მბრძანებელს, რომელსაც იგი
დიდ პატივსა სცემს, ემსახუროს მუდამ ერთგულად.
მბრძანებელია იგი ჩემი და კარგად მესმის
ამ დიდი სიტყვის მთელი სიღრმე და მნიშვნელობა.
ამიტომ უნდა ვდუმდე, როცა ის ლაპარაკობს,
და გავაკეთო, რასაც იგი მიბრძანებს ხოლმე,
თუნდაც გონება და გული მას ეურჩებოდეს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

მაგვარსა ამბავს ჩემს ძმას შენ ვერ უსაყვედურებ.
ახლა კი, როს კვლავ ანტონიო ჩვენთან იქნება,
უიპყვლია, მასში ჰკვიან მეგობარს ჰპოვებ.

ტ ა ს ო

მაგის იმედი მეცა მქონდა, ახლა კი ვეჭვობ.
ჰკუის სასწავლი იქნებოდა ბაასი მასთან
და სასარგებლო მისი რჩევა. ის ყველაფერს ფლობს,
რაც მე მაკლია, შემიძლია ვთქვა გულახდილად.
მაგრამ თუმც შეკრბა მის აკვანთან ლეთაება ყველა,
რომ ბავშვისათვის თავიანთი მიეძღვნათ ჯილდო,
იქ გრაციები, სამწუხაროდ, არა ყოფილან,
და ვისაც ჯილდო ამ წმინდანთა აკლია ხოლმე,
თუმც შეიძლება ის ბევრს ფლობდეს. ბევრი რამ მოგვეცეს,
მის მკერდზე მაინც ვერასოდეს ვერ ჰპოვებ შევბას.

პ რ ი ნ ც ე ს ა

მაგრამ ჩვენ ძალგვიძს მას ვერწმუნოთ, ეს კი ბევრს ნიშნავს.
არ შეგიძლია ყველაფერი მოსთხოვო ერთ კაცს
და ეს კი, რასაც შეგპირდება, იმედი გქონდეს,
აუცილებლად შეგისრულებს, არ გასტეხს სიტყვას.
რაკი თავისთავს შენს მეგობრად მიიჩნევს ერთხელ,
თუ გაგიპირდა, იგი თვითონ იზრუნებს შენზე.
არა, თქვენ უნდა დამეგობრდეთ, მსურს მოკლე დროში
ეს დიდებული საქმე თვითონ მე აღვასრულო.

მხოლოდ ვით უწინ, ამ საქმეში წინ არ აღმიდგე.
დიდი ხანია ლეონორა გვეწვია სტუმრად.
ნაზი ქალია, მომხიბვლელი, ლეონორასთან
სასიამოვნო არის ყოფნა. მაგრამ შენ არც მას
დაუახლოვდი ისე, როგორც თვითონ მას სურდა.

ტასო

შენ გიჯეროდი, თორემ მე მას დაახლოების
ნაცვლად, პრინცესა, უფრო მეტად დაეშორდებოდი.
თუმც სიყვარულის ღირსი მოჩანს იგი შორიდან,
მაგრამ არ ვიცი, რატომ ხდება, რომ იშვიათად
ძალმძის ვიყო მე გულახდილი ლეონორასთან
და, თუკი ზოგჯერ განიზრახავს მეგობრისათვის
ის კეთილ საქმეს, ამ ზრახვაში ჩანს ანგარება
და, წამსვე ქრება მთელი მისი მომხიბვლელობაც.

პრინცესა

ამნაირი გზით, მეგობრებს ვერ ვიპოვით, ტასო!
ჩვენ ეს ბილიკი უდაბური ბუჩქნარებისკენ,
ყრუ ქალებისკენ წაგვიძღვება. უფრო და უფრო
განებიერდება ჩვენი სული და შეეცდება
თვის გულში შექმნას ოქროს ხანა, ნეტარი ჟამი,
რომელსაც იგი თავის ირგვლივ ვერსად პოულობს,
თუმც ამგვარი ცდით ბევრს ვერაფერს მიაღწევს იგი.

ტასო

ო, ეს რა სიტყვა სთქვით, პრინცესა! საით გაფრინდა
ის ოქროს ხანა, ის ნეტარი, ძვირფასი ჟამი,
რომელსაც ასე ფუჭად შესტრფის ყოველი გული?
ის ხანა, როცა თავისუფალ დედამიწაზე
ცხოვრობდა ხალხი კმაყოფილი და უზრუნველი,
ვით ლალი ფარა იალაღზე მიმოფანტული,
როს ქრელ მდებლობზე აღმართული ბებერი მუხა
მწყემს გოგო-ბიჭებს უჩრდილებდა ჯიშუხი ტოტებით
და ახალგაზრდა ბუჩქნარი კი ნაზი რტოებით
ვნებით აღსავსე სიყვარულზე მღეროდა წრფელად;
სადაც მშვიდი და გამჭვირვალე თეთრი მდინარე

წმინდა ქვიშაზე ნიშნას ნაზად იკრავდა მკერდში,
სად მოხიბინე ბალახებში საშიში გველი
იკარგებოდა უვნებლად და გულადი ფავნი
ტარბოდა მამაც ქაბუკისგან დასჯილი უცებ.
სად ლალ ჰაერში მოსრიალე ყოველი ჩიტი
და ყველა მხეცი, მთად და ჰალად მოეტიალე—
ყველა სულდგმული ადამიანს ეუბნებოდა:
„რაღაც მოგწონს, არის ყველაფერი ნებადართული!“

პრინცესა

ის ოქროს ხანა, მეგობარო, წარვიდა, გაჰქრა.
მხოლოდ სიკვითთ 'შევიძლებთ ჩვენ მის დაბრუნებას
და ახლა უნდა გამოგიტყდე, რასაცა ვფიქრობ:
ის ოქროს ხანა, რომლითაც ჩვენ პოეტი გვნიბლავს,
ნეტარი ჟამი, ჩემის აზრით, წინათაც ისე
ნაკლებად იყო, როგორც ახლა არსებობს იგი.
და თუ ის მართლა არსებობდა, ალბათ ისეთი,
როგორიც ძალგვიძს დავიბრუნოთ ყოველთვის ისევე.
ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენ გულები მონათესავე
და ამქვეყნიურ განცხრომას კვლავ ინაწილებენ.
მხოლოდ დევიზში შეიცვალა ორიოდ სიტყვა:
„შესაფერისი არის მხოლოდ ნებადართული!“

ტასო

ო, ნეტავ მხოლოდ კეთილშობილ, კეთილ ხალხისგან
შემდგარ სამსჯავროს სამუდამოდ გადაეწყვიტა,
თუ რაა ჩვენთვის საკადრის, შესაფერისი,
მაგრამ ყოველ კაცს, სამწუხაროდ, შესაფერისად
ის მიაჩნია, რაც იმისთვის სასარგებლოა!
ჩვენ ვხედავთ: ძლიერთ, უკვივანესთ ამა ქვეყნისა
სუყველაფერი მიაჩნიათ შესაფერისად
და ყოველივე მათ აქვთ ქვეყნად ნებადართული.

პრინცესა

თუ გსურს გაიგო, მეგობარო, შენ უფრო კარგად,
მაშინ ეს ჰკითხე კეთილშობილ ასულებს მხოლოდ.
ისინი მუდამ დიდად ზრუნვენ, რომ ქალთა წრეში

რაც ხდება, იყოს ყველაფერი შესაფერისი.
მათ ნახ, უმწეო, გრანობიერ სქესს ზრდილობა აკრავს
შეუვალ კედლად, და ზნეობა სადაც მბრძანებლობს,
ისინიც იქა მბრძანებლობენ. ხოლო იქ, სადაც
თავისუფლება, თავხედობა გამეფებულა,
მანდილოსნები არაფერს არ წარმოადგენენ.
და თუ ორივე სქესსა ჰკითხავ: ქალი ზნეობას
ელტვის ყოველთვის, მამაკაცი — თავისუფლებას.

ტასო

მაშ შენ გვიწოდებ აღვირახსნილს, უხეშს, უგრძობელს?

პრინცესა

არა, ეს კია, რომ შორეულ სიკეთეს ელტვით
და თქვენი სწრაფვა უნდა მძლავრი, ძლიერი იყოს.
თქვენ ბედავთ საქმით ემსახუროთ მარადისობას,
ჩვენ კი გვსურს მხოლოდ მცირეოდენ სიკეთეს ვფლობდეთ
და ეს სიკეთე განვიმტკიცოთ, შევინარჩუნოთ.
არ შეგვიძლია ვაქციის გულს მივენდოთ მტკიცედ,
თუმც ის თავიდან გატაცებით გვნებდება ხოლმე.
წარმავალია სილამაზე, თქვენ მაინც მხოლოდ
იმას სცემთ პატივს და, რაც რჩება, ის აღარ გზიბლავთ.
და, რაც ვერ გზიბლავთ, სამუდამოდ მკვდარია თქვენთვის.
მამაკაცებმა რომ იცოდნენ ნამდვილი ფასი
ქალის გულისა, რომ შეეძლოთ დანახვა იმის,
თუ რა ძვირფასი განძს სიყვარულის და ერთგულების
ინახავს ხოლქ დედაკაცის კეთილი გული,
რომ მოგონება ნეტარების ტკბილი წუთების
თქვენს სულში ცხოვლად, წარუხოცლად რჩებოდეს ხოლმე,
რომ თვალებს თქვენსას, ესდენ მახვილს და შორად მხედველს,
შეეძლოს იმ თალხ ფარდებს იქით გადაიხედონ,
რომლითაც გეფარავს სიმოხუცე და სნეულება,
და რომ ის განძი, რომელსაც ჰფლობთ, რომელიც თქვენში
უნდა იწვევდეს სიმშვიდეს და კმაყოფილებას,
არ გიღვიძებდეთ ახლისაკენ დაუმცხრალ სწრაფვას, —
გაბრწყინდებოდა მაშინ ჩვენთვის დღე მშვენიერი
და ჩვენც ჩვენს ოქროს საუკუნეს ვიზიემებდით.

ტასო

შენ ისეთ სიტყვებს მეუბნები, რომელთ ჩემს გულში
მოელემარე შიში გააღვიძეს.

პრინცესა

რასა გულისხმობ
შენ მაგ სიტყვებში? გამიმხილე, სიტკვი თავისუფლად.

ტასო

ხშირად მსმენია, ამ დღეებშიც კვლავ გავიგონე
და ეს მე თუნდაც არ მსმენოდა, მეფიქრა უნდა.
კეთილშობილი უფლისწულნი ითხოვენ შენს ხელს —
და, რასაც უნდა მოველოდეთ, გვაშინებს ძლიერ.
ჩვენ არც კი გვსურდა ამგვარი რამ გვერწმუნა მტკიცედ.
ბუნებრივია, შენ რომ გვტოვებ, მაგრამ არ ვიცი,
ვით გადავიტან უშენობას.

პრინცესა

დამშვიდდი, ტასო,
ნუ გეშინია ჯერჯერობით ამგვარი რამის
და ისიც ძალმიძს ვითხრა თითქმის, რომ სამუდამოდ.
აქ თავს კარგად ვგრძნობ და დავრჩები სიამოვნებით.
ჯერ მე კავშირი რომელიმე სულაც არ მზიბლავს.
და თუ თქვენ გინდათ, აქ კვლავ დიდხანს შემინარჩუნოთ,
ერთსულოვნება დამანახეთ, ბედნიერება
შექმენით თქვენთვის და ამ ამბით მეც გამახარეთ.

ტასო

მასწავლე, მითხარ, ვით ვაკეთო შესაძლებელი!
შენ შემოგწირე. შენ მოგიძღვენ დღეები ჩემი.
როს შენს საქებრად, სადიდებლად რღება გული,
მაშინ ვგრანობ წმინდა ჯერ არგანცდილ ბედნიერებას.
მე მხოლოდ შენში შევიცანი ღვთაებრივობა.
როგორც განგება ზენაარი თვით უქკვიანეს
კაცთა გონებას, ნება-სურვილს ერჩევა მუქადამ,
ასე ღმერთებიც, მიწიერი, განსხვავდებიან

ჩვეულებრივი ხალხისაგან. როს ჩვენ ვუცქერით
ბობოქარ ტალღებს, ბევრ რაიმეს ისინი სულაც
ყურს არ აპყრობენ და ჰგონიათ მათ ფერხთით თითქოს
მსუბუქნი ზვირთნი შრიალებენ, როდი ისმენენ
ქარიშხლის გრგვინვას, დაღუპვას რომ გვიქადის ხოლმე.
მათ არც კი ესმით საცოდავი ვედრება ჩვენი.
და, ვით უმწეოდ, უსასოოდ დარჩენილ ბავშვებს,
ისლა გვრჩება, რომ ოხვრა-კენესით ჰაერი შეეძრათ.
შენ კი, არსებავ ზეციერო, მითმენდი ხშირად,
და შენი მხერა, ცხოველი მზე. აშრობდა ხოლმე
ჩემს წამწამებზე მიმონამულ მწუხარე ცრემლებს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

სამართლიანი არის ძლიერ, რომ ქალთა შორის
ჰპოვე ნამდვილი მეგობრები. შენი სიმღერა
მათ სქესს ადიდებს, ხოტბას ასხამს მრავალნაირად.
ნაზი არსება იქნება თუ მამაცი ქალი.
კეთილშობილს და სიყვარულის ღირსსა ხდი ყველას,
და თუ არმიდა გვეჩვენება თავდაპირველად
ღირსი აშკარა სიძულვილის, მალე მისივე
სილამაზე და სიყვარული გვარიგებს მასთან.

ტ ა ს ო

ყველა იმისთვის, რაც პოულობს ჩემს სიმღერაში
ამ გამოძახილს, ვალდებული ვარ მხოლოდ ერთი,
დიახ, ნამდვილად ერთადერთი არსის წინაშე.
არა აჩრდილი უსხეულო თუ მოჩვენება
სცურავდა ჩემს წინ, რომელიც ხან ბრწყინვალე სახით
მეგლინებოდა, ხან კი ისევ ქრებოდა უცებ,
არა, ვიხილე ჩემი თვალით მე პიოველასზე
მშენიერების და უზადო სათნოებისა.
და რაც მე იმას დავამსგავსე, დარჩება მარად:
კლორინდესადმი სიყვარული ტანკრედეს მიერ,
შეუმჩნეველი ერთგულება ერმინიისა,
უბედურება ოლინდისა და სიდიადე
საფრონიისა როდი არის ოცნება მხოლოდ,
შექმნილი ჩემგან, მოჩვენება რამ უსხეულო.

მე კარგად ვიცი, იქნებიან უკვდავი მარად,
რადგან ისინი არსებობენ, როგორც ცოცხლები.
აბა მითხარი, სხვას ვისა აქვს იმის უფლება,
რომ დროს გაუძლოს, ჰპოვოს გულთა გამოძახილი,
თუ არა წარმტაც საიდუმლოს სიყვარულისას,
რომელსაც კრძალვით მინდობია სიმღერა მგოსნის?

პ რ ი ნ ც ე ს ა

გითხრა შენ ისიც, ეს სიმღერა თუ რა ღირსებას,
რარიგ უხილავ, დიად ძალას შეიცავს კიდევ?
როცა მას ვისმენთ, გვაჯადოებს უფრო და უფრო,
ვუსმენთ სიმღერას და ჩვენ გვჯერა. რომ გავსმის იგი,
ხოლო რაც გვესმის, როდი ძალგვიძს გაიციხვა მისი.
და ამგვარი გზით გვიმორჩილებს ის საბოლოოდ.

- ტ ა ს ო

შენ ჩემს წინაშე ახალ ზეცას გადახსენ ფარდა
და ამ წუთს რომ მე მთლად არ ვიყო დაბრძანებული
მაგ დიდებული ბრწყინვალეებით, მოულოდნელად
დავინახავდი მარადიულ ბედნიერებას,
ოქროს სხივებზე დიდებულად მომავალს ჩემსკენ.

პ რ ი ნ ც ე ს ა

კმარა, ტორკვატო, ქვეყანაზე ბევრი რამ არის,
რისი დაპყრობაც აჩქარებით, სასწრაფოდ გემართებს,
მაგრამ დანარჩენთ მარტოოდენ ზომიერებით,
ჩვენს სურვილებზე უარის თქმით დავუფლებით.
როგორც ამბობენ, სათნოება და სიყვარული
დები არიან, გახსოვდეს ეს ყოველთვის კარგად.

მეორე გამოცხვა

ტ ა ს ო (მარტო)

ნება გაქვს კიდევ, შენი მხერა აღმართო ზევით?
გაბედავ ირგვლივ მიმოხედვას? აჷ მარტო დარჩი!
თუ მოისმინეს ამ სვეტებმა სიტყვები მისი?
იქნებ მოწმენი, უდიდესი ბედნიერების

მუნჯი მოწმენი გაშინებენ, მათ დიდად უფრთხი?
დიდებული მზე ახალ დღეთა ამოდის უკვე,
მსგავსი რომლისაც არასოდეს ჯერ არ გინახავს.
ძირს ჩამოსული ქალღმერთი შენ, უბრალო მოკვდავს,
გამალლებს ზეცად. შენს თვალთა წინ გადაიშალა
სულ სხვა სამყარო, დიდებული და მიმზიდველი.
ო, რა რიგ უხვად დაჯილდოვდა სურკილი მწველი!
წა-მოვიდგენდი მე ოცნებით, რომ უზენაეს
ნეტარებასთან ახლოს ვიყავ მისული თითქოს,
ეს კი ყოველგვარ ოცნებაზე მაღლა დგას უფრო.
დაბადებითვე უსინათლო სინათლეს, ფერებს
ისეთი სახით წარმოიდგენს, როგორც სურს ხოლმე,
მაგრამ როდესაც იხილავს დღეს, სულ შეეცვლება
მას წარმოდგენა უწინდელი, თავისი აზრი.
გაბრუნებული სიხარულით, მხნეობით სავსე
იმედიანად წავალ ამ გზით. შენ ბევრს მთავაზობ,
ვით ცა და მიწა იძლევიან დაუზრეტელი,
გულუხვი ხელით უსახოპო საჩუქარს ხოლმე.
ჩეუგან კი ითხოვ მაოლოდ იმას, რაც შეგიძლია
სამართლიანად მოითხოვო ამ ჯილდოს გამო.
ზომიერება, მოთმინება მძარტებს მე ახლა,
რომ შენი ნდობა გაემართლო ამგვარი ქვევით.
რა გავაყეთე, რომ მე მისი რჩეული გავხდი?
რა გავაყეთო, რომ შევიქნე მე მისი ღირსი?
იგი შენ გენდო, ეს კი ნიშნავს, ღირსი ხარ ამის.
ღიახ, პრინცესა, სიტყვებს შენსას, შენს ნათელ მზერას
მთლად მივუძღვენი ჩემი სული სამარადქამოდ!
მამ მოითხოვე, რაცა გნებავს, რადგან ვარ შენი!
გამგზავნის იგი შორ ქვეყნებში, რომ გავისარჯო,
ვეძიო საფრთხე და დიდება, თუ გამომიწოდის
იგი ოქროს ქნარს მშვიდ ქალაში და მომანიჭებს
სულის სიმშვიდეს ძვირფას ჯილდოდ,—სულ ერთი არის:
მან უნდა ჩემზე იმბრძანებლოს განუსაზღვრელად.
მისი ვარ, მისი, მას ვეკუთვნი სულით და ხორციით.
ყოველ საგანძურს ჩემი გული ინახავს მისთვის.
ათასი ნიჭი რომ მოეცა შემოქმედს ჩემთვის,
ვერ შევიძლებდი გამომეტქვა მაღლობა ჩემი.

ამისთვის მხოლოდ ვისურვებდი მხატვრის ფუნჯსა და
პოეტის ბაგეს, გაზაფხულის თათლივით დამტკბარს.
ამიერიდან ტასო აღარ იხეტიალეს
არც კაცთა შორის, არც მდუმარე ხეების ჩრდილში
ლონემიხილი, მარტოდმარტო და მოწყენილი!
ის ახლა მარტო აღარ არის, შენ ჰყავხარ გვერდით.
ო, ნეტავ ჩემს წინ უხილავად წარმოდგებოდეს
საგმირო საქმე, დიდებული, კეთილშობილი.
თუნდ საშინელი საფრთხით სავსე. მე მას უმაღვე
ვეკეთებოდი, გავწირავდი სიცოცხლეს მსხვერპლად,
რომელიც ახლა მივიღე მე მისი ხელიდან:
საუკეთესოთ მოვითხოვდი ამხანაგებად,
რომ მათთან ერთად საქმე იგი შეუძლებელი
მსწრაფლ სისრულეში მომეყვანა, რა წამსაც თვითონ
მოიწებებდა, მანიშნებდა მის აღსრულებას.
მოუთმენელო, შენმა ბაგემ რად გაამგლავნა
ის, რასაც გრძნობდი, ვიდრე ღირსი არ იქნებოდი,
პრინცესას ფერხით მოკრძალებით დამხობილიყავ?
შენი განზრახვა ხომ ეს იყო, სურვილი შენი?
დღ ასე იყოს! ბევრად გიჯობს დასახურების
გარეშე, წმინდად მიიღო შენ ამგვარი ჯილდო,
ვიდრე თანდათან შეეჩვიო იმაზე ფუქრსა,
რომ შეგიძლია მოითხოვო ეს საჩუქარი.
გამხიარულდი და შენს ირგვლივ მიმოიხედე,
წინ ბევრი რამე გგლოდება დიადი, კარგი,
და სიკაბუჯე, დაუძცხრალი, იმედით სავსე,
გამოუცნობი მომავლისკენ ხელს გიქნევს ისევ.
აძგერდი, გულო! ნეტარების ცხოველო სხივო,
გაათბე ერთხელ ახალგაზრდა მცენარე ისევ,
იგი ზეცისკენ მიისწრაფის და ათასეულ
მწვანე რტოს იყრის, ემზადება ასაყვავებლად.
ო, ნეტავ იგი მოგვეტანდეს სიხარულს, ნაყოფს,
რომ მისი ნაზი და მდიდარი რტოებისაგან
მოწყვეტოს ოქროს სამკაული ძვირფასმა ხელმა.

მასაჲე გამოსვლა

ტასო, ანტონიო.

ტასო

კეთილი იყოს, ანტონიო, ჩამოსვლა შენი!
პირველად თითქოს ახლა გნახე! არც ერთი კაცი
მე ღირსეულად არ მიმაჩნდა. სალაჰჰ შენდა!
ახლა კი გიციონბ და ვაფასებ შენს მთელს ღირსებას.
აჰა, გთავაზობ უყოყმანოდ ჩემს გულს და ხელსა
და ვიმედოვნებ, არც შენ მეტყუვი ამაზე უარს.

ანტონიო

უხეად მთავაზობ შენ დიდებულ, მშვენიერ ჯილდოთ
და როგორც მმართვეს, დაფასება მეც ძალმიის მათი.
ამიტომ, ვიდრე მათ მივიღებ, მიბოძე ნება,
დაეკიქრდე ჩემთვის, რადგან კარგად არ ვიცი ჯერაც,
ძალმიძს თუ არა მეც მოგიძღვნა სამაგიერო.
არ მსურს აეჩქარდე, უმადური არ მინდა ვიყო,
ნება მიბოძე, რომ მოვიქცე ჭკვიანად, ფრთხილად.

ტასო

ვის გაუკიცხავს სიჭკვიანე? ჩვენი ცხოვრება
ყოველი ფეხის გადადგმაზე ნათლად გვიჩვენებს,
ჭკუით მოქცევა რარის ძლიერ გვეჭირდება ხოლმე.
მაგრამ ამაზე უკეთესი ის არის, როცა
გული გვაუწყებს, თუ სად ძალგვის უმისოდ ყოფნა.

ანტონიო

ამიტომ უნდა ყველა თავის გულს დაეკითხოს,
რომ თავის ცოდვა მან თვითონვე მოინანიოს.

ტასო

დე ეგრე იყოს! აღვასრულე მე ჩემი ვალი;
პრინცივსას სურს, რომ დავმეგობრდეთ, და მეც მის სიტყვას
პატივი ვეცი, ჩემი თავი წარმოგიდგინე.
უკან არ მიმაქვს, ანტონიო, მე ჩემი სიტყვა,

მაგრამ, ცხადია, არც ის მინდა, რომ ჩავაცივდე.
დე ეგრე იყოს. ხანგრძლივი დრო და ნაცხოლობა
მოგთხოვენ ალბათ, ამ ჯილდოებს რომ დაეუფლო,
რომელთაც ახლა უკუაგდებ გულცივად, ზიზღით.

ანტონიო

ზომიერებას გულცივობას უწოდებს ხშირად
ის, ვისაც სხვებზე გულმხურვალე ჰგონია თავი,
რადგან სიფიცხე, გაცხარება მყის ეძულება.

ტასო

შენ ჰკიცხავ, რასაც მეცა ვკიცხავ, რასაც გავურბი,
და ისიც მესმის, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ,
რომ მე სიფიცხეს ვამჯობინო სიღინჯე მტკიცე.

ანტონიო

გონიერულია! დარჩი მუდამ მაგ აზრზე მდგარი.

ტასო

უფლება ვაქვს, რომ გამაფრთხილო, მირჩიო კიდევ,
რადგან შენს გვერდით დგას დიდი ხნის გამოცდილება.
როგორც ნაცადი მეგობარი. მაგრამ გჯეროდეს,
რომ საიდუმლოდ ისმენს გული აქ გაფრთხილებას
თითქმის ყოველდღე, ყოველ საათს, და მშვიდად სწავლობს
ყოველ სიკეთეს, რომელსაც ვით სრულიად ახალს,
დამრიგებლურად წარმოგიდგენს სიმკაცრე შენი.

ანტონიო

სასიამოვნო არის დიდად, ასე გაერთო
შენივე თავით, სასარგებლო რომ იყოს რითმე.
ვერც ერთი კაცი ვერ შეიცნობს თავის თავს, თუ ის
თავის სულიერ სამყაროში ჩაიკეტება.
რადგან ყველაფერს ის საკუთარ საზომით ზომავს:
ხან პატარათი, სამწუხაროდ. ხშირად კი დიდით.
კაცს მხოლოდ ხალხში შეუძლია შეიცნოს თავი,
მხოლოდ ცხოვრება ასწავლის მას, რა უნდა იყოს.

ტასო

ალტაცებით და მოწიწებით ვისმენ მაგ სიტყვებს.

ანტონიო

მაგრამ შენ მაინც ამ სიტყვებში სულ სხვას გულისხმობ და არა იმას, რისი თქმაც მე შენთვის მინდოდა.

ტასო

ამნაირი გზით ერთმანეთთან ვერ მივალთ ახლოს. კარგი არ არის, გონიერული, — განზრახ უარყოფთ კაცის შეცნობა, ვინც არ უნდა იყოს ეს კაცი. ჩემთვის საჭირო არც კი იყო პრინციპსა სიტყვა, ერთობ ადვილად შევიძელი გაცნობა შენი: ვიცი, რომ მუდამ სიკეთე გსურს, სიკეთეს სთესავ, საკუთარ ბედზე არასოდეს არ ზრუნავ ხოლმე. სულ სხვებზე ფიქრობ, ყოველთვის სხვებს უდგებარ მხარში და, მანდობილი ამ ცხოვრების ცვალებად ტალღებს, შეუდრეკელი ხარ ყოველთვის. მე ასეთს გხედავ. როგორ არ უნდა მოვსულიყავ შენს შესახვედრად, როგორ არ უნდა მეძია მე იმ საგანძურის ნაწილი მაინც, ფარულად რომ ინახავ ხოლმე. კარგად ვიცი, რომ არ ინანებ, თუ მაშენდობი, ვიცი, მეგობრად გამიხდები, თუკი გამოცნობ. ამგვარ მეგობარს ვსაჭაროებ დიდა ხანია, არა მრცხენია, რომ ვარ ასე გამოუცდელი და ახალგაზრდა. ჯერაც კიდევ ავ შუბლის ირგვლივ ოქროს ღრუბლები მიმოსტურვენ მომავლისა. გამიხსენ გული, დიდებული ადამიანო, ჩამიკარ მკერდში ასე ფიცხი, გამოუცდელი, მიხელმძღვანელე, გონიერულად ვიცხოვრო ქვეყნად და ზომიერად ვისარგებლო მისი სიკეთით.

ანტონიო

გინდა ერთ წაწში ყველაფერი მიიღო, ტასო, რასაც დრო დიდი დაფიქრებით იძლევა მხოლოდ.

ტასო

სწორედ ერთ წამში სიყვარული გვანიჭებს იმას, რასაც ხანგრძლივი ცლით და გარჯით ვერ ვაღწევთ ხოლმე. ამას როდი გთხოვ, გაბედულად მოვითხოვ შენგან და მოგიწოდებ სათნოების წმიდა სახელით, დამეგობრება რომ სურს ძლიერ კეთილი ხალხის. წუთუ მე უნდა სხვა სახელიც გიხსენო კიდევ?.. პრინციპსა დიდი იმედი აქვს დაგვამეგობროს, დაე მის სურვილს შევეგებოთ ჩვენც სიხარულით, დაე წარუდგეთ ქალღმერთს ჩვენსას, ვით მეგობრები, და შეეთავაზოთ სამსახური და წრფელი გული, შეერთებული დიდი საქმის აღსასრულებლად. ერთხელ კიდევ გთხოვ, ჩამომართვი, ჰა, ჩემი ხელი! უკან ნუ იხევ, ნუ მიხდები წინააღმდეგი! მომაგე დიდი სიხარული. რომელიც მხოლოდ მინიჭებიათ საუცხოო ადამიანებს, რათა მივეცე უკეთეს ხვედრს დაუყოვნებლად.

ანტონიო

ღალად მისცურავ ცხოვრებაში გაშლილ აფრებით. მიჩვეული ხარ, გაიმარჯვო და ჰპოვო ყველგან ფართო შარაგზა, ყურებამდე ღია კარები. გისურვებ სახელს, ღირსებას და ბედნიერებას, მაგრამ იმასაც კარგად ვხედავ, თუ რარიგ დიდი მანძილითა ვართ ერთურთისგან დაცილებული.

ტასო

ეგ მხოლოდ წლებით, ღირსსაქებარ გამოცდილებით, ნებისყოფაში, სიმხნეში კი არვის დავუთმობ.

ანტონიო

ჩვენს ნებისყოფას არ მივეყვართ საქმესთან მუდამ, სულის სიმხნე კი უმოკლეს გზებს ეძიებს ხოლმე. ვინც მიზანს აღწევს, ღირსი არის ის გვირგვინისა, და გვირგვინი კი ღირსეულს არ ეძლევა ხშირად. მაგრამ მსუბუქი გვირგვინებიც არსებობს ქვეყნად,

სულ სხვა ჯურისა: იოლი გზით მოსახვეჭელი,
მათ ხშირად გავლით, სეირნობის დროს მოულობენ.

ტასო

რასაც ღვთაება ერთს სთავაზობს ესოდენ უხვად,
ხოლო მეორეს სასტიკ უარს უცხადებს ხოლმე,
ეგრე ადვილად ვერ შეიძლება ყოველი კაცი
იმის მიღებას, გინდაც სცადოს, ისურვოს გულით.

ანტონიო

თუ ამგვარ ჯილდოს შენ მიაწერ ბედნიერებას
და არა სხვა ღმერთთ, გეთანხმები სიამოვნებით,
რადგანაც მისი არჩევანი ბრმა არის მუდამ.

ტასო

მართლმსაჯულებაც არტახებით შებოჭილია,
ყოველ ტყუილზე, სიცრუეზე თვალს ხუჭავს ხოლმე-

ანტონიო

დე ბედნიერმა მუდამ აქოს ბედნიერება,
მას მიაწეროს ასი თვალი ბრძნული არჩევნის
მოსახდენად და ნამოღვაწრის დასაფასებლად.
უწოდოს ამას თუნდ მინერვა, თუნდ, რაცა ნებავს,
მოწყალე ჯილდო მიიჩნიოს უმაღლეს ქებად
და შემთხვევითი მორთულობა იმ სამკაულად.
რომელიც თითქოს ეყუთვნის მას დამსახურებით.

ტასო

ალარ გჭირდება, ეგ აზრი რომ სთქვა უფრო ნათლად,
საკმარისია, მე შენს გულში ღრმად ჩავიხედე
და სამუდამოდ გაგიცანი. ო, ნეტავ ასე
ჩემი პრინცესაც გაგიცნობდეს. ნუ ამახვილებ
მაგ თვალთა ისრებს და მაგ ენას. ამოოდ, ფუჭად
მიმართავ მათ იმ გვირგვინისკენ, რომელიც ჩემს თავს
ამშვენებს ახლა, მას დაქცობა არ უწერია.
იყავ დიადი, რომ ჩემთვის არ შეგშორდეს იგი,
და მაშინ ძალგდის ამ გვირგვინზე მე შემედაო.

მას პატივსა ვცემ, როგორც ჯილდოს წმინდათა წმინდას,
როგორც სიკეთეს უზენაესს, მაგრამ მიჩვენე
კაცი, ვინც იმას მიაღწია, რისკენაც ასე
შეუწერებლად მივისწრაფი, მიჩვენე გმირი,
ვისხედაც მხოლოდ თქმულებები გამიგონია,
ან თუ ვინმეა დღეს პრეტი ცოცხალთა შორის,
პომპროსსა და ვირგილიუსს რომ შეეღაროს?
ღიახ, მე უფრო მეტსაც გეტყვი, მიჩვენე კაცი,
ვინაც ამგვარი ჯილდო სამგზის დაიმსახურა,
და სამგზის მეტად იწუებოდა სირცხვილით ჩემზე.
მაშინ უმაღლე დავემოხი იმ ქალღმერთის წინ,
ვინც ასე უხვად, უსაზომოდ დამასაჩუქრა,
და არ ავდგები. ვიდრე იგი ჩემი თავიდან
ამ მორთულობას არ აიღებს თავისი ხელით
და არ შეამკობს უფრო მეტად ღირსეულ თავსა.

ანტონიო

შენ, რა თქმა უნდა, ამ გვირგვინის ღირსი ხარ, ტასო.

ტასო

უარს არ ვამბობ, ჩამითვალონ თუნდ სითაჩავედ.
ზიზლი კი, მგონი, არაფრის არ დავიმახსურე.
იმ გვირგვინს, რომლის ღირსადა მცნო მეუფემ ჩემმა,
რომელიც ჩემთვის დაწნა თვითონ პრინცესას ხელმა,
ასე საეჭვოდ და სადაოდ ვერ გამიხდიან.

ანტონიო

ეგ გაცხარება და ეგეთი აწევა ხმისა
არ გშვენის ჩემთან, არც ამ ადგილს შეეფერება.

ტასო

ის ძეც შემფერის, რის ნებასაც აქ შენს თავს აძლევ.
ნუთუ აქედან განდევნილა ქეშმარიტება
და ლალი სული სამუდამოდ ტუვექმნილა უკვე?
კეთილშობილი, უანგარო ადამიანი
ამ სასახლეში ნუთუ ჩაგვრას განიცდის მხოლოდ?
ასე მგონია, აქ სიმაღლე, სიმაღლე სულის

თვის ადგილზე დგას და ამქვეყნის მეუფეთ ახლოს
ნუთუ ვერ ბედავს გაიხაროს დიადმა სულმა?
იგი ბედავს და მოვალეა ეს გააკეთოს.
დღემდე მთავრებთან მიოლოდ სისხლი კეთილშობილი
გვაახლოებდა, მამებისგან გადმოცეკული,
მაგრამ ჩვენ მათთან რატომ გრძნობაც არ გვაახლოებს,
ბუნებისგან რომ არ ეძლევა ყველას თანაბრად,
ვით კეთილშობილ წინაპართა უგრძესი რიგი?
აქ მხოლოდ უნდა ეშინოდეს არარაობას
და შურს, რომელიც საკუთარ თავს თვითონვე არცხვენს,
როგორც ობობაც ვერ ბედავს, რომ ქუჩყიან ქსელით
ამ მარმარილოს თეთრ კედლებზე დაიბინადროს.

ანტონიო

თვითონვე მაძლევ უფლებას, რომ არაფრად გთვლიდე!
სულსწრაფ ბიჭსა სურს მოიპოვოს ვაჟკაცის ნდობა
და მეგობრობა თვებედური ძალდატანებით?
ან იქნებ თავი მოგაქვს კიდეც მაგ უხნეობით?

ტასო

ბევრად სჯობია ის, რასაც შენ მაგ სახელს უხმობ,
იმას, რასაც მე უზრდელობას დავარქმევ მხოლოდ.

ანტონიო

შენ ჯერ საკმაოდ ყმაწვილი ხარ, რომ კარგმა აღზრდამ
უკეთეს გზაზე დაგაყენოს.

ტასო

მგონი, არც ისე
ახალგაზრდა ვარ, მოვიხარო კერპის წინ ქედი
და ჯიუტობას ჯიუტობით არ ვუპასუხო.

ანტონიო

იქ, სადაც საქმეს სწყვეტს ენის და სიმის თამაში,
გმირი გამოხვალ, რა თქმა უნდა, გამარჯვებული.

ტასო

შეუპოვრობა იქნებოდა, რომ ჩემი მკლავი
თვითონვე მექო, რადგანაც მას ჯერ არაფერი
მოუქმედნია, მაგრამ ამ მკლავს ცეხლობი უკვე.

ანტონიო

ბედნიერება გათამამებს მხოლოდ და მხოლოდ,
დღემდე რომ ასე გიბრალეზდა, გზოგავდა ხოლმე.

ტასო

კარგად ვგრძნობ უკვე.— გავიხარდე და დავვაჟკაციდი.
თუმცა ყველაზე ნაკლებად მე შენთან მიწოდდა,
განომეცადა იარაღის თამაში მკაცრი,
მაგრამ თანდათან შენ თვითონვე აღმანთე რისხვით,
აღუღდა სისხლი ჩემს ძარღვებში და დაუმცხრალი
შურისძიებით ბორგავს გული. მართლა ისეთი
ვაჟკაცი თუ ხარ, ვით თავს იქებ, იშიმვლე დაშნა!

ანტონიო

სულ დაგავიწყდა, ვინა ხარ და სად იმყოფები!

ტასო

წმინდა ტაძარი არ მოგვითმენს შურააცხყოფას.
შენ, შენ წაბილწე ეს ადკილი და შეურაცხეკავ,
მე კი აქ მხოლოდ მოვდიოდი შენს შესახვედრად
პატივისცემით, სიყვარულით და დიდი ნდობით.
უწმინდური ჰყო ეს სამოთხე თვით შენმა სულმა,
შენმა სიტყვებმა წაბილწეს ეს დარბაზი წმინდა
და არა მძაფრმა მღელვარებამ ჩემი გულისამ,
მცირე ლაქასაც რომ არ ითმენს და ბორგავს ასე.

ანტონიო

რა დიდი სული ჩამწყვდეულა მაგ ვიწრო მკერდში!

ტასო

ქმარა აქ სივრცე, რომ ისუნთქოს მან თავისუფლად.

ანტონიო

უხეში ბრბოც კი შესძრავს ხოლმე სიტყვებით ჰაერს.

ტასო

მაშ დამიმტკიცე, თუ შენც ჩემებრ ხარ ახნაური!

ანტონიო

ღიახაც რომ ვარ, მაგრამ ვიცი, სად ვდგე ვარ ახლა.

ტასო

მაშ იქ წავიდეთ, სად უფლება გეაქვს შერკინების.

ანტონიო

შენ ეგ არ უნდა მოითხოვო, ვერ წამოგყვები.

ტასო

მხდლისთვის ასეთი დაბრკოლება სასურველია.

ანტონიო

უშიშარ ადგილს იცის ხოლმე მხდალმა მუქარა.

ტასო

უარს ვაცხადებ, ამ ადგილით დავიცვა თავი.

ანტონიო

არა ადგილის, თვით შენივე ღირსებას დასცემ.

ტასო

წმინდა ადგილო, მომიტევე, ამდენს რომ ვითმენ!

(იშაშვლებს დაშნას.)

თავი დაიცავ, ან წამომყევ. რომ სამუდამოდ არ შეგიზიზღო სწორედ ისე, ვით მძულხარ ახლა!

გიოთხე გამოსვლა

ალფონსი. იგივენი.

ალფონსი

რა ჩხუბს წავაწყდი მე აქ ასე მოულოდნელად?

ანტონიო

თვითონვე ხედავ, მბრძანებლო, რა მშვიდად ვდგე ვარ მის წინ, ვინც ასე უსაზომოდ გააფთრებულა.

ტასო

მოკრძალებული გევედრები, როგორც ღვთაებას, ერთი შეხედვით გაჰაფრთხილო და დამაწყნარო.

ალფონსი

აბა მომიყევ, ანტონიო, მითხარი, ტასო, ჩემს სახლში როგორ წარმოიშვა განხეთქილება? ვით გადუღეჭით სათნობას ზრდილობიანი წესიერების მოყვარული, კეთილი ხალხი, და რად შეგიპყროთ მძვინვარებამ? პირდაპირ მიკვირს!

ტასო

მე მჯერა უკვე—ვერც ერთ ჩვენგანს რომ ველარ გვიცნობ. აი, ეს კაცი, ზრდილს და კეკიანს რომ უწოდებენ, როგორც უზრდელი, ვით უაზნო ადამიანი, ისე ტლანქად და ვერაგულად მოიქცა ჩემთან. მისკენ მე ნდობით მივდიოდი, მან კი მკრა ხელი; მე სიყვარულით მივმართაედი, ის გესლიანი, მწარე სიტყვებით, ვიდრე სისხლი არ მომიშხამა. შემინდე, პრინცო, გაცოფებულს რომ მომისწარი, მაგრამ მიზეზი ყველაფრისა ეს არის თვითონ, რომ შენს წინაშე ჩავიდინე დანაშაული. მან გააჩალა ასე მძლავრად ცეცხლი, რომელიც ჯერ მე მომედო და ბოლოს კი—ორივეს ერთად.

ანტონიო

იგი მალაღმა პოეტურმა აღფრთოვანებამ გადააყდინა სწორი გზიდან. პირველად ხომ მე

შომმართე, პრინცი, და პასუხის გაცემაც პირველს
სწორედ მე მმართვებს. მბრძანებლო, მიბოძე ნება,
ამ სულწასული მოსაუბრის შემდეგ რომ მაინც
ვილაპარაკო!

ტ ა ს ო

დიახ, მოჰყევ სულ სიტყვისიტყვით,
და, თუ შეიძლება, წარუდგინე დიდებულ მსაჯულს
სახის ყოველი გამოხედვა. ყოველი ბგერა!
ხელახლა თავი დაიმცირე, ამხილე კიდევ!
მე კი არაფერს არ ვიცრუებ და არ უარვყოფ.

ა ნ ტ ო ნ ი ო

თუ კიდევ რამე სათქმელი გაქვს, სთქვი, დაამთავრე;
თუ არა, მაშინ ხმას ნუ იღებ, ნუ მაწყვეტილებ!
ჩვენს შორის ჩხუბი ვინ დაიწყო, მე თუ ამ კაცმა,
ხუსტურიანმა, ბრალი რომელს მიგვიძღვის, პრინცი, —
ვრცელი კითხვაა, დაწვრილებით პასუხს მოითხოვს,
გადავდოთ მისი გამორკვევა გარკვეულ დრომდე.

ტ ა ს ო

რაო? მე ვფიქრობ, ეს კითხვაა უპირველესი:
ვინ არის ჩვენში დამნაშავე და ვინ მართალი.

ა ნ ტ ო ნ ი ო

არც მთლად ვგრეა, როგორც ფიქრობს ზღვარდაუღები
შენი გონება.

ა ლ ფ ო ნ ს ი

ანტონიო!

ა ნ ტ ო ნ ი ო

ო, მწყალობელო,

მე შენს შენიშვნას პატივსა ვეძებ, მაგრამ გაჩუმიდეს!
როცა ჩენს სათქმელს დავამთავრებ, განაგრძოს ტასომ
და შემდეგ თვითონ შენ გაგესაჯე. ერთს ვიტყვი მხოლოდ —

368

მე მასთან კამათს ვერ დავიწყებ, ვერ დავდებ ბრალსა,
ვერც თავის დაცვას შევუდგები და მით უნეტეს
ვერ გამოვიწვევ მას ღუელში, რადგანაც ტასო,
როგორცა ხედავ, როდი არის თავისუფალი,
მკაცრი კანონით არის იგი დამძიმებული,
შენს მოწყალებას ძალუძს იგი შეუმსუბუქოს.
ის დამემუქრა და ღუელში გამომიწვია;
ძლივს გადამალა შენს მოსვლამდე შიშველი დაშნა.
და რომ ჩვენს შორის, მბრძანებლო, არ ჩამდგარიყავ,
მეც ახლა შენს წინ ვიდგებოდი, ვით დამნაშავე,
მოვალეობის დამრღვეველი და შერცხვენილი.

ა ლ ფ ო ნ ს ი (ტასოს)

ვერ მოქცეულხარ კარგად, ტასო.

ტ ა ს ო

ჩემო ხელმწიფევე,

გული მაუწყებს, არ მიმიძღვის რაიმე ბრალი
და კარგად ვიცი, შენი გულიც ამასვე ამბობს.
მართალი გახლავს, დავემუქრე. გამოვიწვიე,
ვიშიშვლე დაშნა, მაგრამ იმას ვერც წარმოიდგენ,
რა ვერაგულად დამქრა თვისი ბოროტი ენით
და რარივ სწრაჟად მომიხახმა მღუღარე სისხლი,
რარივ გულგრილად, დამმვიდებით გამომიყვანა
მოთმინებიდან, ჩემი თავი მთლად დამავიწყა.
შენ მას არ იცნობ, ვერც გაიცნობ მას ვერასოდეს!
მე მეგობრობა შევთავაზე, მან კი უარყო,
ფეხით გასრისა მირთმეული ძვირფასი ძღვენი.
შენი წყალობის ღირსი სულაც არ ვიქნებოდი,
ამ ამბავს რომ არ მივეყვანე განრისხებამდე,
არც ღირსი შენი სამსახურის. თუ დავივიწყე
მე ეს ადგილი და კანონი, შემიხდე მაშინ!
არსად არ ძალმიძს დავიმცირო მე ასე თავი,
შეურაცხყოფა ესოდენი გადავიტანო.
და თუ გლალატობს შენ ეს გული, ან საკუთარ თავს
გადასდგომია, გთხოვ, სასტიკად დამსაჯო მაშინ,
სულ გამაძევე, შენმა თვალმა აღარ მიხილოს!

24 ი. ვ. გოთე

ანტონიო

როგორ აღვიღალ იკისრა ყრმამ ეს მიძიე ტვირთი,
 ხომ არ ჰგონია ის ტანსაცმლის პტვერს გააყოლოს.
 ასეთი რამე იქნებ კიდევ გაგვეკვირებოდა,
 რომ არ ვიცნობდეთ პოეზიის ჯადოსნურ ძალას,
 მას ხომ თამაში უყვარს ხოლმე შეუძლებელთან,
 თუმც მუქვება, ჩასთვალო ეს უბრალო საქმედ.
 უდადესობა მუდამ ცდალობს, მფარველი კალთა
 გადააფაროს ყველას, ვინც კი მას წმინდა სამყოფს,
 როგორც სავანეს ღეთაებისას, მიეკარება.
 და როგორც წმინდა საკურთხევის წინ ხდება ხოლმე,
 მის ზღურბლთან ყველა ვნებათ ღელვა მშვიდდება მყისვე.
 იქ მუქარის ხმა არ გაისმის, არც ხმალი ელავს,
 შეურაცხყოფა არ მოითხოვს შურისძიებას.
 ისეც საკმაო სივრცე რჩება სასახლის გარეთ
 შეურიგებელ მქინეარებას, შფოთსა და მტრობას.
 იქ დამუქრებას ვერ დაიწყებს ვერც ერთი მხდალი,
 იქ ვერუინ შესძლებს, რომ გაიქცეს ბრძოლის ველიდან.
 შინა მ.მეზმა ააგეს ეს მკვიდრი შენობა.
 საძირკვლად მისცეს სიმჭიდვე და უშიზროება.
 ფხიზლად სდარაჯობს მათ ღირსებას ეს სალოცავი.
 მიძიე სასჯელით დაამყარეს მათ ეს მძვიდობა.
 განდევნა, ციხე და სიკვდილი ემუქრებოდა
 მოლაღატეებს, პირუთვნელად სჯ და სამსჯავრო,
 ვერ აჩერებდა სიბრაღული სამართლის მახვილს
 და დამნაშავეც ცახცახებდა ყოველთვის შიძით.
 ახლა კი ვხედავთ, ამ ხანგრძლივი სიმშვიდის შემდეგ,
 კეთილზნობის სამეფოში კვლავ შემოიჭრა
 დაუცხრომელი მძვინეარება. განსაჯე ახლა
 ჩვენი ამბავი, დამნაშავე დასაჯე მკაცრად!
 მოვალეობის მტ.იცე საზღვრებს ვინლა შერჩება,
 თუ მას არ იცავს კანონი და ხელმწიფის ძალა.

ალფონსი

რაც არ უნდა სთქვათ და რის თქმაც არ შეგეძლოთ კიდევ,
 მოვისმენ იმას. რასაც მეტყვის თვით ჩემი გული.
 ჩემს წინ რომ უკეთ მოგეხადათ თქვენ თქვენი ვალი,

აღარც ამ მსჯავრის გამოტანა დამჭირდებოდა,
 რადგან ერთურთზე მჭიდროდ არის გადახლართული
 უსამართლობა და სიმართლე. ანტონიომ თუ
 შეურაცხყოფა მოგაყენა, უნდა როგორმე
 პასუხიც გაგცეს, როგორსაც კი მოითხოვ მისგან.
 მე კი ვისურვებ, შეამავლად რომ ამირჩიოთ.
 რაც არ უნდა ვთქვათ, შენი ქცევით, ჩემო ტორკვატო,
 ციხეს, ბორკილებს ინსახურებ. ნაგრამ მე მინდა
 შენი გულისთვის შევარძილო კანონი მკაცრი.
 დავტოვე, ტასო! შენს ოთახში დაჯექი მარტო,
 შენ თვითონ იყავ უარაული შენი თავისა.

ტასო

მე არის, მეფევე, მსჯავრი, შენგან გამოტანილი?

ანტონიო

ველარ გიცვნია მამობრივი ღმობიერება?

ტასო (ანტონიოს)

არაფერი მაქვს მე აწ შენთან სალაპარაკო.

(ალფონსს)

ჩემო მეფევე, შენი სიტყვით, ესოდენ მკაცრით,
 თავისუფალი ტყვედ მაქციე. დე იყოს ასე!
 შენ უფლება გაქვს. პატივსა ვცემ შენს წმინდა სიტყვას,
 უნდა ჩავახშო ღრმა დუმლიში გულისთქმა ჩემი.
 ჩემთვის ეს რაღაც ახალია, ისე ახალი.
 რომ ველარც კი გცნობთ ვერც შენ, ვერც ამ მშვენიერ ადგილს
 და საკუთარი ჩემი თავიც ველარ მიცვნია,
 მაგრამ ამ კაცს კი კარგად ვიცნობ! გემორჩილები,
 ხმას აღარ ვიღებ, თუმც შენგეძლო ბევრი რამ მეთქვა
 და თქმაც მმართებდა. ბაგე ჩემი დადუმებულია.

მაგრამ ეს უკვე ასე მოსჩანს, თქვენ დამნაშავედ
მე მიგაჩნევიართ და, რაც უნდა თქვას ჩემმა გულმა,
ტყვე ვარ მე უკვე, პატიმარი.

ა ლ ფ ო ნ ს ი

მსჯავრს ახვიადებ,

მისთვის ასეთი მნიშვნელობა არ მიმიცია.

ტ ა ს ო

რაც მოხდა, ჩემთვის არის ახლაც გაუგებარი,
თუქც აღარა ვარ ახლა უკვე პატარა ბავშვი,
გაუგებარი ამ ამბავში არა არის რა.
ღიახ, შემეძლო, რომ ყველაფერს მიემხვდარიყავი.
უცებ ნათელი ეფინება გონებას ჩემსას,
მაგრამ იმწამსვე იფარება წყვილიადით ისევ,
მე მესმის მხოლოდ ჩემი მსჯავრი, თავს ვიდრეც მდაბლად-
ისეც ამაოდ დაიხარჯა მრავალი სიტყვა.
ამიერიდან მიეჩევი სრულ მორჩილებას,
უძღურო კაცო, დაგაუიწყდა, თუ სად იყავი;
ღმერთთა დარბაზად მიიჩნე შენ ეს ადგილი.
ახლა კი დარტყმამ შეცარმა ძირს დაგანარცხა.
დაემორჩილე, რადგან ვაჟკაცს მუდამ შეფერის,
რომ ძნელი საქმე აღასრულოს დიდი ხალასით.
აჰა, ეს დაშნა, რომელიც შენ თვითონ მიბოძე,
როს საფრანგეთში გაეცილე მე კარდინალი;
ისე ვატარე, რომ სახელი არ გამითქვია
ამ დაშნისათვის, მაგრამ არცთუ შემირცხვენია
და იგი არც დღეს შევარცხვინე. გულდაწვეტილი
გიბრუნებ უკან, მბრძანებლო, ძვირფას საჩუქარს.

ა ლ ფ ო ნ ს ი

აღარც კი ფიქრობ, შენთვის რარიგ კეთილი მსურდა.

ტ ა ს ო

მორჩილებაა ჩემი ხვედრი და არა ფიქრი!
ახლა კი ჩემგან, სამწუხაროდ, ბედი მოითხოვს,
ეს დიდებული საჩუქარი რომ აღმეკვეთოს.
დაფნის გვირგვინით არ ამკობენ პატიმარს ხოლმე,
ჩემი თავიდან თვითონ ვიხსნი ამ მორთულობას,
თუმცა მეგონა, საუკუნოდ მებოძა იგი.
შე ძალზე ადრე მივალწიე ბედნიერებას
და, როცა თითქოს აღმაზევებს, დაგვარგე უცებ.
ჩემს თავს წავართვი, რის მიღებაც არავის ძალუძს,
რასაც მეორედ ვერ მიბოძებს ვერც ერთი ღმერთი.
საოცარია კაცთა ბედი, რარიგ გვცდის ხოლმე;
ვერ ავიტანდით ჩვენ ამ ტანჯვას, ბუნებას ჩვენთვის
რომ არ ებოძა სიცერცეტი, განუსჯელობა.
უბედურება გვასწავლის ჩვენ, რარიგ თამაშით
გავეანიოთ ფასუჩქმელი დოვლათი ჩვენი;
ხელს გავშლით ხოლმე და ხელიდან თვითონვე ეუშვებთ,
რომ გაჰქრეს იგი სამუდამოდ, დაუბრუნებლად.
დაფნის გვირგვინო, ცრემლმორევით გეამბორები
და მიეცევი სამუდამოდ დავიწყებასა.
ხუვინ დამძრახავს, ცრემლი არის უძვირფასესი
ნიშანი ჩვენი სისუსტისა. ვინ არ იტირებს,
როცა უკვდავიც ვერ ასცდება განადგურებას?
უამხანაგე შენ ამ დაშნას, თუმცა არა ხარ
მასი წყალოაით მოხვეჭილი, შემოეხვიე
და განისვენე, ვით კუბოზე უმამაცესთა,
საფლავზე ჩემი ნეტარების, ჩემთა იძელთა.
აქ ვღებ, შენს ფერხთით, მათ ორივეს ჩემივე ნებით,
რადგან ვის უნდა იარაღი, თუ შენ მრისხანებ
და ან გვირგვინი, თუა შენგან უარყოფილა?
მივიდივარ, როგორც პატიმარი, და ველოდები
სამსჯავროს შენსას, შენს განაჩენს სამართლიანსა.

(ტ ო რ კ ვ ა ტ ო ჯ ა დ ის. ა ლ ფ ო ნ ს ი ს ნ ი შ ა ნ ზ ე პ ა თ ი
ი ლ ე ბ ს და შ ნ ა ს ა _ და _ გ ვ ი რ გ ვ ი ნ ს _ და _ გ ა ჯ კ ს .)

მეხუთე გამოცვლა

ალფონსი. ანტონიო.

ანტონიო

როგორ ოცნებობს ეს ყმაწვილი? რა მკვეთრ ფერებით ხატავს ტორკვატო თავის ბედს და თავის ღირსებას? გამოუცდელი სიჭაბუკე განსაკუთრებულ, რჩეულ არსებად წარმოიდგენს თავის თავს ხოლმე, და საკუთარი თავის სჯერა ყველაზე მეტად. დაე დასჯილად მიიჩნიოს მან ახლა თავი და ამ სასჯელმა მოუტანოს სიკეთე ყმაწვილს, რომ დაგვიმადლოს, როცა კაცი გახდება იგი.

ალფონსი

ის დაისაჯა! მაგრამ ვშიშობ, რომ ძალზე მკაცრად.

ანტონიო

თუკი შენ ძალგის ღმობიერად მოექცე ტასოს, მაშინ ახლავე დაუბრუნე თავისუფლება და ჩვენი დავა გადაწყვიტოს მახვილმა მხოლოდ!

ალფონსი

დიახ, თუკი ეს მოითხოვა ღირსების დაცვამ. მაგრამ ეს მითხარ, შენ ტორკვატო რით გაარისხე?

ანტონიო

როგორ დაიწყო ჩვენი დავა, ალარკ კი მახსოვს. იქნება მე მას ვაწყენინე. ვით აღამიანს, მაგრამ სულაც არ შეურაცხვეყავ, ვით აზნაური.

ერთი უშვერი სიტყვა არც კი წამოსცდენია ტასოს ბაგეებს.

ალფონსი

სწორედ გვრე ვფიქრობდი მეცა და მასში უფრო დამარწმუნა ნათქვამმა შენმა. ჩხუბის დროს ხშირად დანაშავედ მოჩხუბართ შორის უფრო ქვიანი მიაჩნიათ და არც შენ უნდა მოგსვლოდა გული, რადგან უფრო შეგშენდებოდა მისი ქკუაზე დარიგება. ჯერ კიდევ დროა. მიზეზს ვერ ვხედავ თქვენი მტრობის გასაღვივებლად. ვიდრე მძვილობა სუფევს ქვეყნად, მინდა ჩემს სახლშიც მისი ნაყოფით გავიხარო. მაშ ალაღინე სიმშვიდე ისევე. ეს იოლი საქმეა შენთვის. ადვილად შესძლებს ლეონორა მის დამშვიდებას თავისი ნაზი ბაგეებით, ტყბილი საუბრით. მაშინ შენ მიდი ტორკვატოსთან, ჩემი სახელით თავისუფლება დაუბრუნე და შეეცადე, რომ მოიპოვო მისი ნდობა მართალი სიტყვით. მოაწესრიგე ყველაფერი ისე, ვით ძალგის ყოველთვის ხოლმე. ჩემს წასვლამდე მინდა შევიტყო, რომ თქვენ შერაგდით, ჩამოვარდა მშვიდობა ისევე. თუ მოინდომებ, რაა შენთვის შეუძლებელი? სჯობს, ორიოდ საათით ჩვენ აქ მეტხანს დავრჩეთ და მანდილოსნებს მივცეთ იმის საშუალება, ის საქმე ნაზად დაასრულონ, რაც შენ დაიწყე. როდესაც უკან დავბრუნდებით, უსიამოვნო თქვენი ჩხუბიდან არ დაგხვდება მცირედი კვალიც. შენ ხომ უსაქმოდ არასოდეს არ გაჩერდები: ვერც კი მოასწარ დასრულება პირველი საქმის, ჩამოხვედი და შეუდექი მეორეს მყისვე. არ მეტყვება, ამ საქმესაც რომ მოაგვარებ.

ანტონიო

დარცხენილი ვარ, შენს სიტყვებში, როგორც სარკეში,
ნაოლადა ვხედავ ჩემს შეცდომას, ჩემს დანაშაულს!
რა იოლია ემსახურო ისეთ მბრძანებელს,
ვინაც გვარწმუნებს თავის აზრში, გვიბრძანებს თანაც.

მესამე მოქმედება

პირველი გამოცვლა

პრინცესა (მარტო)

ნეტავ სად გაქრა ლეონორა? შიშს შევუპყრივარ,
უფრო და უფრო შეშფოთებით სცენს ჩემი გული.
რა მოხდა, კარგად არც კი ვიცი, ვერც ის გავიგე,
რომელი არის დამნაშავე ამ ორთა შორის.
ო, ნეტავ მალე გამოცხადდეს. არ მინდა შევხვდე
არც ანტონიოს და არც ჩენს ძმას, სანამდე უფრო
არ დაემშვიდდები, არ შევიტყობ ყველაფერს კარგად,
რაშია საქმე, რა შედეგი მოჰყვება ამას.

მეორე გამოცვლა

პრინცესა. ლეონორა.

პრინცესა

რა ამბავია, ლეონორა, ახლავე მითხარ:
რა მოხდა ნეტავ, ჩვენს მეგობრებს რა დაემართათ?

ლეონორა

ველარ გავიგე, რაც ვიცოდით, იმაზე მეტი,
ერთუბრის სასტიკად შეეტაკნენ, ტორკვატომ თურმე
დაშნა იშიშვლა, მაგრამ ამ ღრის მათ თავს წაადგა

შენი ძმა და მყის გააშველა. ეს კი ცხადია,
რომ ჩხუბი ტასოს დაუწყია, რადგანაც იგი
ოთახში ჯარტოდ ჩაკეტილა, ვით პატიმარი,
ანტონიო კი დასეირნობს ბატონთან ერთად.

პრინცესა

ჩანს, შეურაცხყო მან ტორკვატო გულგრილი ტონით.

ლეონორა

მეც მაგას ვფიქრობ; ტასო ჩვენსკენ რომ მოდიოდა,
შუბლმოდრუბლული იყო ძალზე.

პრინცესა

ო, რარიგ ძლიერ

გადავეჩვიეთ, მივეყვებოდეთ გულის უტყვე ნიშანს.
ღმერთი ჩუმაღ და გასაგებად გვანიშნებს ხოლმე,
თუ რისკენ უნდა ვისწრაფოდეთ, რას გავუბრუნოდეთ.
უფრო პირქუში მომეჩვენა დღეს ანტონიო,
ბევრად პირქუში, ვიდრე წინათ მინახავს იგი.
გული მე თითქოს მაფრთხილებდა, მეუბნებოდა,
როს ტასოს შეხვდა: ორივე კაცს შეხედე მხოლოდ,
მათ გარეგნობას, სახეს, მზერას. ქცევას და კილოს,
რითაც ისინი ერთურთისგან განსხვავდებიან;
არა, არ ძალუძთ ერთმანეთი მათ შეიყვარონ.
მაგრამ იმედი, მატყუარა, კი მარწმუნებდა:
კეთილშობილნი, განსწავლულნი და გონიერნი
არიან შენი მეგობრები და ამგვარ კაცთა
კავშირზე მტკიცე, უფრო გამძლე სხვა რაა ქვეყნად?
მე ავაჩქარე ახალგაზრდა, მთლად დამყვა იგი;
ო, ნეტავ ასე მესაუბრა ანტონიოსთან!
მე ვაუოგნებდი, დრო კი ასე მცირედა დარჩა;
ვშიში ბდი, მისთვის თავიდახვე რომ წარმედგინა
გამოუტყდელი ახალგაზრდა. მისი ზრდილობის,

დარბაისლობის, ქვეყნის ცოდნის მქონდა იმედი,
რომელიც ხშირად სასტიკ მტრებსაც არიგებს ხოლმე.
არ შეშინოდა, ფიცხ ყრმასავით მოიქცეოდა
ეს გამოცდილი მამაკაცი. ეს უკვე მოხდა!
ჩვენგან რატომღაც შორს მეგონა უბედურება,
მაგრამ ის უკვე თავს დაგვატყდა. მიჩივი, რა ვქნათ?

ლეონორა

მგონი, თვითონვე კარგადა გრძნობ, რარიგ ძნელია,
რაც შენ მითხარი, იმაზე რომ გირჩიო რამე.
ეს როდი არის შეჯახება მსგავსი სულების,
როცა სიტყვებით ან ღუელით ადვილად ძალგვიძს
გამოვასწოროთ საქმე ხოლმე. არა, ეს ორი
ადამიანი ერთმანეთის მოსისხლე მტერი
იმიტომ არის, კარგად ვგრძნობ მე დიდი ხანია,
რომ თვით ბუნებამ ამ ორთაგან ვეო შექმნა ერთი.
ისინი, ვფიქრობ, ქვეიანურად მოიქცეოდნენ
და სასარგებლოც იქნებოდა ორივესათვის,
რომ შეკრულიყვნენ მეგობრული კავშირით მტკიცედ.
მაშინ ორივე იდგებოდა, ვით ერთი კაცი,
და ცხოვრებაში განუყრელად ივლიდნენ ერთად.
ასე ვფიქრობდი, მე ამისი იმედი მქონდა,
ახლა კი ვხედავ, რომ ამაოდ მიოცნებია.
მწამს, მოგვარდება დღევანდელი განხეთქილება,
იგი როგორც უნდა იყოს, მაგრამ მათ შორის
მტკიცე თანხმობამ რომ გასტანოს შორ მომავლამდე,
და თუნდ ხვალამდე, ნუ გვექნება ამის იმედი.
უმჯობესია, ჩემის აზრით, რამდენიმე ხნით
დაგეტოვოს ტასომ. შეუძლია რომს გაემგზავროს,
მოინახულოს ფლორენციაც. იქ რანდენიმე
კვირის შემდეგ მეც შევხვდებოდი და მოვახდენდი
პოეტის სულზე კარგ გავლენას, ვით მეგობარი.
შენ კი აქ ამ დროს დარჩებოდი ანტონიოსთან,
ჩვენთვის რომ ასე უცხო გახდა, და მეგობრული
მოპყრობით ისევე განაწყობდი გულწრფელი ნდობით
როგორც შენს მიმართ, ისე შენი მეგობრებისაც.

ის, რაც გვგონია ახლა ასე შეუძლებელი,
იქნებ კეთილმა დრომ გადასჭრას და მოგვანიჭოს.

პრინცესა

შენ გინდა დასტკბე, მეგობარო, მე კი განცხრომას
უნდა ნოვაკლდე: სადღა არის აქ სამართალი?

ლეონორა

შენ არაფერს არ მოაკლდები, გარდა იმისა,
რისგან დატკობა არც აქ ძალგდის, ამ შემთხვევაში.

პრინცესა

ასე გულგრილად მეგობარი გავლევნო ჩემი?

ლეონორა

შეინარჩუნებ, მოჩვენებით განლევნი მხოლოდ.

პრინცესა

ჩემი ძმა მას ვერ შეეღევა დიდი ხალისით.

ლეონორა

დაგვეთანხმება, თუ ამ საქმეს ჩვენებრ უყურებს.

პრინცესა

რარიგ მიძიება მეგობარი გასწირო მსხვერპლად.

ლეონორა

მხოლოდ ამ მსხვერპლით შეგიძლია დაიხსნა იგი.

პრინცესა

არა, არ ძალმძის ამ საკითხზე თანხმობა მოგცე.

ლეონორა

მამ დაელოდე ამაზე დიდ უბედურებას!

პრინცესა

ასე მაწამებ და არც იცი, მშველი თუ არა.

ლეონორა

ჩაღე გავიგებთ, თუ ჩვენს შორის რომელი სცდება.

პრინცესა

დე ეგრე იყოს, აღარ მკითხო აღარაფერი.

ლეონორა

ის, ვინც გადასწყვეტს, მწუხარებას დასძლევს კიდევაც.

პრინცესა

ვერ გადავწყვიტე, მაგრამ დაე ეს ასე მოხდეს,
თუკი იგი არ გაგვშორდება ხანგრძლივი დროით! —
ნება მოგვეცი, ლეონორა, ვიზრუნოთ მასზე,
რომ მომავალში გაჭირვება არ განიცადოს,
რომ მას ჰერცოგმა დახმარება აღმოუჩინოს,
შორს მყოფსაც მისცეს არსებობის საშუალება.
უთხარი შენ ეს ანტონიოს, რადგან ჩემს ძმაზე
მის სიტყვას დიდი გავლენა აქვს, ნულარ დაიწყებს
ჩხუბსა და დავას ნურც ჩვენთან და ნურც ტორკვატოსთან.

ლეონორა

აქ შენი სიტყვა, რა თქმა უნდა, უფრო მეტს ნიშნავს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

არ შემიძლია, მეგობარო შენც კარგად იცი,
ჩემთვის და ჩემთა კეთილთათვის ვითხოვო რამე,
ისე, როგორც ეს შეუძლია ჩემს დას ურბინოს.
მე აქა ვკხოვრობ ჩემთვის მშვიდად, სიამოვნებით
და ძმისგან ვიღებ ყოველივეს მაღლობის გრძნობით,
რისი მოცემაც სურს ყოველთვის და შეუძლია.
მე ამის გამო ბევრ საყვედურს ვიღებდი წინათ
გარეშეთაგან, თუმც ეს გრძნობა დაეძლიე უკვე.
ერთი დობილი ახლაც კიდევ მძრახავს ამაზე:
უანგარო ხარ, ამბობდა ის, მშვენიერია,
ეს კია მხოლოდ, ისე ძლიერ ხარ უანგარო,
რომ კარგად ვერ გრძნობ მეგობრების საჭიროებას.
მე შევეურიგდი ამგვარ ანბავს. უნდა გულგრილად
გადავიტანო ეს გაკიცხვა და საყვედური.
მით უფრო დიდად მიხარია, რომ ახლა საქმით
ძალმის მეგობარს გამოვადგე. სულ მალე დედის
მემკვიდრეობას მივიღებ და სიამოვნებით
დავეხმარები ტასოს მამინ.

ლ ე ო ნ ო რ ა

ჩემო პრინცესა,

ამ შემთხვევის დროს მეც მეძლევა საშუალება,
გამოვიჩინო მეგობრობა ტოკვატოს მიმართ,
იგი ხომ ცუდი მეურნეა და, რაც არ იცის,
დავეხმარები იმ საქმეში, მე ვუწინამძღვრებ.

პ რ ი ნ ც ე ს ა

მაშ წაიყვანე, რაკი უნდა დავკილდე მე მას,
ამიერიდან დაე იგი შენ გეკუთვნოდეს,
რადგანაც შენ გაქვს სხეებზე მეტი ამის უფლება!
აშკარად ვხედავ. უკეთესი იქნება ასე.
ნუთუ ნამდვილად მხსნელ სიკეთედ უნდა ჩავთვალო
ეს მწუხარება? ჩემი ბედი ასეთი იყო
ბავშვობიდანვე. შევეჩვიე ამგვარ ხედვას უკვე.
ასეა მუდამ: მშვენიერი ბედნიერების

დაკარგვას მხოლოდ ნახევრად ვგრძნობთ, იოლად ვიტანთ,
როცა არ ძალგვის მისი მუკიყედ შენარჩუნება.

ლ ე ო ნ ო რ ა

სე კი მგონია, შენს ღირსებას ვით ეკადრება,
ბედნიერი ხარ.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ბედნიერი, ელეონორა?

მაგრამ ვინ არის ბედნიერი? ნუთუ შემეძლო
ჩემი ძმისათვის ბედნიერი მეწოდებინა,
რადგან თავის ხედვას ურიგდება ის მუდამ მშვიდად?
არა, რასაც ის იმსახურებს, რაც ეკადრება,
ბედის წყალობით არასოდეს მინიჭებია.
არის ჩემი და ბედნიერი? ის მშვენიერი
დედაკაცია, სულგრძელი და კეთილშობილი,
მაგრამ ჭაბუკ ქმარს ვერ შესძინა ვერც ერთი შვილი.
ქმარი პატივს სცემს, ურიგდება ამ მწუხარებას
და მათ ოჯახში სიხარული არ სუფევს მაინც.
რამე უშველა დედას ჩვენსას მაღალმა ჭკუამ,
დიდმა გონებამ, ფართო ცოდნამ ყოველი სახის?
თუ დაიფარეს უჩვეულო შეცდომისაგან?
მას დაგვაშორეს, ახლა კი ის მკვდარია უკვე
და შვილებს იმის ნუგეშიც კი არ დაგვიტოვა,
რომ მოკვდა იგი თავის ღმერთთან შერიგებულად.

ლ ე ო ნ ო რ ა

ნუ უცქერ იმას, რაც ამქვეყნად გვაკლია ყველას,
რაც გაგვაჩნია, მას უყურე მხოლოდ და მხოლოდ!
შენ კი რაღა არ გაგაჩნია, ჩემო პრინცესა?

პ რ ი ნ ც ე ს ა

რა გამაჩნია? მოთმინება, ელეონორა!
ბავშვობიდანვე შევეჩვიე მე მოთმინებას.
როცა და-ამები, მეგობრები მხიარულობდნენ,
მე ჩემს ოთახში გამომკეტა ავადნყოფობამ.
მუდმივს ტანჯვაში, წამებაში, აღრე ვისწავლე

ჩემს სურვილებზე უარის თქმა, და ერთადერთი,
რაც მე მატკობდა, ნუგეშს მცემ და სიმარტოვეში,
იყო სიმღერის სიხარული: საკუთარ თავთან
ვიწყებდი ბაასს მე თვითონვე. უნახეს ჰანგით
ვიკლავდი წყურვილს, ვიყუჩებდი ტკივილს და ვნებას-
მაშინ განცხრომად იქცეოდა ტანჯვა ყოველთვის
და ჰარმონიად — მწუხარებით აღსავსე გრძნობა;
მაგრამ მე დიდხანს არ მწყალობდა ამგვარი ბედი.
მალე სიმღერაც ამიკრძალა მკაცრმა ექიმმა
და დაადღემა ჩემი ბაგე. უნდა მეცხოვრა
მხოლოდ იმისთვის, რომ მეტანჯა და ამ ერთადერთ
მცირე ნუგეშსაც მოვეკლებოდი.

ლ ე ო ნ ო რ ა

მაშინ შენს ირგვლივ

ხომ ძალზე ბევრი მეგობარი იყრიდა თავსა;
ახლა კი ისევ ჯანმრთელი ხარ, ხალისით სავსე.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ჰო, ჯანმრთელი ვარ, ესე იგი, აღარ ვარ ავად
და მყავს მრავალი მეგობარიც, ბედნიერი ვარ
მათი ნამდვილი ერთგულებით. მაგრამ მათ შორის
მე მყავდა ერთი მეგობარი საუკეთესო.

ლ ე ო ნ ო რ ა

ისევ გყავს იგი.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ახლა კი მას დავკარგავ მალე.

მნიშვნელოვანი იყო დადად ის წამი ჩემთვის,
როცა პირველად ვნახე იგი. ძლივს გადავურჩი
უამრავ ტანჯვას; ტკივილმა და ავადმყოფობამ
ის-ის იყო რომ გამიარა, გაუბედავად
შევხედე ისევ მე სიცოცხლეს, კვლავ შევხაროდი
ცხოველმყოფელ მხეს, ძვირფას და-ძმებს და ხარბად ვსვამდი
ტკბილი იმედის მომნაქებელ უწმინდეს ნექტარს.
მაშინ ცხოვრებას უფრო ფართოდ მივაპყარ თავლი,

სად მეგობართა სახეები შემომხვდნენ შორით.
პირველად მაშინ თვით ჩემსა დამ წარმოძიდგინა
ქაბუკი იგი, ხელგაყრილი რომ მოჰყვე ოდა.
გამოგიტყდები, ჩემსა გულმა მიიღო წამსვე
და მის სიღრმეში სამუდამოდ დარჩება იგი.

ლ ე ო ნ ო რ ა

ჩემო პრინცესა, ნუ ინანებ! კეთილშობილი
სულის შეცნობა არის ჯილღო უძვირფასესი,
რასაც ვერაინ ვერ წაგვართმევს ჩვენ ვერასოდეს.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ძვირფასს, მშვენიერს, საუცხოოს უნდა ვუფრთხოდე,
ვითარცა იმ აღს, დიდებულად რომელიც გვატობს
მანამდე. ვიდრე შენს კერაში ანთია იგი,
ან ჩირალნიდან თვალწარმტაცად ციმციმებს ხოლმე.
აბა მითხარით. მაშინ უარს ვინ იტყვის ძასზე?
მაგრამ როდესაც იგი ირგვლივ ყველაფერს შთანთქავს,
უბედურებას თავს დაგვატეას. ჩამომეხსენი!
ყბედი ვარ, ყბედი, მერჩივნა არ გამენდო შენთვის
ჩემი სისუსტე, მწუხარება ჩემი გულისა.

ლ ე ო ნ ო რ ა

ეგ სნეულება უფრო მაშინ განიკურნება,
როცა ჩვენს ვარამს სხვას გაუანდობთ, შეეჩივლებთ ხოლმე.

პ რ ი ნ ც ე ს ა

რაკი ეგრეა. მაშინ მალე ნოვრჩები აღბათ.
მე ყველაფერი გაგიმხილე, გულწრფელად გენდე.
ეჰ, ჩემო კარგო მეგობარო. თუმცა გადავწყვიტე
ტორკვატოს წასვლა, მაგრამ უკვე ვგრძნობ წინასწარვე
სევდიან დღეთა ხანგრძლივ ტკივილს ილაჯისგამწყვეტს;
თუკი მე უნდა მას განვშორდე. რაც მახარებდა,
მზე ჩემს თვალთა წინ ვერასოდეს ვერ მოჰფენს ნათელს
მშვენიერ სახეს, უნეტარეს სიზმარში ნახულს.
ნახვის იმედი ძლივძლივობით გაღვიძებულ სულს
ველარ აღსკებს ლხენით სავსე მწველი სურვილით
25 ი. ვ. გოეთე

და ჩვენი ბალის მწუანე ტევრში, ხეების ჩრდილში,
მას ჩემი მზერა სულ ამაოდ დაუწყებს ძეზნას.
ოპ, რარიგ დიდად კმაყოფილი ვიკლავდი წყურვილს,
როცა ვტკბებოდი მასთან ყოფნით ყოველ საღამოს.
შეხვედრების ჟამს გვეზრდებოდა მოთხოვნილება,
ახლოს გაგვეცნო ერთმანეთი, გაგვევო კარგად!
და ჩვენი სული მშვენიერი, ყოველთვის წმინდა,
ტკბილ ჰარმონიით ივსებოდა ყოველდღიურად.
ახლა კი, პოი, რა წყვდიადა ჩამოწვა ჩემს წინ!
მზის ბოწყინვალეობა, დღის ნათელის წარმტაცი გრძნობა
და ათასფერად მოციმციმე სანყარო მთელი
დაცარიელდა, გაეხვია ხშირ ნისლში უკვე
და მეც გარშემო შემომრტყმია ეს მუქი ნისლი.
თუ ჟწინ ჩემთვის მთელ ცხოვრებას წარმოადგენდა
ყოველი წუთი, აღარ ვგრძნობდი შიშსა და ზრუნვას
და წინაგრძნობაც იყო ჩემში დადუმებული:
ბედნიერ მგზავრებს უიალქნოდ მიგვაქანებდა
მსუბუქ ზვირთებზე ნელი რწვევით სწრაფი დინება,
ახლა კი დიდი სწუხარებით აღესილა აწმყო
და შემპარვია გულში უკვე მომავლის შიში.

ლ ე ო ნ ო რ ა

შენ მომავალი დაგიბრუნებს მეგობრებს იცე,
კვლავ მოგანიჭებს სიხარულს და ბედნიერებას.

პ რ ი ნ ც ე ს ა

რასაც ახლა ვფლობ, მსურს ხალისით შევინარჩუნო,
ცვლილებისაგან სარგებლობას მე არ მოველი,
ახალგაზრდული გატაცებით ხელს არა ვყოფდი
საბედისწერო ლარნაკში, რომ იქიდან ჩემთვის
უცხო რამ ნივთი ამომელო ფიქრთ გასართველად.
როგორ შემეძლო, რომ პატივი არ მეცა მისთვის,
და ამიტომაც, ამიტომაც მიუვარდა იგი.
არც ის შემიძლო, რომ მე იგი არ მეყვარებოდა.
რადგან პირველად ტორკვატოსთან შევიცან მხოლოდ,
ჩემს ცხოვრებასაც რომ ნამდვილი ცხოვრება ერქვა.
„განმორდი ტასოს!“ — ჩემს თავს ასე ვუბნებოდი

და ვშორდებოდი, ვშორდებოდი, მეგონა, თითქოს,
თურმე კი ახლოს მავდიოდი უფრო და უფრო,
ჩენს უნებურად მივყვებოდი სასურველ ძახილს
და ამიტომაც დავისაჯე ასე სასტიკად!
წმინდა სიკეთე, სიხარული, ბედნიერება
მიპქრიან ჩემგან სამუდამოდ, დაუბრუნებლად;
ტანჯვას მთავაზობს მათ სანაცვლოდ ბოროტი სული.

ლ ე ო ნ ო რ ა

რაკი შენ ახლა ვერ გამშვიდებს მეგობრის სიტყვა,
მაშინ ქვეყანა, მშვენიერი. საკუთარ ძალით
და კეთილი დრო განგკურნავენ მთლად შეუმჩნეველად.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ღიან, რომ მართლაც მშვენიერი არის ქვეყანა!
მის სიერცეებზე უამრავი სიკეთე სუფევს;
სამწუხაროა, ეს სიკეთე რომ მოჩანს ჩვენგან
დაშორებული მუდამ მხოლოდ ერთი ნაბიჯით
და ჩვენს მორცხე სურვილს მიიტყუებს ის ნაბიჯ-ნაბიჯ,
მთელი სიცოცხლე, ბავშვობიდან კუბოს კარამდე.
კაცი ამქვეყნად იშვიათად მიაღწევს იმას,
რაც უმკველად განკუთვნილი ჰგონია მისთვის
და იშვიათად შეუძლია შეინარჩუნოს
იგი, რაც ერთხელ შეუპყრია ბედნიერ ხელით!
რისი შეპყრობაც ერთხელ შევძლეთ, იგი ხელიდან
სწრაფად გვეშვება, და იმას კი, რასაც ჩვენ ხარბად
ვეჭიდებოდით, ჩვენ თვითონვე ხელიდან ვუშვებთ.
არა, არსებობს ქვეყანაზე ბედნიერება,
მაგრამ ვერა ვცნობთ და, თუ ვიცნობთ, არ ვუფრთხილდებით.

მ ე ა ა მ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

ლ ე ო ნ ო რ ა (მართო)

რა მეცოდება გული ასე კეთილშობილი!
რა უბედური, სამწუხარო ბედი რგებია!
ის ჰკარგავს და შენ გსურს მოიგო ეს დანაკარგი?
ნუთუ გპირდება, რომ აქედან წავიდეს ტასო?

ან იქნებ ამას შენ აკეთებ იმისთვის მხოლოდ,
რომ ტორკვატოს გულს და ბრწყინვალე ნიქს დაეუფლო,
რომელთაც დღემდე სხვასთან ერთად არათანაბრად
ინაწილებდი? თუ იქცევი შენ პატიოსნად?
რაღა გაკლია? საკმარისად არ ხარ მდიდარი?
სუყველაფერი გაგაჩნია: მეუღლე, შვილი,
ავლადიდება, წოდება და მშვენიერება
და გინდა ახლა იგიც გყავდეს ამასთან ერთად?
გიყვარს შენ იგი? თუ აო გიყვარს, მაშ რად არ ძალგმძს,
მას ჩამოშორდე? სჯობს, საკუთარ თავს გამოუტყდე,
რომ გზიბლავს შენი ანარეკლი მის ლამაზ სულში!
განა არ არის ორგზის დიდი და დიდებული
ბედნიერება, როცა მგოსნის ციური პანგი
გვგონია, თითქოს ლაქვარებში აგვ ფრენს ხოლმე?
მაშინ ხარ ღირსი, შეხი ხვედრი შემურდეს ყველას.
გაქვს არა მარტო იგი. რასაც მრავალი ნატრობს,
აოამედ ისიც ყველამ იცის. რის ხარ მკლობელი.
მაშინ სამშობლოც შემოგყრებს აღტყებული
და მოწიწებით წარმოსთქვამს ის შენს დიად სახელს,—
აი, მწვერვალი ყოველგვარი ბედნიერების.
ნუთუ სახელი ლაურაა მხოლოდ და მხოლოდ,
რომელიც ქველა ნახმა ბაგემ წარმოსთქვას უნდა?
და მარტოდენ პეტრარკას აქვს იმის უფლება,
რომ გააღმერთოს მთლად უცნობი მშვენიერება?
სად არის კაცი, ჩემს მეგობარს რომ შეედაოოს?
როგორც ამჟამად აღიღებს მას მთელი ქვეყანა,
სწორედ ასევე მოიხსენებს შთამომავლობაც.
დიდებულია, ამ ცხოვრების ბრწყინვალეებაში
რომ მიდიოდე ტასოს გვერდით და მასთან ერთად
ლალი ნაბიჯით მომავალსაც მიუახლოვდე!
მაშინ უძღური იქნება დრო, ვერ მოგერევა
თვითონ სიბერე, ვერცთუ კილეა დაგაკლებს რამეს,
ყველგან რომ დასდევს მოწონების ცვლებად ტალღას:
ყველაფერს, რაც კი ქვეყანაზე წარმავალია,
დავიწყებისგან დაიფარავს სიმღერა მისი;
შენ ჯერჯერობით ლამაზი ხარ და ბედნიერიც,
თუმც გაგიტაცა ამ ცხოვრების ორომტრიალმა.

იგი შენ უნდა გეკუთვნოდეს აუცილებლად.
ელეონორა ამით სულაც არაფერს ჰქარავს,
რადგანაც მისი გატაცება ღიოსეულ კაცით,
ჰგავს მის სხვა ვნებებს, როპელთ ძალუთ ციმციმი მხოლოდ
და, მთვარის მკრთალი შუქის მსგავსად, ძლივს ანათებენ
ლამით მიმავალ მოგზაურის დაბინდულ ბილიკს.
კაცს არ ათბობენ და გარშემო არ იფრქვევიან
არც სიხარულად, არც სიცოცხლის ტყბილ ნეტარებად.
პრინცესა დიდად გაიხარებს. როცა გაიგებს,
მისგან შორსმყოფი ტორკვატო რომ ბედნიერია,
ვით აქ ტყებობდა მისი ნახვით ყოველდღიურად.
და თანაც, ჩვენ ხომ სამუდამოდ არ ვეთხოვებით
არც ამ სასახლეს, არც პრინცესას. მე დავბრუნდები,
ისევ მოვიყვან ტორკვატოსაც. დე ასე იყოს!
აი, პირქუში მეგობარიც აქეთკენ მოდის;
ვნახოთ, რარიგად შევიძლებთ ჩვენ მის მორჯულებას.

მეოთხე გამოცხლა

ლეონორა. ანტონიო.

ლეონორა

შენ ომი მოგაქვს. ანტონიო, მშვიდობის ნაცვლად;
თითქოს მოდიხარ ბანაკიდან, ცხარე ბრძოლიდან,
სად ძალა მეფობს, ყოველივეს სწყვეტს მხოლოდ მკლავი,
და არა თვითონ დიდებული რომიდან. სადაც
კურთხევით ხელნი აღუპყრია ცისაკენ სიბრინეს,
თავის ფერხითთ კი მთელ ქვეყანას დამხობილს ხედავს.

ანტონიო

ატანა მმართვეს, მეგობარო, მაგ საყვედურის,
მაცრამ მე აქვე შემიძლია ვიმართლო თავი.
სამიში არის, როცა უნდა თავი გეჭიროს
ყოველთვის ბრძნულად, ზომიერად. ბოროტი სული
ფხიზლად გდარაჯობს, იგი გვერდით მოგყვება მუდამ
და სურს დროდადრო მსხვერპლი ძალით მიიღოს ხოლმე.
აი, მეც ახლა, სამწუხაროდ, გავიღე მსხვერპლი,—
დიდი ზიანი მივაყენე მეგობრებს ჩემსას.

ლ ე ო ნ ო რ ა

დიდხანს იყავი, ანტონიო, უცხოთა შორის
და დიდად დამერი მათთან დავით. რომ შენი აზრი
მიგელდებინა, ახლა კი კვლავ ნეკობრებს ხედავ,
მაგრამ ველარ სცნობ, ედავები, ვით უცხოელებს.

ა ნ ტ ო ნ ი ო

აი, სწორედ აქ იმალება საშიშროება!
როს უცხო ხალხში ვიმყოფებით, ძალ-ღონეს ვაძავეთ,
ფხიხლად ვადევნებთ თვალს ჩვენ თავსა, ყველაფერს ვამჩნევთ,
ყოველმხრივ ვცდილობთ, მოკიპოვით მათი კეთილი
განწყობილება, ავისრულოთ მიზანი ჩვენი.
მეგობრებთან კი თავისუფლად ვიპტევიით უფრო,
ვისვენებთ მათი სიყვარულით გარემოცული,
ჟინიანობის ნებას ვაძლევთ საკუთარ თავსა;
აღვირახსნილი ხდება ხოლმე ვნებები ჩვენი
და უნებლიეთ შეურაცხვეყოფთ ყველაზე უწინ
მათ, ვინც ყველაზე მეტად გვიყვარს.

ლ ე ო ნ ო რ ა

მაგ მშვიდ სიტყვებზე,
დინჯ მსჯელობაზე სიხარულით გიცანი ისევ,
ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ა ნ ტ ო ნ ი ო

დიახ, მწყინს დიდად,—
მეც ვაღიარებ, რომ დღეს საზღვარს გადავცდი ასე.
მაგრამ უნდა ვთქვა, როცა კაცი პატიოსანი
ბრუნდება ხოლმე მუშაობით დაღლილი ძალზე
სააძო ჩრდილში საღამო ხანს დასასვენებლად,
რომ ხვალისათვის მოიკრიბოს ძალ-ღონე ისევ,
და უცებ ხედავს, ამ ჩრდილს ვიღაც უსაქმო კაცი
დაუფლებია, ნუთუ იგი არ იგონობს რაღაც
ადამიანურ სიამაყეს, კაცურ ღირსებას?

ლ ე ო ნ ო რ ა

თუკი ნამდვილად არის იგი ადამიანი,
მაშინ ის ამ ჩრდილს უნაწილებს მეორე კაცსაც,

რომელიც თავის ტკბილ საუბრით საამოს გახდის
მის დასვენებას, მუშაობას შეუწყობუქებს.
ხე ხომ ფართო ჩრდილს, მეგობარო, იძლევა ხოლმე
და არ გვჭირდება ერთმანეთის შევიწროება.

ა ნ ტ ო ნ ი ო

რისთვის გვჭირდება, ლეონორა, სიტყვის თამაში,
რად გვინდა ისევ შედარება მოვიშველიოთ.
უამრავია წუთისოფლად ისეთი ნივთი,
სხვას რომ ვუბოძებთ და ხალისით გავუზიარებთ,
მაგრამ არსებობს ერთი განძი, რომელიც მხოლოდ
ეძლევა იმას, ვინც ნამდვილად ღირსია მისი.
არის მეორეც, მაგრამ მისი გაზიარება
მასთან. ვინც ამას იმსახურებს, არ ნებავთ ხოლმე.
თუ შკიხხავ, გეტყვი: პირველია დაფნის გვირგვინი,
ხოლო მეორე — მოწყალება მანდილოსანთა.

ლ ე ო ნ ო რ ა

ნუთუ გვირგვინმა, დღეს რომ ნახა ჩვენი ყრმის თავზე,
გაანაწყენა ღირსეული ვაჟკაცი ეგრე?
მისი შოომისთვის მშვენიერი პოეზიისთვის
ვერ მოძებნიდი შენ ამაზე უბრალო ჯილდოს.
რადგან ეს არის ზეციური დამსახურება,
რომელიც მხოლოდ ლაგვარდებში დასცურავს ხოლმე
და ნაზ ბგერებით, სურათებით სულს გვიჯადოვებს,
ამიტომ იგი ჯილდოვდება მშვენიერ ნიშნით;
და როცა მიწას შეეხება იგი ოდნავად.
მის შუბლსაც ოდნავ შეეხება მაღალი ჯილდო.
უნაყოფო შტო არის ხოლმე ეს საჩუქარი,
და უნაყოფო, ფუჭი არის ის ყურადღებაც,
თაყვანისცემით მას რომ ამ შტოს სთავაზობს ხოლმე,—
სურს იოლი გზით მოიხადოს თავისი ვალი.
ნუთუ შენ მართლა შეკშურდება, როცა იხილავ
ოქროსფერ, ნათელ შარავანდელს ტანჯულის თავზე?
თუკი ასეა, მამ იცოდე, დაფნის გვირგვინი,
სადაც არ უნდა ნახო იგი, ყოვლთ უწიხარეს,
ტახჯვის ნიშანი არის, ვიდრე ბედნიერების.

ანტონიო

გსურს საყვარელი ბაგეებით მასწავლო ახლა,
ვით შევიზიზლო ქვეყნიური ამაოება?

ლეონორა

არ დამჭირდება რჩევა მოგვე, ვით დაათასო
ღირსებისამებრ ამა ქვეყნის სიკეთე ყველა.
მაგრამ დროდადრო, მე ნგონია, ბრყენსაც სჭირდება
ვით დანარჩენ ხალხს, რომ ვუჩვენოთ მკვეთრ სინათლეზე
სიკეთე იგი, რომლისაც ის არის მძლობელი.
შენ კი, ვაჟკაცო ღირსეულო, არ დაიჩემებ,
რომ უკან სდიო პატივის და წყალობის არდილს.
ის სამსახური, რომელსაც შენ მბრძანებელს უწევ
და შენს ნეგობრებს. რითაც ასე ავალებ დიდად,
არის ნამდვილი. საქმიანი, და ამიტომაც
ნამდვილ საქმისთვის უნდა გერგოს ნამდვილი ჯილდო.
დაფნის გვირგვინი შენთვის არის ჰერცოგის ნდობა,
იგი შენს მხრებზე, ვით საამო ძვირფასი ტვირთი,
ასვენია და მიგაქვს მუდამ მსუბუქად. ლალად.
საყოველთაო ნდობით ხარ შენ განდიდებული.

ანტონიო

მაგრამ შენ ქალთა წყალობაზე არაფერს ამბობ,
იქნება ჩემთვის ის საჭიროდ არც მიგაჩნია?

ლეონორა

კაცს გააჩნია... არ გაკლია ეს მოწყალება,
თუმცა შენ უფრო აიტანდი, რომ გაკლდეს იგი,
ვადრე ის კარგი. მშვენიერი ადამიანი.
ერთი მითხარი, რომელიმე მანდილოსანი
განა რაიმეს მიადწევდა, რომ განეხრახა —
ეზრუნა შენზე ისე, როგორც თვითონ მას ესმის?
შენ წესრიგში გაქვს მოყვანილი სუაველაფერი;
და, ვით სხვათათვის, ისე ზრუნავ საკუთარ თავზეც;
რისი მოკვამაც არ ისურვონ, გაქვს ყველაფერი,
მას კი სჭირდება ჩვენი თავი აუცილებლად.

ათასი რამე უმნიშვნელო აკლია იმას,
რობელთაც ქალი გაუკეთებს სიამოვნებით.
მას წმინდა ტილოს სამოსელის და აბრეშუმის
კობტად შეკერილ ტანსაცმელის ტარება უყვარს,
მუდამ ფაქიზად არის ხოლმე გამოწყობილი.
ვერ იხდენს იგი უხეშ ქსოვილს, რომელიც მხოლოდ
მსახურს შეჭფერის, ყველაფერი უნდა მშვენიერად,
კობტად, ნაზად და დიდებულად იდგეს მის ტანზე.
მას კი უნარი როდი შესწევს, ეს ყველაფერი
მოაწესრიგოს, და, რაცა აქვს, შეინარჩუნოს;
ფული აკლია ტასოს მუდამ და მხრუნველობა.
ხან აქ და ხან იქ რაიმე ნივთს დასტოვებს ხოლმე.
შორ მგზავრობიდან ჯერ ისე არ დაბრუნებულა,
თავის ნივთების მესამედი არ დაეკარგოს.
ხან კი მსახური ჰპარავს ხოლმე... ამგვარად, მასზე
კაცს საზრუნავად მთელი წელი არც კი ეყოფა.

ანტონიო

ეს ზრუნვა კი ხდის მას თანდათან უფრო საყვარელს.
ბედნიერია ახალგაზრდა, ნაკლოვან მხარეს
უთელიან დიად სათნობად და ნებას რთავენ,
გაითამაშოს ბიჭის როლი ასაკით კაცმა,
თან იამაყოს ამ ძვირფასი ნაკლით, სისუსტიით!
ჩემო ლამაზო მეგობარო, უნდა შემინდო,
თუკი მე ოდნავ გესლიანი ვიქნები ახლა.
შენ ყველაფერი როდი გითქვამს, რასაც ის ზედავს,
არც ის, რომ უფრო ქვიანია, ვიდრე ჰგონიათ.
იგი ორმაგი გამარჯვებით ამაყობს ხოლმე.
ხან ხლართებს აბამს, ხან თვითონვე ხსნის თავის გაბმულს
და ამნაირი ოსტატობით მიამიტ გულებს
სსწრაფლ იგებს ხოლმე. საკვირველი არ არის განა?

ლეონორა

კეთილი! თვითონ ეს ხომ უკვე ამტკიცებს იმას,
რომ მარტოოდენ მეგობრობა არის ის ძალა,
რომელიც მუდამ მხნეობას და სიცოცხლეს გიმატებს.
და თუ სიყვარულს ვპასუხობდით სიყვარულითვე,

მაშინაც კი არ მიგვიცია ტასოს მშვენიერ
გულისთვის ჯილდო, დიოსკური, სამართლიანი.
ის კი თავის თავს მთლად ივიწყებს, როცა ეძლევა
ძვირფას ოცნებას მეგობრების გულისთვის მხოლოდ.

ანტონიო

თქვენ ამით ტასოს ანებივრებთ უფრო და უფრო,
მას სიყვარულად უთვლით უბირ თავმოთნეობას,
ერთგულ მეგობრებს შეურაცხყოფთ და ზვიად ქაბუკს
თქვენზევე ნებით უხდით ხარკსა; ურთიერთ ნდობის
საუცხოო წრეს მთლიანად შლით და ანადგურებთ!

ლეონორა

როდი ვართ ისე მიმკერძავნი, როგორც გგონია,
ბეკრ შემთხვევაში ჩვენს მეგობარს კიდევაც ვკიცხავთ;
გვინდა აღვზარდოთ, ამ ცხოვრებით უფრო რომ დატკბეს
და მოგვანიჭოს უფრო მეტი სიამოვნება.
ვიცით, რაცა აქვს გასაკიცხი, სასაყვედურო.

ანტონიო

მაგრამ ბევრ რამეს უწონებთ იქვენ მას გასაკიცხსაც.
კარგა ხანია, რაც მას ვიცნობ, სულ ადვილია
ტასოს გაცნობა, ამაყია, დამალოს რამე.
ზოგჯერ უეცრად თავის ფიქრში ჩაიძირება,
თითქოს მის გულში მოქცეულა ქვეყანა მთელი,
მხოლოდ შინაგან სამყაროთი კმაყოფილდება
და ყველაფერი მის გარშემო გამქრალა თითქოს.
არაფერს დასდევს, თუნდ ვიდოდეს თავისი ოიგით
და თუნდ დაინგრეს ეს ქვეყანა, ყოელაფერს ხელს ჰკრავს
და თავის სულში ჩაძირული ისვენებს მშვიდად.
უცებ ის ჰკარგავს მოთმინებას ისე, ვით ნალმი
შეუჩინეველი ნაპერწკლისგან იფეთქებს ხოლმე,
სულ ერთი არის, რა იქნება ამის მიზეზი —
სიხარული თუ მწუხარება, ჟინი თუ რისხვა:
მაშინ ყველაფრის შეცრობა სურს და მითვისება,
რასაც იფიქრებს, უნდა მყისვე შესრულდეს იგი;
ერთ წამში უნდა მოხდეს იგი, რის მოხდენასაც

მრავალი წელი, ხანგრძლივი დრო სჭირდება ხოლმე,
და ერთ წამში სურს გადაწყვიტოს, რის გადაჭრასაც
ძლიერს თუ შეიძლებს მრავალი წლის, დიდი ხნის შრომა.
თავის თავისგან შეუძლებელს მოითხოვს ტასო,
რომ სხვებისგანაც მოითხოვოს ამგვარი საქმე.
სურს, უცებ მისწვდეს ყველა საგნის დანიშნულებას,
რის მიწვდომასაც მილიონში ძლიერს შესძლებს ერთი,
და ვინაიდან თვით არ არის ის ერთი კაცი,
გრძნობს, ამგვარი ცდით უკეთესი ვერ ხდება იგი,
და, საბოლოოდ, იძირება კვლავ თავის სულში.

ლეონორა

ამით არა სხვებს, საკუთარ თავს აყენებს ზიანს.

ანტონიო

მაგრამ იგი სხვებს შეურაცხოფს ამითი დიდად.
ძალგძს უარპყო, რომ წუთებში ვნებათა ლელვის,
რომელიც ტასოს უცებ იპყრობს, ვინც უნდა იყოს,
პრინცსა და თვითონ პრინცესასაც არ ლანძღავს იგი?
თუმც ერთი წამით; მაგრამ უკვე საკმარისია,
ხელახლა დგება განრისხების ამგვარი წამი
და ის ვერც ენას იმორჩილებს, ვერც თავის გულსა.

ლეონორა

ასე მგონია, ცოტა ხნით რომ აქაურობას
გასცლოდა ტასო, სასარგებლო აღმოჩნდებოდა
ეს იმისთვისაც და აგრეთვე სხვებისათვისაც.

ანტონიო

იქნება სჯობდეს ეგ კიდევაც. იქნებ არც სჯობდეს,
ამაზე ახლა არც კი უნდა იფიქროს კაცმა.
რადგან არ მინდა მე აღმოვჩნდე მაგის მიზეზი.
სხვებს ეგონებათ, რომ ნამდვილად ვდევნიდე ტასოს,
მე კი მას სულაც არა ვდევნი. ჩემი გულისთვის
მას შეუძლია დარჩეს მშვიდად ჩვენს სასახლეში;
და თუ ტოროკვატო შერიჯებას ისურვებს ჩემთან,
თუ შესძლებს იგი მოუსმანოს, მიპყვეს ჩემს რჩევას,
მაშინ ერთმანეთს ჩვენ როგორმე ავიტანოთ კიდევ.

ლ ე ო ნ ო რ ა

ახლა შენ თვითონ გაქვს იმედი, კეთილ გავლენას მოახდენ სულზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გეგონა უკვე დაღუპული.

ან ტ ო ნ ი ო

ჩვენ არასოდეს არ ვკარგავთ იმედს და სჯობია ყოველი საქმის იმედი გვექონდეს. ვიდრე იგი გვეჩქვებოდეს; ვის შეუძლია ყველაფერი განჭკრიტოს ადრე? ტასო პრინცს უყვარს. იგი უნდა ჩვენს კარზე დარჩეს. და თუ ამას აღმოჩნდება ყოველგვარი ცდა, იგი როდია ერთადერთი, ვისაც ჩვენ ვითმენთ.

ლ ე ო ნ ო რ ა

არ მოველოდი შენგან ეგეთ მიუდგომლობას, ასე სასწრაფოდ შეიცვალე. შემოტრიალდი.

ან ტ ო ნ ი ო

წელთა სიმრავლეს აქ.ს ღირსება უპირატესი: იგი შეცდომას, რა თქმა უნდა, ვერ გ ექვევა, მაგრამ მაშინვე უნდა შესძლოს ქუთაზე მოსვლა. ერთხელ ცდილობდი, შენს მეგობარს შეფრიგებოდი, ახლა მე თვითონ გთხოვ ამასვე. ჰქმენ ყოველივე, რაც შეგიძლია, რომ ეს კაცი მოვიდეს გონსა და რომ ჩვენს შორის ყველაფერი მოგვარდეს უცებ. მე თვითონ წავალ მასთან, რა წამს შემატყობინებ, რომ ის დამშვიდდა, აღარ ბრაზობს და ჩემი ნახვა უფრო მეტ ვნებას არ მოიტანს. რაკი შენ ამის მოგვარება გსურს, შეუდექი ახლავე საქმეს! რადგან აღფრენი ამ საღამოს ბრუნდება ჟკან და მე უნდა ის გაეცდილო. მაშ გუჯუჯრობით!

მეხუთე გავოცვლა

ლ ე ო ნ ო რ ა (მარტო)

ამჯერად, ჩემო მეგობარო, ჩვენ გავითიშეთ; ჩემი და შენი ინტერესი ერთმანეთს უკვე აღარ ემთხვევა. ეს დრო უნდა გამოვიყენო, რომ ტასო ჩემთვის დავიჩინო. ჩქარა, სასწრაფოდ!

მეოთხე მოქმედება

პირველი გავოცვლა

ოთახი

ტ ა ს ო (მარტო)

ძილიდან ხომ არ გამოფხიზლდი მოულოდნელად და მიგატოვა მშვენიერმა ცოტუნებამ უცებ? ნუთუ შენ ამ დღეს უზენაეს სიხარულისა ძილმა შეგიპყრო, დაგიმონა და ახლა უკვე თავისი მძიმე ბორკილებით გიწამებს სულსა? დიახ, შენ ფხიზლობ და თან გძინავს მძფოთვარე ძილით. სად გაქჩრნენ წუთნი მშვენიერნი, მაგ მუბლის ირგვლივ ყვავილთ გვირგვინთან რომ ცეკვავდნენ საამო ლხენით? ან ის დღეები სად წასულან, როს შენი სული ცის ლაქვარდისკენ ისწრაფოდა ესოდენ ლალად? კვლავ ცოცხალი ხარ და ყველაფერს ისევ გრძნობ თითქოს, ისევ გრძნობ თითქოს და არ იცი, რომ ცოცხალი ხარ. ჩემი ბრალია. თუ ვილაც სხვას მიუძღვის ბრალი, ამ ოთახში რომ ჩავეკეტილვარ, ვით დამნამავე? რა დავაშავე, რომ ამჟამად სატანჯველს მიმცეს? დანამაულად მითვლიან მე დამსახულებას? იგი ვიხილე და მაშინვე კეთილი გულით, იმედიანად გავეშურე ეს შესაფერად, ვინაც ნამდვილად უნდა იყოს ადამიანი, ადამიანის სახეს რაკი ატარებს იგი. გამლილ მკვლელებით ვისწრაფოდი ანტონიოსკენ და გოლის ნა ვლად მხოლოდ ციხე, ურდული ვპოვე. ო, რარიგ კარგად მოვიფიქრე, რა გონივრულად, როგორი სახით შევხვედროდი იმ ადამიანს, ვინც თავიდანვე მიმაჩნდა მე საექვო კაცად. მაგრამ, რაც უნდა უფრო ცუდი არ დაგემართოს,

შენ სუყოველთვის გამხნეებდეს ეს ერთი რწმენა.
მე ის ვიხილე, ჩემს წინ იდგა პრინცესა თკითონ.
ლაპარაკობდა იგი ჩემთან, მე კი ვუსრინდი.
მისი სიტყვების დიდებულ აზრს, მის წარმტაც კილოს
და მის მომხიბლავ, ძვირფას მზერას ვერც დრო წამართმევს,
ვერც მკაცრი ბედი, ვერც მაცთური ბედნიერება.
ეს ყოველივე სამუდამოდ ჩემია, ჩემი!
და თუ უეცრად ჩემი სული ამაღლდა ასე,
გულში ცეცხლს მივეც მძვინვარების საშუალებას,
ახლა მევე რომ მანადგურებს, — არ ვნანობ, არა,
თუნდაც ახლავე დავიღუპო მე სამუდამოდ.
მას მივუძღვენი ჩემი გული, სიცოცხლე ჩემი
და მივეყვებო დახილს, დასალუბად რომ მიხმობს ახლა.
დე ასე იყოს, ხომ ვუჩვენე, რომ მართლა ღირსი
ვარ მისი ნდობის. რომელიც მე გამხნეებს ახლა
და ფართოდ მიღებს შავბნელ ჭიშკარს ხანგრძლივი ტანჯვის.
ღიახ, გათავდა ყველაფერი, მე კარგად ვხედავ!
მისი წყალობის დიდებული მზე ჩემს წინ ჩადის,
აღფონსი მცსპობს მის მშვენიერ, შუქნათელ მზერას
და ბინდით მოცულ ვიწრო გზაზე მარტოკას მტოვებს.
თავს დამფარვატებს საზიზღარი ფრიხველი შავი,
ბილწი, მწუხარე თანამგზავრი ჩემი ყრმობისა.
საით წავიდე. სად წარემართო ნაბიჯი ჩემი,
რომ განვერიდო გულისწამლებ, საძაგელ გუგუნს
და უფსკრულს, ჩემს წინ შავი პირი რომ დაუღია.

მეორე გამოსვლა

ლეონორა, ტასო.

ლეონორა

რა ამბავია, რა მოგსვლია, ძვირფასო ტასო,
სად შეუტოპავს შენს სიფიცხეს, შენს უნდობლობას?
ეს როგორ მოხდა? თქვენმა ჩხუბმა მთლად განგეცვიფრა.
სად გაჰქრა შენი ზრდილობა და უწყინარობა,
სად არის შენი სწრაფი მზერა, საღი გონება,
რითაც ყოველ კაცს ჯეროვან ხვედრს მიუზღავ ხოლმე.
სადღაა შენი გულგრილობა, რომელიც ითმენს

მას, რის მოთმენაც კეთილშობილს ადვილად ძალუძს
და რასაც ძნელად თუ აიტანს ამპარტავანი?
ნუთუ ველარ ჰფლობ გონიერულად ენას და ბაგეს,
ჩემო ძვირფასო მეგობარო, ველარ გიცანი.

ტასო

მაშინ რას იტყვი, თუ დავკარგე სუყველაფერი
და მეგობარი, მდიდარი ოღმ გეგონა წინათ,
უცებ იხილე, ვით გლახაკი, არაფრის მქონე?
შენ მართალი ხარ, აღარ ვგვეარ უწინდელ ტასოს,
მაგრამ მე მაინც ისეთი ვარ, როგორიც ვიყავ.
ეს შეიძლება გამოცანა ეგონოს ვინმეს,
მაგრამ ამაში თავსამტყვევი არაფერია.
წყნარი მთოვარე, რომლის ხილვაც გახარებს ღამით
და შენს თვალს და სულს ასე ძლიერ იზიდავს ხოლმე,
ღლისით მიცურავს თეთრი ღრუბლის ნათლეთის მსგავსი,
ფერმილეული, უმნიშვნელო, შეუმჩნეველი.
მზის ბრწყინვალეობამ დანჩრდილა და გამაფერმკრთალა,
თქვენ კი მცნობთ, მაგრამ ჩემი თავი ველარ მიცვნი.

ლეონორა

არ მესმის, ჩემო მეგობარო, ნათქვამი შენი,
ნათლად მითხარი, ამიხსენი, გამაგებინე!
ნუთუ შენ ისე შეურაცხყო უხეშმა კაცმა,
ველარავის სცნობ: ვერც ჩვენ და ვერც შენივე თავსა?

ტასო

არა, მან კი არ შეურაცხმყო, მე შევეურაცხეყავ,
ასე დასჯილსაც. მეგობარო, ამიტომ მხედავ.
ბასრი მახვილი მსწრაფლ გადასკრის სიტყვიერ დავას
და იოლადაც, მაგრამ მე ჯერ პატიმარი ვარ.
არ შეგეშინდეს, იქნება ეს შენ არც კი იცი?
საპყრობილეში ხვდები ახლა მეგობარს შენსას.
პრინცმა დამსაჯა, ვით მოსწავლე. პატარა ბავშვი.
არ მსურს, არც ძალმიძს, ამ საქმეზე ვიღაო მასთან.

ლეონორა

ზომაზე მეტად მეჩვენები აღელვებული.

ტასო

იქნებ გგონივარ ისე სუსტი. პატარა ბავშვი,
რომ ამ შემთხვევამ შესძლოს ჩემი ნერვების აშლა?
რაც მოხდა, იგი არ მაწუხებს მე ასე დიდად,
არამედ იგი, რასაც ჩემთვის ეს მოასწავებს.
დე გაიხარონ ჩემმა მტრებმა, იოპურნეებმა, —
თავისუფალი არის ბურთი და მოედანი.

ლენორა

ტყუალუბრალოდ გეეჭვება შენ ბევრი რამე,
ძვირკასო ტასო, მე ამაში დავრწმუნდი თვითონ,
არც ანტონიო გემტყურობა, როგორც გგონია,
უთანხმოება დღევანდელი...

ტასო

დღევანდელ ამბავს
მე ყურადღებას სულ არ ვაქცევ. ანტონიოზე
ვმსჯელობ მე მისი ხასიათის მიხედვით ნხოლოდ.
მძულს ნე ამ კაცის პირქუმი და ცაკი გონება,
არ მომწონს მუდამ მასწავლებლად რომ გვევლინება.
იძის ნაცვლად, რომ გაერკვიოს, მამენელი მისი
დადგა თუ არა უკვე კეთილ. ქემპარიტ გზაზე,
გასწავლის იმას, რასაც თვითონ უფრო ღრძადა გრძნობ.
შენგან კი არ სურს მოისმინოს არც ერთი სიტყვა,
მუდამ აგდებით გეკიდება, არაფრად გაგდებს.
არაფრად გაგდებს და მერე ვინ? — ანპარტავანი,
ზკიადი კაცი, ყოველთვის რომ დაცინვით გიკტერს.
მე ჯერ არც ისე მოხუცი ვარ, არც ისე ბრძენი,
მმვიდი ღიმილით ეუბასუხო დაცინვას ამგვარს.
ეს ასე უნდა მოხდარიყო, ადრე თუ კვიან
კავშირი უნდა გაგვეწყვიტა ანტონიოსთან,
დაგვიანება უარესად აენებდა საქმეს.
ნხოლოდ ერთ ბატონს ვ ემ მე პატივს, ბატონს, რომელიც
მე მასახრდოეზს, მას ხალისით ვემორჩილები
და სხვა არავინ. სხვა არვინ მსუოს ჩემს მასწავლებლად.
თავისუფალი მინდა იყოს სიმღერა ჩემი,
ჩემი ოცნება, ჩემი ფიქრი. უამისოდაც
ჩვენს მოქედებაას ეს ქვეყანა საკმაოდ ბოკავს.

ლენორა

ის შენზე ხშირად ლაპარაკობს პატივისცემით.

ტასო

მოწყალებით და გონიერულად, გინდოდა გეთქვა.
და სწორედ იგ მწყინს, მეგობარო, რადგანაც იგი
ისე საამოდ, ორაზროვნად საუბრობს ხოლმე,
რომ მისი ქება ჰკავს ძაგებას, საყვედურს უფრო,
ო, არაფერი ისე ძლიერ არ შეურაცხყოფს,
როგორც ეს ქება, წარმოთქმული მის ბაგეთაგან.

ლენორა

ნეტავი ერთი შენი ყურით მოგასმენინა,
რასაც ის ამბობს შენზე და შენს ბრწყინვალე ნიჭზე,
ესოდენ უხვად რომ მოგმადლა დედა ბუნებამ.
კარგად გრძნობს იგი, რა თქმა უნდა, რას წარმოადგენ,
რა გაგაჩნია და შენს ნიქსაც პატივს სცემს დიდად.

ტასო

მერწმუნე, სული, თავის თავზე შეყვარებული,
ვერ გაექცევა შურის გრძნობით აღძრულ წამებას,
ძალზე იოლად აპატიებს ასეთი კაცი
სხვა ადამიანს სახელს, პატივს, ხარისხს, ქონებას.
რადგანაც იგი ასე ფიქრობს: ყველაფერ ამას
აუცილებლად შენც მიალწევ, თუ მოისურვებ,
მტკიცედ იქნები, ანდა ბედმა თუ გაგიღიმა.
იმას კი, რასაც ჩვენ გვანიჭებს ნხოლოდ ბუნება,
რასაც ვერც შრომა, ვერც სურვილი მიალწევს ხოლმე,
რასაც ვერც ოქრო, ვერც მახვილი, ვერც ყველას ჰქუა,
შეუპოვრობა და სიმტკიცე ვერ მოიპოვებს, —
არ გაპატიებს ანტონიო შენ არასოდეს.
მან გაპატია? მან, ვინც თავის ჩლუნგი გონებით
ფიქრობს მუზების მოწყალება დაამსახუროს?
მის, ვინც აზრები მრავალ მგოსნის შეკობა ერთად,
ხომ არა ჰგონია, რომ თვითონაც მგოსანი არის?
იგი აღფონსის მოწყალებას შემინდობს უფრო,
მ. ი. ე. გოეთე

თუმც ისურვებდა, არავისთვის დაეთმო იგი,
ვიდრე ნიქს, ზეცის ასულებმა მე რომ მიზოდეს,
მთლად უთვისტომოს, სამშობლოდან მოწყვეტილ ყმაწვილს.

ლ ე ო ნ ო რ ა

ნეტავ ჩემსავით ყოველივეს ხედავდე ნათლად!
სცდები, ტორკვატო, როდი არის ასეთი იგი.

ტ ა ს ო

და თუ ასეა, მაშინ ვცდები სიამოვნებით!
მაგრამ ის არის ჩემი მტერი უბოროტესი.
ვერ დავეცხრებოდრი, სხვაგვარად რომ შეფიქრა მასზე.
სისულელეა, იყო მუდამ სამართლიანი,
ეს იმას ნიშნავს, შენი თავი დალუპო თვითონ.
განა ასევე იქცევიან ჩვენს მიმართ სხვები?
არა! ო, არა! ადამიანს ორგვარი გრძნობა
უნდა გააჩნდეს: სიყვარული და სიძულვილი.
მას ლამეც ისე არ სჭირდება, ვით დღე ნათელი?
ძილიც ისევე არ სჭირდება, როგორც სიფხიზლე?
არა, მე უნდა მას ვუყურო ამიერიდან,
ვით საგანს ჩემი დაუმცხრალი სიძულვილისა.
არაფერს ძალუძს მომისპოს მე ეს ნეტარება:
უფრო და უფრო ცუდი რამე ვიფიქრო მასზე.

ლ ე ო ნ ო რ ა

ჩემო ძვირფასო მეგობარო, რაკი არა გსურს
გამოეთხოვო ანაირ აზრს, მე აღარ ვიცი,
როგორღა შესძლებ დარჩე კვლავაც სასახლის კარზე!
შენ იცი, თუ მას სასახლეში რა ფასსაც სდებენ.

ტ ა ს ო

ჩემო ლამაზო მეგობარო, მე კარგად ვიცი,
რომ სასახლეში ზედმეტი ვარ დიდი ხანია.

ლ ე ო ნ ო რ ა

ზედმეტი არ ხარ, არც იქნები შენ არასოდეს.
განა არ იცი, შენთან ყოფნა რარიგად უყვართ

პრინცს და პრინცესას, აქ მათი და ჩამოვა მალე;
იგი ჩამოდის არა მარტო მათ სანახავად,
შეიძლება ვთქვათ, უფრო მეტად შენი გულისთვის.
შენ ხომ თანაბრად ძვირფასი ხარ ყველა და-ძმისთვის,
ყველა მათგანი გრძნობს შენდამი უზომო ნდობას.

ტ ა ს ო

ო, ლეონორა, სადა ხედავ შენ ამგვარ ნდობას?
პრინცს სახელმწიფო საქმეებზე ერთი სიტყვაც კი
არ უთქვამს ჩემთვის. ერთადერთი შემთხვევა მახსოვს,
როს თათბირობდა იგი ჩემი თანადასწრებით
თავის დებთან და სხვა პირებთან ამგვარ საქმეზე,
ჰოდა, მაშინაც არაფერი უკითხავა ჩემთვის.
სულ გაიძახის: „ანტონიო ჩამოვა!“ „ამის
შესახებ უნდა ანტონიოს მივწეროთ, ვკითხოთ!“

ლ ე ო ნ ო რ ა

მადლობის ნაცვლად ემდურები? რაკი გიბოძა
თავისუფლება, ჩანს, პატრის გცემს, როგორც მას ძალუძს.

ტ ა ს ო

მშვიდად რომ მტოვებს, უსარგებლო ვგონივარ აღბათ.

ლ ე ო ნ ო რ ა

როცა მშვიდად ხარ, სასარგებლო მაშინ ხარ სწორედ.
დიდი ხანია შიშს და წყენას ატარებ გულით
და ეფერები, ვით პატარა, საყვარელ ბავშვსა.
ხშირად ვფიქრობდი მე ამას და შემეძლო კიდევ
მეფიქრა ისე, როგორც მსურდა,—ვერ აყვავდები
შენ ამ მშვენიერ ნიადაგზე, სადაც გეგონა,
რომ გადმოგნერგა თავის ხელით ბედნიერებამ.
ძვირფასო ტასო!—ნებას მომცემ, გირჩიო, ვითხრა?—
უნდა გაშორდე, გაეკალო აქაურობას!

ტ ა ს ო

ნუ შეიბრალებ შენს ავადმყოფს, ჩემო ეჭიმო!
მომეც წამალი, გამონახე საშუალება,

და შენ ამ წამლის სიმწარეზე ნუ დაფიქრდები.
ოღონდაც ჩემი განკურნება შეძლოს მან მალე,
ჩემო კეთალო მეგობარო, უძვირფასესო.
თვითონვე ვხედავ. ყველაფერი გათავდა უკვე!
მიფუტყვებდა მე მას, მაგრამ ის არ შემანდობს.
იგი სჭირდებათ, სამწუხაროდ! მე კი — არავის...
ის ჭკვიანია, სამწუხაროდ. მე — უგუნური.
მას ძალუძს ვნება მომაყენოს, მე კი არ ძალმიძს,
არ შეჰიძლია წინ აღვუდგე. ეს ჩემს მეგობრებს
არც კი აღარდებთ, უყურებენ აჰას სხვაგვარად,
როს ბრძოლა ძართობთ, ძლივს ზედავენ თესიტყვებასა.
მირჩევ, რომ უნდა გავემგზავრო და მე თვითონაც
ასე მგონია! მამ მშვიდობით! სადაც ბევრი რამ
ამიტანია, მე ამასაც ავუტან ალბათ.
თქვენ მიმატოვეთ! — მეც მოვიკრებ იმდენ მხნეობას,
რომ თქვენგან წასვლა, მიტოვება შევიძლო თქვენი.

ლ ე ო ნ ო რ ა

შორს მყოფნი უფრო ნათლად ვხედავთ ჩვენ ყოველივეს,
რაც სიახლოვით თავზას გვირევს და გვაბნევს მხოლოდ.
იქნებ გაიგო, იქნებ მიხედე, რა სიყვარულით
გარემოცული იყავ ყველგან, როგორი ფასი
აქვს ერთგულებას ქენმარტი მეგობრებისას
და რომ მათ ადგილს ვერ დაიჭერს მთელი ქვეყანა.

ტ ა ს ო

ამასაც ვნახავთ. ყრმობიდანვე ვკანი ქვეყანა,
იგი უმწეოდ, მარტო გვტოვებს, ადვილად მიდის
თავის გზით მზისა, მთვარისა და სხვა ღმერთთა მსგავსად.

ლ ე ო ნ ო რ ა

მე დამიჯერე, მეგობარო, და მხოლოდ მაშინ
ალარ გამოსცდი უკვე განცდილ დარდს, მწუხარებას.
გირჩევ, პირველად გაემგზავრო ფლორენციაში.
იქ მეგობარი მეგობრულად იზრუნებს შენზე.
დამშვიდდი! თვითონ მე ვიქნები ეს მეგობარი.
ქმრის სანახავად ამ დღეებში ჩამოვალ მე იქ

და ჩვენ, ორივეს, გაგვახარებს ყველაზე მეტად,
რომ ძეგიყვანო, გიხილოთ ჩვენს მეგობრულ წრეში.
თვითონვე იცი, როგორ პრინციტან გექნება საქმე.
როგორ ვაუქაცვებს. რარიგ ქალეის ზრდის ეს ქალაქი!
შემ ხმას არ იღებ? მამ დაფიქრდი და გადაწყვიტე!

ტ ა ს ო

მომხიბვლელია, რასაც ახლა შენ მეუბნები,
ის ეთანხმება ჩემი გულის იღუმალ სურვილს;
მაგრამ ახალი ამბავია ეს ჩემთვის დიდად,
დასაფიქრებლად დრო მომეცი! გადაეწყვეტ მალე.

ლ ე ო ნ ო რ ა

მივდივარ და თან მშვენიერი იმედი მიმაქვს
შენთვის და ჩვენთვის და, სიერითოდ, ამ სასახლისთვის.
დაფიქრდი ერთი, და თუ განსჯი, გადასწყვეტ სწორად,
უკეთეს რამეს, მე მგონია, ვერც მოიფიქრებ.

ტ ა ს ო

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ერთს გკითხავ კიდევ!
მითხარ, პრინციტან ჩემს შესახებ რა გაიფიქრა?
განრისხდა ჩემზე? რა სთქვა? ხომ არ გამკიცხა ძლიერ?
სთქვი თავისუფლად, გულახდილად, ნუ დამიმალავ!

ლ ე ო ნ ო რ ა

ის კარგად გიცნობს და ადვილად შეგინდო კიდევ.

ტ ა ს ო

ფასი დავკარგე მე მის თვალში? — მართალი მითხარ!

ლ ე ო ნ ო რ ა

ქალთა წყალობა როდი ქრება ასე ადვილად.

ტასო

იგი დათანხმდა ჩემს წასვლაზე სიამოვნებით?

ლენორა

დიახ, თუკი ეს სასიკეთო იქნება შენთვის.

ტასო

მაშ მე აღფონსის მოწყალება არ შეკარგება?

ლენორა

მის სულგრძელობას შეგიძლია მიენდო მშვიდად!

ტასო

მერე, პრინცესას მივატოვებთ სულ მარტოდმარტოს?
შენც ხომ მიდხარ; მართალია, ძალიან მცირეს,
მაგრამ უწინ ხომ მე რალაცას ვნიბნავდი მისთვის.

ლენორა

შორი მანძილი ვერ გაგვთიშავს მეგობრისაგან,
როცა ვიცით, რომ სხვაგან არის ის ბედნიერი.
ასეც მოხდება, დღეიდანვე ბედნიერს გხედავ.
არ წახვალ, ტასო, შენ აქედან უკმაყოფილო;
პრინცის ბრძანებით, ანტონიო დაგეძებს უკვე
და ჰკიცხავს იგი თავის თავს, რომ ასე გაცხარდა,
რომ ასე ძლიერ გაწყენინა და შეურაცხყო.
გთხოვ, როცა მოვა იგი შენთან, მიიღო მშვიდად.

ტასო

მე შემიძლია მის წინაშე თამამად წარვდგე.

ლენორა

დე შემეწიოს, მეგობარო, მაღალი ზეცა,
ვიდრე შენ წახვალ, აგინილო ორივე თვალი
და დაგანახო, რომ არავის აქ არა სძულხარ,
არავინ გდევნის, შენი მტრობა არა აქვთ გულში!
ცხადია, სცდები და ვით უწინ ახამდი სხვების
სასიხარულოდ,—სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში,
შენს საწამებლად ხლართავ თვითონ საოცარ ქსელსა.
მსურს, ყველაფერი გავაკეთო მის დასარღვევად,
რომ თავისუფლად სვლა შეიძლო ცხოვრების გზაზე.
ახლა მშვიდობით! ველოდები სასურველ პასუხს.

მესამე გამოცვლა

ტასო (მარტო)

უნდა შევიგნო, რომ ნამდვილად არავის ვძულვარ,
და რომ არავინ არა მდევნის, რომ ყოველგვარი
სიციხერე თუ ვერაგობა და ყველა ქსელი
დახლართულია, მოქსოვილი მხოლოდ ჩემს თავში.
უნდა მივხვდე, რომ მტყუანი ვარ და შეურაცხყოფ
ადამიანებს უსამართლოდ, სულ უმიზეზოდ!
და ეს უნდა ვქნა სწორედ ახლა, ამ საათშიაც,
როს მზის ნათელზე გამომეღავენდა ასე აშკარად
ჩემი სიმატლე და იმათი ვერაგობაცა.
უნდა ღრმად ვიგრძნო, რომ აღფონსი რარიგ უზომოდ,
რარიგ გულწრფელად მაჯილდოებს თავის წყალობით
ამ წუთშიც, როცა ისე სუსტი აღმოჩნდა იგი,
რომ ჩემმა მტერმა დაუბრმავე თვალები უცებ
და ხელი ასე შეუბოკა; იმის დანახვაც
კი აღარ ძალუძს, ნამდვილად რომ მოტყუებულა;
მე კი, თაღლითნი რომ ვამხილო, არ შემეწევს ძალა.
უნდა გავჩუმდე, გავეცალო აქაურობას,
რომ მათ ნელ-ნელა მოტყუება შეიძლონ მისი,
ხოლო აღფონსიც გაეხვიოს ამ ქსელში მშვიდნად.
მერე ვინ მაძლევს მე ამ რჩევას? ვინ მახვევს თავზე
მოხერხებულად თავის ძვირფას, საყვარელ აზრსა?

თვით ლეონორა სანეიტალე, თვით ლეონორა,
ჩემი სათუთი მეგობარო! ახლა კი გიცან!
ო, რატომ, რისთვის ვენდობოდი მის ცბიერ ბაგეს?
პატიოსანი არ ყოფილა. როდესაც იგი
ტკბილი სიტყვებით საუბრობდა მეგობრობაზე,
ესოდენ დიდი მოწყალებით, ესოდენ ნაზად.
ოჰ, რა ცბიერი, რა ვერავი გული ჰქონია,
ჩუმად, შეპარვით ეძიებდა იგი ჩემს ნდობას.
რაოდენ ხშირად ვტყუვდებოდი თურმე მე მასშიც!
მე შემაცდინა მხოლოდ მისმა მედიდურობამ,
კარგად ვიცნობდი, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებდი:
ის ასეთია სხვების მიმათ, ვანბ-ბდი ჩემთვის,
მაგრამ შენდამი გულწრფელია და პირდაპირი.
ახლა კი ვხედავ, მაგრამ ვხედავ ძალიან გვიან:
როცა აღფონსის მოწყალება არ მაკლდა, იგიც
აღეპიანად მეტყუოდა, ვით ბედნიეოსა.
ახლა დავეცი და უმალვე მაქცია ზურგი
ლეონორამაც, როგორც თვითონ ბედნიერებამ.
აწუ კი, ჩემი მტრის იარაღად გადაქცეული,
აქეთ მოძვრება და მკბენს, როგორც პატარა გველი,
თავის ცბიერი, ჯადოსნურად მეტყუელი ენით.
ის წინანდელზე საყვარელი მოჩანდა ახლა.
რა დიდებულად იღვრებოდა მის ბაგეთაგან
სიტყვის ნაკადი! მაგრამ ყალბი, ცბიერი აზრი
ვერ დამიმალა თვალთმაქცობამ. მის შუბლზე ჩანდა,
ცხადად, გარკვევით დაწერილი სულ სხვა რაიმე
და არა იგი, რასაც თვითონ ლაპარაკობდა.
ადვილად ვგრძნობ, როცა ბილწი, უღირსი გულით
ცდილობენ ჩემი გულისაკენ გზა გამონახონ.
ახლავე უნდა გავემგზავრო ფლორენციაში?
მაინც და მაინც იქ რისათვის? კარგად ვგრძნობ ამას.
გამეფებულა იქ მედიჩთა ახალი სახლი,
თუმც არ უცხადებს ის ფერარას ამკარა მტრობას,
მაგრამ ფარული შური მეტად გულგრილი ხელით
ერთმანეთისგან სთიმავს სულებს კეთილშობილსა.
და თუ მიმიღებს იქაური მთავარი დიდი
წყალობით, რასაც უსათუოდ უნდა ველოდე,

მალე ექვის ქვეშ დააყენებს ეს კარისკაცი
ჩემს ერთგულებას და ჩემს გულწრფელ მაღლიერებას.
ღიახ, ადვილად, ის ადვილად მიალწევს ამას.
მე წავალ. მაგრამ, თქვენ რომ გნებაეთ, ისე კი არა.
ღიახ, მე წავალ იმაზე შორს, ვიდრე გგონიათ.
აქ რალა მინდა. აბა, მე აქ ვინ დამაკავებს?
კარგად გავიგე, ძალზე კარგად ყოველი სიტყვა,
მე რომ დავტყუე ლეონორას უნახეს ბაგეს
და ძლივძლივობით გამოვძალე სულ მარცვალ-მარცვალ.
მე ახლა ვიცი, თუ პრინცესა რასაცა ფიქრობს.
ღიახ, ასეა ეს ნამდვილად, არ მეტყუება.
„სიამ-ვნებით დათანხმდება, რომ მე წავიდე,
თუკი ეს დიდად სასიკეთო იქნება ჩემთვის!“
ნუთუ არ იგრძნო მასმა გულმა ტკივილი დიდი,
დასაღუბად რომ გავვიმეტა მეცა და ჩემი
კეთილდღეობაც. ო, ათასგზის მერჩივნა, სიკვდილს
რომ შევეყარე, ვიდრე ამ ხელს, რომელიც ასე
უგრძნობლად, ცივად უკუმაგდებს... მე წავალ, წავალ!
გაფრთხილდი, ტასო, ნურასოდეს ნუ მიეხდობი
მეგობრობისა თუ სიკეთის ყალბ მოჩვენებას.
აწუ ველარავინ ვერ შეგაცდენს, თუ შენი თავი
შენ თვითონვე არ მოატყუე, არ შესციდი ძალად.

მეოთხე გამოსვლა

ანტონიო. ტასო.

ანტონიო

მე აქ მოვედი, ორიოდე სიტყვა რომ გითხრა,
თუკი შენც ძალგდის, მომისმინო აულელვებლად.

ტასო

თვითონვე იცე, მოქმედება მაქვს აკრძალული,
მხოლოდ ლოდინი და მოსმენა შემეფოის უფოო.

ანტონიო

დამშვიდებული რომ გიხილე, მახარებს დიდად
და მინდა, ტასო, გულახდილად გელაპარაკო.

აღფონსის ნებით, ამთავითვე გხსნი იმ სუსტ ჯაქვსა,
რომლითაც ასე შებორკილი გეგონა თავი.

ტასო

თავისუფალს მხდის თვითნებობა, შემბორკა მანვე;
არა მეტქმის რა, არ მოვიტხოვ მართლმსაჯულებას.

ანტონიო

საკუთარ თავზე გეტყვი ნაშინ: როგორც ეტყობა,
ჩემი სიტყვებით გაწყენინე იმაზე მეტად,
ვიდრე თვითონ მე ვგრძნობდი ამას აღუღებელი.
მაგრამ ჩემს ბაგეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია
შენთვის საწყენი, წარმოთქმული დაუფიქრებლად.
შურს არ იძიებ ამის გამო, ვით აზნაური,
პატიებაზე, როგორც კაცი, არ მეტყვი უარს.

ტასო

არ შევუდგები იმის განსჯას, ჩემთვის რა უფრო
მწარეა: წყენა თუ ნამდვილი შეურაცხყოფა.
რადგან პირველი შეიჭრება პირდაპირ გულში,
ხოლო მეორე კანს გვიკაწრავს მხოლოდ და მხოლოდ,
მისი ისარი უბრუნდება თვითონვე მსროლელს.
აზრი ხალხისა, საზოგადო შეხედულება
ადვილად ძალუძს დაამძვიდოს ამოწვდილ მახვილს,
მაგრამ ძნელია განკურნება ნატყენი გულის.

ანტონიო

ახლა მე მმართველს დაჟინებით გაგიმეორო:
უარს ნუ ამბობ, აასრულე სურვილი ჩემი,
სურვილი პრინციის, ვინც მე შენთან გამომაგზავნა.

ტასო

მე თანახმა ვარ, — ვიცი ჩემი მოვალეობა, —
რომ მოგიტევა, რამდენადაც კი შემიძლია.

მგოსნების ნათქვამ სიმღერებში გამიგონია
ამბავი ერთი საოცარი შუბის შესახებ,
თავის მიერვე მიყენებულ ჭრილობას თურმე
კურნავდა იგი მეგობრული შეხებით ისევ.
კაცთა ენასაც გააჩნია ამგვარი ძალა,
ვერ გავუხდები მე ამ ძალას წინააღმდეგი.

ანტონიო

მადლობელი ვარ შენი, ტასო, მსურს შეამოწმო
ჩემი მზადყოფნა, გემსახურო ახლავე საქმით.
სთქვი, რითი ძალმიძს სასარგებლო შევიქნე შენთვის?

ტასო

თვით შენ მთავაზობ, რისი ნატყრაც შემეძლო მხოლოდ,
თავისუფლება დამიბრუნე, ახლა კი მომეც
სამუალება, რომ მე იგი გამოვიყენო.

ანტონიო

რასა გულისხმობ მაგ სიტყვებში? გარკვევით მითხარ!

ტასო

შენ იცი, უკვე დავამთავრე ჩემი პოემა,
მის სრულყოფას კი ბევრი რამე აკლია კიდევ.
დღეს მე იგი პრინცს გადავეცი, იმედი მქონდა,
აღფონსს მაშინვე მიემართაუდი ამგვარი თხოვნით.
მრავალი ჩემი მეგობარი რომშია ახლა;
ცალ-ცალკეულად ზოგ ადგილზე მათ თეგინათი
შეხედულება წერილობით გამიზიარეს;
მათი რჩევიდან ბევრი რამე გამოვიყენე,
ზოგიერთზე კი დაფიქრება მქირდება კიდევ,
ჩემი სურვილით ვერ შევცვლი შიგ სხვადასხვა ადგილს,
თუ ამამი არ დამარწმუნეს მათ უფრო მეტად;

ჰველაფერი ეს წერილობით ვერ გაკეთდება,
ხოლო შეხვედრა უცებ გახსნის სადავო კვანძებს.
აი, ეს მსურდა პრინცისათვის შეთხოვნა თვითონ,
ვერ მოვახერხე; აწ კი ამას ველარა ვბედავ
და იმედი მაქვს, ახლა შენი სამუალებით
გამოვითხოვო აღფონსისგან ნებართვა წასვლის.

ანტონიო

არ მეჩვენება გონივრულად. რომ სწორედ ახლა
მიემგზავრები, როცა ასე დაგაახლოვა
შენმა პოემამ თვითონ პრინკთან და პრინცესასთან.
დღე წყალობისა ჰგავს მოსავლის აღების დღესა,
უნდა აიღო, მომწიფდება რაწამსვე იგი.
რომ გაემგზავრო, შენ ვერაფერს მოიგებ მაშინ,
და რაც მოიგე, შეიძლება დაჰქარგო ისიც.
პრინცებთან ყოფნა ქალღმერთთა მოწყალებით, მძლავრი;
აქ დარჩი, ტასო, შეიცანი გავლენა მისი!

ტასო

არ მეშინია. პრინცი არის კეთილშობილი,
დიდსულოვანი იყო იგი ჩენს მიმართ მუდამ,
და რის წყალობის იმედიც მაქვს, მსურს ვუმაღლოდ
მე მხოლოდ მის გულს, არ ვეცდები დავტყუო იგი
სხვაგვარი ხერხით. არც მსურს მისგან მივიღო რამე,
რისი მოკვამაც იქნებ მერე ინანოს კიდევ.

ანტონიო

ნუ ითხოვ, ტასო, პრინცმა რომ შენ გაგიშვას ახლა.
ის უხალისოდ დაგრთავს ნებას გამგზავრებაზე
და მეშინია, რომ არც მოგცეს ამისი ნება.

ტასო

სიამოვნებით დაგთანხმდება, თუ კარგადა სთხოვ,
თუკი ისურვებ, უსათუოდ შეიძლებ ამას.

ანტონიო

რა საბუთები წარვუდგინო, მითხარი ერთი!

ტასო

დაე ამაზე ასაუბრე ჩემი პოემის
ყოველი სტანსი, სხვა საბუთი არ დაგჭირდება.
ჩემი განზრახვა იყო მართლაც ღირსსაქებარი,
საგრამ მიზანი აღეპატა ძალ-ღონეს ჩემსას.
არ დამიკლია სიბეჯითე და გარჯა მისთვის;
ოქროს წუთები მრავალ ნათელ, მმვენეირ დღეთა,
შშვიდი სამყარო უამრავი მღუმარე ღამის
მთლიანად ვუძღვენ, შევწირე ამ წმინდა სიმღერას.
ფიქრობდი, ახლოს მივსულიყავ უძველეს ქვეყნის
დიდ ოსტატებთან, გახედული განზრახვა მქონდა,
ამხანაგთათვის დაჰეფრთხო მე ხანგრძლივი ძილი,
რომ აღმდგარიყვნენ დიდ საქმეთა აღსასრულებლად
და შემდეგ იქნებ ეთილძობილ ქრისტეს ლაშქართან
ზიარებოდნენ წმინდა ომის საფრთხეს, დიდებას.
ჩემმა სიმღერამ რაკი უნდა რჩეულ ვაჟაკებს
უხმოს, ძილიდან უკეთესნი გამოადვიდოს,
თვითონაც უნდა იყოს იგი იმათი ღირსი.
მე პრინცს ვუმაღლი ყოველივეს, რაც უკვე შევქმენ,
და ჩემი შრომის დასასრულსაც მას დავუმაღლებ.

ანტონიო

სწორედ ეს პრინცი და აქ მყოფნი სხვა დანარჩენნიც
რომაელებზე უკეთესად გიწინამძღვრებენ,
აქ დაასრულე შენი შრომა და ამის შემდეგ
რომს გაეპურე, სამოქმედოდ, სამოღვაწეოდ!

ტასო

აღფონსი იყო იმათ შორის უპირველესი,
ვინც მე ეს შრომა შეთამაგონა, აღმაფრთოვანა,
ჩემი მოძღვარიც ის იქნება უკანასკნელი.

და რჩევას შენსას, რჩევას ყველა ქვეიანი კაცის:
ჩვენს სასახლეში რომ არიან, ვაფასებ დიდად.
თუ რომელიმე მეგობრებმა ვერ დამარწმუნეს,
მაშინ თქვენ გკითხავთ და, ვით მირჩევთ, გადაწყვეტ ისე.
მაგრამ ჯერ მათი ნახვა მმართველს. გოხზავამ მე იქ
მთელი სამსჯავრო შემიკრიბა. პირველად უნდა
მე მას წარვუდგე. ვესწრაფები მე იმათ ნახვას.
იქ მე ფლამინო დე ნობილი დამხედება ალბათ
და ანჯელიო დე ბარვასაც უთუოდ ვნახავ,
შეგვხედები სპერონ სპერონის და ანტონიანოს,
შენ იმათ იცნობ—აი, ყველა სახელი მათი!
ნდობა და შიში წამსვე ჩემს სულს დაეუფლება,
დავმორჩილდები სიხარულით მე იმათ რჩევას.

ანტონიო

შენს თავზე ფიქრობ მარტოოდენ და არა პრინცზე;
მე გეუბნები, წასვლის ნებას არ მოგცემს იგი;
და თუ გაგიშვებს, უხალისოდ გადასწყვეტს ანას.
შენ ხომ პრინციისგან ვერ მოითხოვ ისეთ რაიმეს,
რასაც ის მოგცემს არც თუ ისე დიდი ხალისით.
და აბა როგორ შემძლია ალფონსსა ვთხოვო
ისეთი რამე, რაც თვითონ მე არ მომწონს სულაც.

ტასო

ახლავე უარს მეუბნები პირველ თხოვნაზე,
როცა მე შენი მეგობრობა მსურს გამოცვალაო?

ანტონიო

ზოგჯერ უარშიც ქემმარტი მეგობრობა ჩანს
და საყვარული ხშირად ისეთ რამეს გვთავაზობს,
ზიანს გვაყენებს, როცა იგი ჩვენს სურვილს უფრო
ანგარიშს უწევს, ვიდრე თვით ჩვენს ბედნიერებას.
შენ კი ამ წუთშიც გეჩვენება ბედნიერებად

ის, რის ქონებაც ასე ძლიერ მოგსურვებია,
და გსურს უეცრად აისრულო, რაც გაგიზრახავს.
თავის სიფიცხით სწორედ იმას სცვლის უგუნური,
რამიც აკლია სიმართლედ და არ მოსდევს ძალა.
მოვალეობა მიკარნახებს, როგორც კი შევძლებ,
შენი სიფიცხე დავაწყნარო, უბედურებას
გიქადის იგი!

ტასო

კარგად ვიცნობ დიდი ხანია
მეგობრობის ამ ტირანიას, რომელიც ჩემთვის
არის ყოველგვარ მძლავრობაზე აუტანელი.
სხვაგვარად ფიქრობ შენ ყოველთვის და ამის გამო
გგონია, სწორად ვაზროვნებო. მეც კარგად მესმის,
ბედნიერება რომ გსურს ჩემი; მაგრამ ნუ ითხოვ,
რომ მე შენს გზაზე ვიპოვო ეს ბედნიერება!

ანტონიო

ზიანი უნდა მოგაყენო მე შენ ახლავე
ასე ნათელი დარწმუნებით, ასე გულგრილად?

ტასო

ამ ზრუნვისაგან მე თვითონვე განთავისუფლებ!
ვერ დამაკავებ მაგ სიტყვებით, იცოდე კარგად.
თავისუფლება შენ თვითონვე გამომიცხადე
და ეს კარები ღია არის, რომელთა გავლით
პრინცითან მივალწევ. აირჩიე ერთ-ერთი ახლა:
ან შენ და ან მე! ალფონსი დღეს აპირებს წასვლას,
არც ერთი წამის დაყოვნება ჩვენ აღარ ძალგვის.
აბა, მაშ სწრაფად გადაწყვიტე! თუ შენ არ წახვალ,
მე თვითონ წავალ, დე. მოხდეს, რაც მოსახდენია!

ანტონიო

ორიოდე დღე მაინც მომეც დასაფიქრებლად
და დაიცადე მხოლოდ პრინცის დაბრუნებამდე!
ოღონდ დღეს არა!

ტასო

არა, დღესვე. სწორედ ამ საათს.
შესაძლებელი თუ არის ეს! ფეხები გეწვივს
ამ მარძარილოს იატაკზე; ვერ მოისვენებს,
ვერ დამშვიდდება ჩემი სული მანამდე, ვიდრე
გზაზე ამდგარ მტყერს არ ვიხილავ ჩემს ირგვლივ მალე-
გთხოვ, ანტონიო! შენც ხომ ხედავ. არ შემოძლია
ამ წუთს ალფონსთან ლაპარაკი; ხომ კარგად ხედავ,
რარიგ არ ძალმიძს ეს დაემალო და რომ ამ წუთში
მე ვერ მიბრძანებს ქვეყნად ძალა ვერავითარი.
ჩემს შეკავებას შეიძლებდა ბორკილი მხოლოდ!
ალფონსი ჩემთან გულახდლად ლაპარაკობდა,
არა, არ არის ის ტირანი, მე იმის სიტყვებს
სიამოვნებით მორჩალებით ვისმენდი წინათ.
დღეს კი არ ძალმიძს მორჩილება! დღეს მარტოოდენ
თავისუფლება მომანიჭე, იგი მე მიხსნის,
დავუბრუნდები მალე კვლავ ჩემს მოვალეობას.

ანტონიო

შენ უკვე ეჭვი აღმიძარი, რა გავაკეთო?
დაბნეულობას შევუპყრივარ, თვითონვე ვამჩნევ.

ტასო

თუ გსურს ვირწმუნო, რომ ნამდვილად კარგი გსურს ჩემთვის,
მამ ალასრულე, რაც მე მინდა და რაც შენ ძალგიძს,
აუცილებლად გამიშვებს მე ალფონსი მაშინ
და არც დავკარგავ მას წყალობას, მის დახმარებას:
მე ამას დიდად დაგიმადლებ და სამუდამოდ
ღვირვები შენი მადლიერი. მაგრამ, თუ გულში
გაქვს ძველი მტრობა, გსურს, გამაგდო ამ სასახლიდან
და სამუდამოდ წაახდინო შენ ჩემი საქმე,
რომ მთლად უმწეოდ გამდექნო ამ ვრცელ ქვეყანაზე,
შენს აზრზე დადექ და ახლავე არ დამეთანხმო!

ანტონიო

ო, ტასო, რაკი ვნება რამე უნდა წაგკილო,
იმ გზას ავირჩევ, რომელიც შენ ავირჩევია.
თუ ვინა სცდება, საქმის ბოლო გვიჩვენებს ამას!
შენ წასვლა გინდა! მე კი ამას წინასწარ გეტყვი:
არც კი იქნები ამ სახლიდან კარგად გასული,
რომ შენი გული დაბრუნებას ისურვებს უკან,
თუმც სიჯიუტე მაინც ისევ წინ გაგაქროლებს;
ტანჯვა და ჭმუნვა, სინანული დაგხვდება რომში,
ვერც აქ და ვერც იქ ვერ წააღწევ დასახულ მიზანს.
მაგრამ მე ამას გეუბნები არა რჩევისთვის,
შინდა გაუწყო წინასწარ, რაც მოხდება მალე,
და წინასწარვე გთხოვ, ტორკვატო, უბედობის უამს
დაუყოვნებლივ აღიჭურვო ჩემდამი ნდობით.
ახლა პრინცს ვნახავ და გადავცემ მოთხოვნას შენსას.

მეხუთე გამოცვლა

ტასო (მარტო)

ჰო, წადი ოლონდ, წადი მტკიცედ დარწმუნებული,
რომ ყოველივეს დაგიჯერებ, რასაც ისურვებ!
თითოჯერაზობას ვსწავლობ ახლა, შენ ხარ ამისი
დიდი ოსტატი, ნეც ყველაფერს ადვილად ვხვდები.
ჩვენ ხომ ცხოვრება გვაიძულებს, ისეთი ვჩანდეთ,
როგორნიც უნდა ჩვენ აშკარად გვეზიზღებოდნენ.
კარისკაცთ ქსელის ხელოვნებას აწუ კარგად ვხედავ!
ანტონიოს სურს სასახლიდან განდევნა ჩემი;
თავს კი მაჩვენებს იმგვარად, რომ არ მდევნის თითქოს.
გულშემატკივარ, ჭკვიან კაცის როლსა თამაშობს,
რომ მიმიჩნიოს უგერგილოდ, სწეულად ყველამ.
მას კი სურს თავი ჩემს მეურვედ წარმოიდგინოს,
ბავშვად მაქციოს, დამამციროს, რაკი ვერ შესძლო
ყმად გავებადე. ამნაირად ღუშავს ის პრინცის.
შუბლს და მკმუნვარეს ხდის პრინცისას მოწყალე მზერას.

მაგრამ მე მაინც საჭირო ვარ,—ის ასე ფიქრობს,—
რადგან ბუნებამ მიუყალობა ბრწყინვალე ნიქი,
თუმც, სამწუხაროდ, დამისართა მრავალი ნაკლი:
დაუცხრომელი სიამაყე, მწუხარე სული
და მეტიმეტად შესაჩნევი გრძნობიერება.
სხვაგვარად ეს არც შეიძლება: ბედი კაცს ერთხელ
დაჰბადებს ხოლმე და ჩვენ იგი, როგორც არის,
გვმართებს ბოლომდე მოვითმინოთ და ავიტანოთ;
იქნება მასთან ჩვენ ოდესმე, ერთ ბედნიერ დღეს,
მოულოდნელი სიხარულიც გავიზიაროთ.
და საერთოდ კი, როგორც ის დაბადებულა,
დაე იცოცხლოს იმგვარ სახით, ისეთი მოკედეს.
ძალმიძს აღფონსის მტკიცე სული შევიცნო კიდევ,
მტრის მიმართ კუშტი და მეგობართ მფარველი წრფელი?
ვიცნობ მე იმას სწორედ ასეთს ჩემს მიმართ ახლაც?
ღიახ, კარგად ვგრძნობ უკვე მთელს ჩემს უბედურებას!
ასეთი არის ჩემი ბედი: მხოლოდ ჩემს მიმართ
იკვლება ყველა; ვინც სხვებისთვის ყოველთვის მტკიცე
და ერთგულია, ის ჩემს მიმართ ნიავის ერთი
დაბერვითაც კი სულ ადვილად იკვლება ხოლმე.
განა ამ კაცის მოსვლამ მხოლოდ ასე შეცრად,
ამ ერთ საათში არ დალუბა მთლად ჩემი ბედი?
მან არ დაშალა, ამოაგდო საძირკვლიანად
შენობა ჩემი უზრუნველი ბედნიერების?
ნუთუ ეს უნდა დღეს გამეგო მაინცდამაინც!
ღიახ, ვით უწინ ყველაფერი ილტვოდა ჩემსკენ,
აწ ყველაფერი მტოვებს ისევ; თუ უწინ ყველა
ესწრაფებოდა გამალბებით ჩემს დაუფლებას,
ახლა ხელსა მკრავს, უკუმაგდებს ყოველი არსი.
მერედა, რისთვის? ნუთუ მხოლოდ ამ ერთმა კაცმა
ასე შეცრად გადასწონა სასწორი ჩემი
ღირსებისა და ყოველგვარი სიყვარულისა,
რომელთაც ვკვლობდი ასე უხვად, განუსაზღვრელად?
ღიახ, გამიბრბის ახლა ყველა. და შენაც, შენაც,
ჩემო ძვირფასო, შენც მიდიხარ და მარტო მტოვებ!
ამ მწუხარების საათებში ერთი სიტყვაც არ
შემომითვალა, სიბრალულის მაუწყებელი;

დავიმსახურე ეს მე განა?—საბრალო გულო,
მის გაღმერთებას მიჩვეული იყავი ასე.
ვისმენდი მის ხმას და რარიგად აუწერელი,
ძვირფასი გრძნობით ივსებოდა ეს გული მუდამ.
თვალს მივაპყრობდი და მაშინვე ნათელი დღისა
იზინდებოდა. თვლები და ბაგენი მისი
საოცარ ძალით მიზიდავდნენ. მუხლები უცებ
მიწყებდნენ კანკალს, მთელ ძალ-ღონეს ვიკრებდი ხოლმე,
ღონეშიხდილი მის ფერხით არ დავცემულიყავი;
ძლივს ვახერხებდი, რომ თავბრუ არ დამსხმოდა უცებ.
აქ კი გამაგრდი, ჩემო გულო! ნათელო აზრო,
ალარასოდეს დაიბინდო! ჰო, ღიახ, ი გ ი ც!
გაებედო, ეს ვთქვა? ვამბობ და თან აღარც კი მჯერა!
მჯერა და მაინც გაჩუმება ვარჩიო მინდა;
ღიახ, რომ ი გ ი ც, სწორედ ი გ ი ც. მიუტევე მას,
მაგრამ სიმართლეს ნუ დამალავ: ჰო, ი გ ი ც! ი გ ი ც! —
ოოჰ, ეს სიტყვა, — აღარ უნდა მჯეროდეს მისი,
ვიდრე ჩემს გულში არ გამჯრალა მცირედი რწმენაც? —
ღიახ, ეს სიტყვა—განაჩენი სასტიკი ბედის
ამოიჭრება მისი ხელით ჩემი წამების
კუბოს ფიცარზე საბოლოოდ. აწ ჩემი მტრები
მტკიცედა დგანან, მე კი ძალა დავკარგე უკვე.
როგორ ვიბრძოლო, როცა იგი დგას ცტრის ლაშქარში
ჩემს წინააღმდეგ? როგორ ძალმიძს ვითმინო მშვიდად,
თუკი თავის ხელს ის შორიდან არ გამომიწვდის
და მისი მზერა არ შეხედება ვედრებას ჩემსას?
შენ ამის მუდამ გეშინოდა, ანაზე ხშირად
ფიქრობდი ხოლმე, სულ ყოველთვის ამბობდი ამას.
და ეს გამართლდა შენს შიშნეულ ლოღინზე ადრე.
და ვიდრე ახლა ეჭვი თავის ბასრი ბრწყალებით
სულს არ დაგიფლეთს ნაწილ-ნაწილ და აზრებს შენსას
ქარს მთლად არ მისცემს, დაიტირე მწუხარე ბედი
და ერთი სიტყვა გეკრას პირზე შენ: ი გ ი ც! ი გ ი ც!

მეხუთე მოქმედება

პირველი გამოცვლა

ბალი

აღფონსი. ანტონიო.

ანტონიო

თანახმად შენი ბრძანებისა, დღეს მეორეჯერ
ვიყავ ტასოსთან, სწორედ მისგან მოვდივარ ახლა.
თავგამოდებით ვარწმუნებდი, რომ უარეყო
წასვლის განზრახვა, მაგრამ მტკიცედ დგას თავის აზრზე
და დაჟინებით გთხოვს, უბოძო რომს წასვლის ნება.

აღფონსი

მეტისმეტად მწყინს, რომ ამაში შენ გამოგიტყდე,
მაგრამ სჯობია გაგიმხილო, ვიდრე დავმალრ,
რასაც ვფიქრობ, ამით უფრო ნაწყენი დაგჩე.
გამგზავრება სურს? კეთილი და პატიოსანი!
არ დავაკავებ მე ტორკვატოს. რომში სურს წასვლა?
რაღა იქნება, თანახმა ვარ; დე გაემგზავროს!
ოღონდაც იგი ან გონზავამ ანდა მედიჩიმ
არ გადებირონ, ხელიდან არ გამომაცალონ.
მიტომ განდიდდა იტალია, შენც კარგად იცი,
რომ იქ ყოველი მეზობელი მეზობელს ებრძვის,
ხელში ჩაიგდოს ნიჭიერი ადამიანი.
უჯარო სარდალს მომაგონებს მე ის მთავარი,
ვინც ტალანტები თავის ირგვლივ ვერ შემოკრიბა,
და თუ არ უსმენს პოეტთა ხმას, იგი უფიცი.

ბარბაროსია მარტოოდენ, ვინც უნდა იყოს.
იგი მე ვპოვე, ავირჩიე საკუთრად ჩემთვის,
და, ვით მსახურით საკუთარით, ვამაყობ კიდევ.
ტასოზე დიდი ამაგი მაქვს და ამიტომაც
არ ვისურვებდი მის დაკარგვას ასე იოლად.

ანტონიო

შეძრწუნებული ვარ, რადგანაც, იმ ამბის გამო,
რაც ახლა მოხდა, შენს წინ მაინც მიმიძღვის ბრალი.
მინდა ხელახლა ვალიარო შეცდომა ჩემი
და ვთხოვო მისი მოტყეება შენს მოწყალებას;
მაგრამ თუ ფიქრობ, რომ ვერ შევქელ შესაძლებელი,
რათა ტორკვატოს მეგობრულად შევირვიებოდი,
მაშინ დავრჩები, მბრძანებელო, მთლად უნუგეშოდ.
მოწყალე თვალთ შემომხედე, მითხარი რამე,
გონს რომ მოვიდე და საკუთარ თავს ისევ ვენდო.

აღფონსი

არა, დამშვიდდი ანტონიო, ნუ ღელავ ასე.
ვით შემიძლია ეს ამბავი შენ მოგაწერო;
ტასოს ხასიათს მე ხომ ვიცნობ ძალიან კარგად
და უფრო კარგად ვიცი ისიც, რაც გავაკეთე:
როგორ დავზოგე, შევიბრალე, ვით დავივიწყე
სუყველაფერი, რის მოთხოვნაც განსაკუთრებით
მისგან შემეძლო. ბევრ რამეს ფლობს ადამიანი,
ვერ იმორჩილებს მის სულს დრო და უბედურება.

ანტონიო

როცა ყველანი ერთისათვის ზრუნავენ ასე,
მაშინ იმ ერთსაც ხელს რა უშლის თავის თავს ჰკითხოს,
რა გავაკეთო, რომ დანარჩენთ მეც რამე ვარგო?
ვინც თავის სული ასე სრულქმნა და გაანათლა,
ვინც დაეუფლა უკვე ყოველ მეცნიერებას
და ყოველ ცოდნას, რის მიღწევაც ჩვენ შეგვიძლია,
ნუთუ ორმაგად ვალდებული არ არის იგი,
თავის თავს ჰფლობდეს? განა ფიქრობს ამაზე ტასო?

ა ლ ფ ო ნ ს ი

მშვიდად დარჩენა არასოდეს არ გვიწერია!
როცა განცხრომას მოვისურვებთ, მაშინვე მტერი
მოგვევლინება სიმამაცის გამოსაცდელად,
ან მეგობარი—მოთმინების შესამოწმებლად.

ან ტ ო ნ ი ო

ადამიანის ვალი არის უპირველესი,
რომ გონივრულად აირჩიოს სასმელ საჭმელი;
იგი ხომ ამით განსხვავდება მხეცებისაგან,
ბუნებისაგან განსაზღვრული ესოდენ მტკიცედ.
ასრულებს ამას? არა, როგორც პატარა ბავშვი,
იგი ყველაფერს ეტანება, რაც კი ტკბილია
და გემრიელი, დიდად მისდევს პირის გემოსა.
როდის იყო, რომ აზავებდა წყლით თავის ღვინოს?
ამო, ტკბილსა და მაგარ სასმელთ ერთურთზე ყლაპავს,
დარდს, მხურვალე სისხლს. შმაგ ხასიათს უჩივის მერე
და ამისათვის სასტიკად ჰგმობს ბედს და ბუნებას.
რა ღვარძლიანად, სულელურად კამათობს იგი
თავის ექიმთან,—რამდენჯერ არ მინახავს მე ეს,—
თითქმის პირდაპირ სასაცილოდ, თუ შეიძლება
დაეცინოთ იმას, რაც კაცს სტანჯავს, აწამებს სხეებსაც.
„ეს მტკივა“, - იტყვის შეშინებით, ნაწყენი დიდად,
„და რაკი თქვენი ხელოვნებით ასე თავს იქებთ,
გამაჯანსაღეთ!“—ექიმი კი მიუგებს: „კარგი!
ამას და ამას მოერიდეთ!“—„არ შემიძლია“.—
„რაკი ასეა, ეს წამალი დალიეთ მარცხ“.—
„ო, არა, არა, მეზიზღება, გულს მირევს იგი!“—
„წყალი მიირთვით!“—„წყალი? არა, ოჰ, არასოდეს,
ვით ცოფიან ძაღლს, არ ძალმიძს მე დალევა წყლისა!“—
„მაშ ვერ გიშველით, ვერ მოგარჩენთ“.—„მერედა, რატომ?—
„ერთ სნეულებას ხშირად ერთვის სხვა სნეულება
და, თუ ისინი ვერ მოგვკლავენ, რაც ხანი გავა,
უფრო და უფრო გაგტანჯავენ.“—„მშვენიერია!
რის ექიმი ხართ? რაკი იცით, რითაც ვარ ავად,
უნდა იცოდეთ განკურნების საშუალებაც,
წამალიც უნდა გემრიელი გამომიწეროთ,

ხელახლა რომ არ გაეიტანჯო განკურნებისას“.
შენ გეცინება, მაგრამ, რაც ვთქვი, მართალი გახლავს.
ისი პირიდან ეს ალბათ შენც გაგიგონია!

ა ლ ფ ო ნ ს ი

ხეერჯერ მსმენია და კიდევაც ვუნდობდი ხოლმე.

ან ტ ო ნ ი ო

რაღა თქმა უნდა, რომ ცხოვრება წესგადასული,
შფოთით აღსავსე, მძიმე სიზმრებს გვიგზავნის მუდამ
და გვაიძულებს, რომ დღისითაც ვბოდავდეთ ცხადად.
გარდა სიზმრისა, რაა მისი ეჭვანობა?
სიდაც კი მიდის, ყველგან თავი ჰგონია მტრებით
გარეწოცული, მის ნიქს არვინ შეხედავს ისე.
გულში შური რომ არ აღეძრას, შურალძრულნი კი
მის მიმართ მტრობით აღიძვრიან, სდევნიან მკაცრად.
საჩივრებით ხომ მოგაბეზრა პირდაპირ თავი:
კლიტის გატეხვა, წერილების მოპარვა თითქოს,
ხანჯალი, შხამი! და რაღა არ მოუვა თავში!
შენ ხომ უბრძანე, ყველაფერი გაპოეძიათ,
და რა აღმოჩნდა? არაფერი ამისი მსგავსი.
მას რომელ პრინციან ძალუძს იგრძნოს უშიშრად თავი?
რომელ მეგობრის მკერდზე ჰპოვებს ის დამშვიდებას?
გგონია, იგრძნობს სიმშვიდეს და ბედნიერებას
ასეთი კაცი, ან სიხარულს მოელი მისგან?

ა ლ ფ ო ნ ს ი

რაც სთქვი, მართალი იქნებოდა ეგ მხოლოდ მაშინ,
რომ უახლოეს სარგებლობას ვეძებდი მასში!
თუმცა გარკვეულ სარგებლობას იმაში ვხედავ,—
მისგან პირდაპირს რომ არ ველი რაიმე ხერხს.
ყველას ერთგვარად როდი ძალუძს ჩვენ გვემსახუროს;
ვინცა სარგებლობს ბევრი რამით, თავისებურად
იყენებს ყველას და ის მართლაც მოგებულა.
თვით მედიჩები გვასწავლიდნენ ჩვენ ამას ხშირად
და რომის პაპიც სწორედ ამას გვიქადაგებდა.
რარბიგ მეფური მოთმინებით, რა შეწყნარებით,

რა გონივრულად იტანდნენ ეს ჭკვიანნი კაცნი ზოგიერთ დიდ ნიჭს, რომელიც მათ უბე მოწყალებას, ერთი შეხედვით, თითქოს არცკი საქიროებდა, მაგრამ ყოველთვის მიმართავდა მათს მფარველობას.

ანტონიო

ეგ ვინ არ იცის? თვით ცხოვრების გამოცდილება გვასწავლის, როგორ დაეფასოთ სიკეთე მისი. მან სრულიად ყრმამ შილწია ბევრ რამეს უკვე და ძალუძს დატკბეს საკმარისად ყველაფერ ამით. მაგრამ თვითონ რომ მოეხეცა ეს ყოველივე, რასაც მას ახლა სთავაზობენ ასე ხელგაშლით, მწანს, მამაცურად დასძაბავდა თავის ძალ-ღონეს, სიამოვნებას იგრძნობდა ის უფრო და უფრო. მან კი, ღარიბმა აზნაურმა, სასურველ მიზანს უკვე სავსებით მიიღწია, როდესაც პრინცმა აირჩია ის და თავისი მოწყალე ხელით გამოიყვანა საშინელი გასაჭირიდან, ნება უბოძა, სასახლეში ეცხოვრა მასთან. რაკი მას პრინცი აჯილდოებს ასეთი ნდობით, და სხვებზე მეტად თავის გვერდით სურს აამაღლოს, ომში, საქმეში თუ თათბირის, საუბრის დროსა, მაშინ, მე მგონი, თავმდაბალი ადამიანი უნდა შეიქნეს ბედნიერი და მადლიერი. ამასთან ერთად ტასოს აქვს სხვა ბედნიერებაც, რაც ჭაბუკისთვის წარმტაცია და მომხიბლავი: სამშობლო იცნობს და შეჰყურებს იმედის თვალთ. მერწმუნე, პრინცი, ტასოს ჟინს და უცნაურობას საფუძვლად უდევს სწორედ მისი ბედნიერება. ის ახლა მიდის,—ნება მიეც გარკვეულ დროით, რომ მან რომსა და ნეაპოლში, სადაც ისურვებს, ეძიოს, რასაც აქ ვერ ამჩნევს უკმაყოფილო, და რის პოვნასაც მარტოოდენ აქ შესძლებს ისევე!

ალფონსი

ჯერ ფერარისკენ დაბრუნებას ხომ არ აპირებს?

ანტონიო

არა, ის ბელრიგუარდოში დარჩება კიდევ რამდენიმე დღე, მეგობარ კაცს რომ დაავალოს გაგზავნა, გზაში რაც სჭირდება, იმ ნივთებისა.

ალფონსი

მოხარული ვარ მე ამ ამბის. ჩემი დაც წავა ახლავე თავის მეგობრითურთ და მე კი ცხენით გავემგზავრები, მათზე ადრე ვიქნები სახლში. შენ გამოგვყვები, როს მორჩები ტასოზე ზრუნვას, რაც საქიროა, დაავალე კარისკაცს ჩვენსას, რომ ტასომ შესძლოს დაყოვნება ამ ციხე-კოშკში, რამდენ დღესაც კი მოისურვებს, მანამდე, ვიდრე საქირო ნივთებს მეგობრები გაუმზადებენ და ვიდრე მე მას ბარათებს არ გამოვუგზავნი, რომს წასაღებად. იგი მოდის. წადი! მძვიდობით!

მეორე გამოცვლა

ალფონსი, ტასო.

ტასო (თავშეკავებით)

წყალობა, რასაც შენ ჩემდამი იჩენდი ხშირად, დღეს ჩემს წინ სრული ბრწყინვალეზით მოვლინებულა. უკვე შემინდე დიდსულოვნად, შენს სიახლოვეს განუსჯელად და თავხედურად რომ მოვიქეცი. მტერთანაც უკვე შემარიგე და ნება მომეც. რათა მცირე ხნით გავემგზავრო შენი ქვეყნიდან, და გსურს შემდეგშიც არ მომაკლო წყალობა შენი. გემშვიდობები, მბრძანებელო, აღსავსე ნდობით და ვიმედოვნებ, განვიკურნო უმოკლეს ხანში ყველაფრისაგან, რაც ახლა სულს მიწუხებს ასე.

ალფონსი

კეთილ მგზავრობას გისურვებ მე სულით და გულით და იმედი მაქვს, მხიარული, განკურნებული დაგვიბრუნდები მალე ისევ, მაშინ ორმაგად

დაგვაჯილდოვებ იმ ყოველი საათისათვის,
რომელსაც გვართმევ შენი წასვლით. მე შენ წერილებს
გაგატან რომში მეგობრებთან, ჩემს მახლობლებთან,
და მსურს, რომ ჩემს ხალხს დიდი ნდობით მოეპყრა ყველგან,
რადგან შორს მყოფსაც შენ ჩემად გთვლი, ჩემს საკუთრებად.

ტ ა ს ო

უხვად უბოძებ შენს წყალობას, მთავარო, იმ კაცს,
ვისაც უღირსად მიაჩნია თავისი თავი
და ვისაც ამ წუთს მადლობის თქმაც კი აღარ ძალუძს.
მადლობის ნაცვლად, მსურს მოგმართო მე ერთი თხოვნით!
ჩემი პოემა უმეტესად კვლავ გულზე მაწევს.
თუმც ბევრი რამე გავაკეთე, არ დამიზოგავს
ჩემი ძალა და სიბეჯითე, მაგრამ მე მაინც
უფრო ბევრი რამ დამრჩა კიდევ გასაკეთები.
მინდოდა იქ, სად განთქმულ კაცთა სული ტრიალებს,
ტრიალებს მართლაც საქმიანად. იქ მსურდა სწორედ
შევსულიყავი მათ დიდებულ სკოლაში ისევ,
რომ ღირსეულად შესძლებოდა სიმღერას ჩემსას
შენი ნამდვილი მოწონების დამსახურება.
მამ დამიბრუნე ის ფურცლები, რომელიც მე შენ
ხელთ გადმოგეცი, მათი უკვე მრცხვენია ახლა.

ა ლ ფ ო ნ ს ი

დღესვე უკანვე თუ წამართმევ, რაც დღესლა მომეც?
უნდა დაგიდგე შუამავლად შენს პოემასთან,
ვით მეგობარმა, მსურს გირჩიო, გაფრთხილდი, ტასო,
არ შეურაცხყო მკაცრი შრომით ლალი ბუნება,
ახლა რომ სუნთქავს შენს რითმებში, შენს სტრიქონებში,
და ყურს ნუ უგდებ ყველა მხრიდან წარმოთქმულ რჩევას.
ათასნაირ აზრს, რომ გეტყვიან სხვადასხვა კაცნი,
რომლებიც ერთურთს არასდროს არ ეთანხმებიან
არც აზრებით და არც ცხოვრებით, მხოლოდ მგოსანი
აერთიანებს, და მას სულაც არ ეშინია,
ვაითუ ზოგს არ მოეწონოს ქმნილება მისი,
რადგან მით უფრო მოწონებას ჰპოვებს სხვებისას.
არ გეუბნები, რომ გულდასმით აქა-იქ კიდევ

არ მოგიხდება გასწორება შენი შრომისა.
პირობას გაძლევ, დაგიბრუნო გადაწერილი—
მეორე პირი პოემისა სულ მოკლე დროში.
შენს ხელნაწერს კი ვერ დაგიტომობ, დარჩება ჩემთან,
რომ დებთან ერთად წავიკითხო და გავიხარო.
თუ შენს პოემას დაგიბრუნებ უფრო სრულყოფილს,
ჩვენც უფრო მეტად გავიხარებთ და მიგიტოვებთ
მხოლოდ ზოგიერთ სუსტ ადგილზე, ვით მეგობრები.

ტ ა ს ო

ისევ დარცხვინით გიმეორებ ერთადერთ თხოვნას —
სასწრაფოდ მომეც ჩემი შრომის მეორე პირი!
გატაცებული ვარ მთლიანად ამ შრომით ახლა,
დაე მიიღოს სასურველი, სრულქმნილი სახე.

ა ლ ფ ო ნ ს ი

მომწონს მე შენი გატაცება, კეთილო ტასო!
მაგრამ გიჯობდა, თუ შეგეძლო, ჯერ დამტკბარიყავ
თავისუფალი ცხოვრებით, რომ მცირე ხნით მაინც
გაგერთო გული, შენი სისხლიც დამგვიდებოდა
და მაშინ სრული ჰარმონია აღდგენილ ძალთა
შთაგავგონებდა, რასაც ახლა ამაოდ ეძებ
უნდობლობაში, მარტოოდენ ბუნდოვან ექვში.

ტ ა ს ო

ეს ასე მოჩანს, მბრძანებელო. მე ჯანმრთელი ვარ.
როცა კი შევძლებ, მივეცემი მყის ბეჯით შრომას,
იგი უმაღლეს დამიბრუნებს ჩემს ჯანმრთელობას.
დიდი ხანია, რაც შენ მიცნობ, რარიგ არ მიყვარს
ლალი ცხოვრება, ფუფუნება. როს უქმად ვზივარ,
სულ ვერ ვისვენებ. სამწუხაროდ, ვგრძნობ, ჩემი სული
ბუნებისაგან განკუთვნილი არ არის მისთვის,
რომ ნათელ დღეთა მშვიდი ნავით გასცუროს ლალად
საუკუნეთა თვალუწვდენ ზღვის უსაზღვრო სივრცე.

ა ლ ფ ო ნ ს ი

რასაც შენ ფიქრობ და, რძსკენაც ყოველთვის ილტვი,
არავის უმხელ, ჩადირულხარ საკუთარ სულში.

ჩვენს ირგვლივ ბევრი უფსკრულია, მზაკვარი ბედის
ხელით გათხრილი, მაგრამ გულის უფსკრული უფრო
ღრმა არის ხოლმე, სიხარულით ვცვივდებით მასში.
გთხოვ, ჩემო ტასო, საკუთარ თავს სასწრაფოდ მოსწყდე,
დაე პოეტმა გზა დაუთმოს ადამიანსა.

ტასო

ამაოდ ვცდილობ შევაჩერო სწრაფვა სულისა,
ჩემს მკერდში მუდამ ხან დღე არის, ხან ბნელი ღამე.
როცა არ ძალმიძს ლექსთა შეთხზვა, ოცნება, ფიქრი,
ჩემი სიცოცხლე აღარ არის სიცოცხლე პაშინ.
შენ აბრეშუმის ქიას ნუთუ რთვას აუკრძალავ,
როცა ძაფს ახვევს და თან სიკვდილს უახლოვდება?
თავის გულიდან იღებს იგი ქსელს უძვირფასესს
მანამდე, ვიდრე კუქოში არ ჩაიკეტება.
ნეტავ ჩვენთვისაც ღმერთს მოეცა ამგვარი ბედი,
ბედი ქიისა, მართლაც ასე სახარბიელო,
რომ განახლებულ მხიან ველზე ფრთები სასწრაფოდ
და მხიარულად გაგვეშალა.

ალფონსი

მისმინე, ტასო,
შენ ხომ ასე ბევრს აჯილდოებ ქვეყნად სიცოცხლის
გაორკეცებულ ნეტარებით; გთხოვ, შენც ისწავლო
სიცოცხლის ფასი, რომლითაც ხარ ათგზის მდიდარი.
მშვიდობით, ტასო! იცოდე, რომ რაც უფრო მალე
დაგვიბრუნდება, მოხარულნი ვიქნებით დიდად.

მისაჩივრო

ტასო (მარტო)

სწორედ იქცევი, არ შეშინდე, გამაგრდი, გულო!
ძნელი იქნება შენთვის მეტად, ეს ხომ პირველი
შემთხვევა არის, რომ სტრუობ და თვალთმაქცობ ასე.
რაც ახლა შენ აქ მოისმინე, სულაც არ იყო
ალფონსის გრძნობა და სიტყვები. მე მომეჩვენა,
რომ ანტონიოს ხმას ვისმენდი ისევ და ისევ.

გაფრთხილდი, ტასო! ამ ხმას ახლა ყოველი მხრიდან
მოისმენ ხშირად. მტკიცედ, მაგრად დადექი მხოლოდ!
ერთი წამილა დაგრჩენია შენ სამოქმედოდ.
ვინც თვალთმაქცობას ცხოვრებაში გვიანლა სწავლობს,
ხალხის წინაშე წინასწარვე მართალი მოჩანს.
ოლონდაც კარგად გაიწაფე შენ ამ საქმეში,
ნუ გეშინია, ყველაფერი ჩაივლის კარგად.

(პაუზის შემდეგ)

აღრე ზეიმობ მეტისმეტად; ის აქეთ მოდის,
ტურფა პრინცესა მოდის ჩემსკენ! რა დამემართა!
ის აქეთ მოდის და ჩემს გულში წყენა და ეპვი
თითქოს მიწყნარდა, უხმო ნაღვლად გადაქცეული.

მეოთხე გამოცვლა

პრინცესა. ტასო. გამოსვლის დასასრულს დანარჩენნი.

პრინცესა

ახლავე ფიქრობ გამგზავრებას, თუ ჯერ დარჩები
აქ ჩვენთან კიდევ და შემდეგ გსურს დაგვეტოვო, ტასო?
იმედი მაქვს, რომ რომს მიდიხარ ცოტა ხნით ალბათ.

ტასო

პირველად იქ მსურს გავემგზავრო და, როგორც ვფიქრობ,
თუ მეგობრებმა ისე კარგად მიმიღეს, მაშინ
დიდი ცდითა და მოთმინებით, ასე მეგონია,
იქნებ როგორმე დავამთავრო პოემა ჩემი.
იქ ვნახავ მრავალ ადამიანს თავმოყრილს ერთად,
ყოველი დარგის მასწავლებელს რომ უწოდებენ.
განა მსოფლიოს სახელგანთქმულ პირველ ქალაქში
ყოველი ქვაკ'კი ხმამაღლა არ გკესაუბრება?
ათასეული უხმო, მუნჯი მასწავლებლები
გადმოგვეყურებენ და გვხიზლავენ დიდებულ სახით.
თუ იქაც ვეღარ დავასრულე პოემა ჩემი,
მის დასრულებას ვერასოდეს ვერ შევძლებ მაშინ.

ეჰ, სამწუხაროდ, ვგრძნობ, ჩემს არც ერთ გადადგმულ ნაბიჯს
ბედი არასდროს გაულიმებს, მე მხოლოდ შეცვლა
თუ შემოდოლა, სრულყოფა კი არ ძალმის მისი.
კარგად ვგრძნობ, დიდი ხელოვნება, რომელიც ყველა
კაცს ასაზრდოებს, ჯანსაღ სულებს განახლებული
ძალით რომ აესებს და ამავრებს, შეუბრალებლად
გამანადგურებს, სამუდამოდ განმდევნის თვისგან.
არა, რომში არ გავჩერდები, უფრო შორს წავალ.
ახლავე გავწევ ნეაპოლში!..

პ რ ი ნ ც ე ს ა

შენ ამას ბედავ?
ის განაჩენი ჯერაც ისევ ძალაში არის,
შენ და მამაშენს რომ გაცხადებს განდევნილებად.

ტ ა ს ო

შენ მართალი ხარ. მე ამაზე ვიფიქრე უკვე.
უბრალო კამზოლს გადავიცვამ პილიგრიმისას,
ან როგორც მწყემსი ვივლი მი იქ ველიდან ველად.
შევიბარები ქალაქშიაც, სად მოძრაობა
უამრავ ხალხის ერთს ადვილად დამალავს ხოლმე.
მდინარის ნაპირს მივაშურებ და იქ მაშინვე
ვიპოვნი ნავსა, ვნახავ კეთილ ადამიანებს,
დიდ ბაზრობაზე მოსულ გლეხებს, რომელნიც უკვე
შინ ბრუნდებიან, ჩემს მეზობელ სორენტოელებს,
რადგან მე უნდა გავეშურო სორენტოსკენაც.
ჩემი და ცხოვრობს იმ ქალაქში, ის ჩემთან ერთად
იყო ნუგეში მშობლებისა მწუხარების უამს.
გზაში ხმასაც არ ამოვიღებ, მე ხმელეთზედაც
უხმოდ გადავალ და ნაცნობ გზას ავყვები ზევით.
შევდგები ყოველ ქიშკართან და ვიკითხავ ასე:
„ვერ მიმასწავლით, სადა ცხოვრობს აქ კორნელია?“
„თქვენ კორნელია სერზალესა კითხულობთ?“ — მკითხავს
მრთველი ქალი მე, სიხარულით მიჩვენებს ქუჩას
და ჩემი დის სახლს დამანახევებს. კვლავ ზევით გავწევ.
აქეთ-იქიდან გამოიბიან ბავშვები ჩემსკენ,
ვიღაც საწყალი უცნობისკენ, და შესცქერაინ

ჩემს გაჩეჩილ თმას. აი, ვდგევარ მე უკვე ზღურბლთან,
ქარი ღიაა და პირდაპირ შევდივარ სახლში...

პ რ ი ნ ც ე ს ა

გონს მოდი, ტასო, თუკი არის შესაძლებელი!
შეიცან საფრთხე, რომლისკენაც მიჰქრებიარ ასე.
ვერ გავიმეტებ, თორემ ახლა გეტყოდი მე შენ:
ნუთუ შეჭფერის კეთილშობილს ეგრე მსჯელობა?
ვით გეკადრება, რომ შენს თავზე იფიქრო მხოლოდ
და მეგობრებს კი აწყენინო, ატკინო გული?
ნუთუ არ იცი, თუ რას ფიქრობს შენზე ჩემი ძმა
და ორივე და შენს ნიჰს რარიგ დიდად ვაფასებთ?
განა ვერ იგრძენ ეს აქამდე, ველარ შეიტყვე?
ნუთუ ერთ წამში ყველაფერი გამოიცვალა?
ძვირფასო ტასო, თუკი წასვლა გინდა ნამდვილად,
ჩვენ რაღას გვერჩი, შფოთს და ნალევს რატომ გვიტოვებ?
(ტასო ზურგს შეაქცევს.)

რა სანუგეშო არის ჩვენთვის. როცა მეგობარს,
ვისაც მოკლე ხნით გამგზავრება აქვს განზრახული,
მცირე საჩუქარს გავუზადებთ: იარაღი რამ
იქნება ეს თუ მოსასხამი ახალთახალი!
შენ კი ვერაფერს მოგცემს კაცი, რადგანაც მწყრალოდ
ხელს ჰკრავ, შორს ისერი იმასაც კი, რაც გაგაჩნია.
აგირჩევია გრძელი კვერთხი პილიგრიმისა,
შავი კიტელი და ზურგჩანთა, შენივე ნებით
გსურს გლახასავით ხეტიალი, — იმასაც გვართმევ,
რითაც შეგეძლო დამტკბარიყავ შენ ჩვენთან მხოლოდ.

ტ ა ს ო

მაშ შენ მთლიანად არ უარყოფ, მთლად არ მკრავ ხელსა?
ო, ტკბილო სიტყვაე, ო, ძვირფასო ნუგეშისცემავ!
დამითარე მე, შენს კალთის ქვეშ მომეცი ბინა! —
დამტოვე ბელრიგუარდოში. თუგინდ გამგზავნე
კონსოლდონისკენ. ყველგან, ყველგან, სადაც კი გნებავს!
აღფონსს ხომ ბევრი ციხე-კოშკი აქვს მშვენიერი,
მრავალი ბაღი, მთელი წლობით რომ გელოდებათ
და თქვენ კი წელში ერთხელ მიხვალთ, ერთი დღით მხოლოდ,

მაშინაც იქნებ მარტოოდენ ერთი საათით.
დიახ, ერთი იმ ბალთაგანი ამირჩიეთ მე,
განცალკევებით, შორს მდებარე, სად მთელი წელი
ისე გაივლის, რომ არავინ არ ესტუმრებით,
და ახლაც იქნებ არის სულმთლად დავიწყებული.
იქ გამგზავნეთ მე, ნება დამართე, შენ გეკუთვნოდე.
რარვ მსურს, რომ იქ შენს ხეებზე ვიზრუნო მხოლოდ.
შემოდგომობით შენს ლიმონებს ჭილოფში შევხვევ
და ზემოდან კი დავახურავ ხის ქერქს და კრამიტს,
ზამთრის სასტიკი ყინვისაგან რომ დავიფარო.
დე მშვენიერმა ყვავილებმა კოხტა მწკრივებში
ფესვი გაიდგან, გაიხარონ. ყველა ბილიკი,
ყოველი კუთხე დაე სუჟთა, ლამაზი იყოს.
ნება მიბოძე, ვიზრუნო მე სასახლეზედაც!
ფანჯრებს დავაღებ თავის დროზე და გავწმენდ ჰაერს,
რომ სინესტისგან სურათები არ დაზიანდეს;
ბათქაშით კოხტად დამშვენიებულ სასახლის კედლებს
ყოველდღე ნაზი მარაოთი მტვერს ჩამოვაცილი.
ქვის იატაკსაც სულ პრიალი უნდა გაჰქონდეს.
არ უნდა იქნეს არც ერთი ქვა გამრუდებული,
რომ ნაპრალიდან არ ამოყოს ბალახმა თავი.

პ რ ი ნ ც ე ს ა

ველარ მიმხედარა ჩემი გული, რაღა ირჩიოს,
ვერც თუ ნუგეში მიპოვნია შენთვის და... ჩვენთვის
და აქეთ-იქით ვიცქირები, ხომ არ ისურვებს
ჩვენს შველას ღმერთი რომელიმე? იქნებ სასმელი
ანდა ბალახი სამკურნალო აღმომიჩინოს,—
შენც დავამშვიდოს, მოგვიტანოს სიმშვიდე ჩვენაც.
გულწოფელი სიტყვა, ბაგეთაგან გადმოფრქვეული,
ველარ მოქმედებს, განკურნების არ შესწევს ძალა.
უნდა დაგტოვო, მაგრამ ჩემს გულს არ შეუქლია,
რომ მიგატოვოს.

ტ ა ს ო

ოჰ, ღმერთებო, ნუთუ ის არის,
ახლა რომ შენთან ლაპარაკობს და ებრალები?

ნუთუ ვერ იცან გული ასე კეთილშობილი?
ეს როგორ მოხდა. რომ შენ მისი თანადასწრებით
სულმოკლეობამ შეგიპყრო და დავიმორჩილა?
არა, ეს შენ ხარ და ახლა მეც ჩენს თავს ვეკუთვნი.
განაგრძე ისევ. მომასმინე მაგ ბაგეთაგან
სიტყვები, ჩემად სანუგეზოდ გადმოფრქვეული.
მითხარ, მირჩიე: რა ვიღონო, რა გავაკეთო?
რომ მამატიოს მე შენმა ძმამ დანაშაული,
რომ თვითონ შენაც მომიტევეო და სიხარულით
კვლავ თქვენს მახლობლად მიმიჩნითო. მითხარი ერთი!

პ რ ი ნ ც ე ს ა

სულ ცოტა რამეს, ძალზე მცირეს მოვითხოვთ შენგან,
და მაინც მოჩანს, სამწუხაროდ, ის ერთობ ბევრი.
შენ უნდა მხოლოდ მეგობრულად, გულწოფულად გვენდო,
სულაც არ ვითხოვთ, შეიცვალო ბუნება შენი,
ოღონდაც იყო კმაყოფილი შენივე თავით:
როცა შენ ხარობ, ჩვენც სიხარულს გვანიჭებ ამით
და როცა შენ მას გაუზიხარ, გვალონებ ჩვენცა.
როს გვაკარგვინებ ჰომინებას, გვხდი აუტანელს,
ესაც იმიტომ ხდება მხოლოდ, — გესურს შენი შველა
და, სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ ეს არ შეიძლება,
რადკან თვითონვე უკუაგდებ მეგობრის ხელსა,
აღერსითა და თანაგრძნობით გამოწვდილს შენსკენ.

ტ ა ს ო

შენ ისევ ის ხარ — ანგელოზი, წმინდანი ზეცის,
სულ პირველად რომ გამოხველი ჩემს შესახვედრად!
ო, მიუტევე შენ მოკვდავის დაბინდულ მზერას,
თუკი მან წამსვე ვერ შეგიცნო, ვერ დაგვაფასა!
იგი კვლავ გიცნობს. ჩემი სული მზად არის ახლა,
რომ სამუდამოდ მარტოოდენ შენ შეგიყვაროს!
რაზიგ სინაზით ავსებულა აწ ჩემი გული!
ო, ეს რა გრძნობა დამეუფლა! იგი დგას ჩემს წინ.
ეს სიშმაგვა, შენსკენ ასე რომ მეზიდება,
უგუნურება თუ ნამდვილად დიადი ახრი,
მე ი. ვ. გოფე

წმინდა სიმართლის შეპყრობას რომ პირველად ცდილობს?
დიახ, გრძნობაა ეს ნამდვილი, მხოლოდ მას ძალუძს
გადამარჩინოს, მომანიჭოს ბედნიერება,
ისევე, როგორც უბედური გამხდა დიდად,
როცა მას ასე წინ აღუდგა და მოვიდომე
ამომეშანთა ამ გულიდან. ვფიქრობდი, მასზე
გავიმარჯვებდი და ვებრძოდი, ვებრძოდი მუდამ
მთელი არსებით, თავხედურად ვამსხვრედი თვითონ
არსებას ჩემსას, რომელსაც შენ ეკუთვნი სულ მთლად...

პ რ ი ნ ც ე ს ა

თუ კიდევ უნდა მოგისმინო, ძვირფასო ტასო,
დააცხრე გულის მგზნებარება, მაშინებს მე ის.

ტ ა ს ო

ვით დაიკავებს თასი ღვინოს, როდესაც იგი
ქაფმორეული დულს, თუხთუხებს, გადმოდის ნაპირთ,
ყოველი სიტყვით ამალღებ ჩემ ბედნიერებას.
თანდათან ნათლად ბრწყინვალეებენ თვალები შენი.
ვგრძნობ, რომ ნამდვილად შევიცვალე მთელი არსებით,
ვგრძნობ, უკვე თავი დავაღწიე ყოველგვარ ტანჯვას,
თავისუფალი ვარ ღმერთივით და შენ გიმადლი
ყველაფერს იმას, შენ გიმადლი, ძვირფასო ჩემო.
გამოუთქმელი ძალა ჩემს სულს დაუფლებია,
მაგ ბაგეთაგან რომ იფრქვევა; დიახ, მთლიანად
შენს კუთვნილებად გაგიხდივარ. ამიერიდან
საკუთარ „მე“-დან არ მეკუთვნის აღარაფერი.
ქაშა მერყევა, ღამისაა მუხლთ მომეკეცოს,
დაუძლეველი, შმაგი ვნება მიტაცებს შენსკენ,
შენსკენ მოიწევს ჩემი გული შეუჩერებლად.
შენ სამუდამოდ მიმიკუთვნე, დამიმორჩილე,
აჰა მიიღე მაშ მთლიანად ჩემი არსება!

(ხელს მოხვევს და მაჯრად ჩაიკრავს გულში.)

პ რ ი ნ ც ე ს ა (ხელსა ჰკრავს და გარბის.)

იქით!

ლ ე ო ნ ო რ ა

(რომელიც რამდენიმე ხნით ამაზე ადრე სცენის სიღრმეში გამოჩნდა, მოირბენს.)
რა მოხდა? ტასო! ტასო! (მისდევს პრინცესას.)

ტ ა ს ო (დააპირებს უკან გაჰყვის მათ.)
ოჰ, ღმერთო ჩემო!

ა ლ ფ ო ნ ს ი

(რომელიც უკვე ანტონიოსთან ერთად აქვთ მოდიოდა.)
იგი კეჟიდან შეიშალა, შეიპყრეთ სწრაფად! (გადის.)

მ ე ხ უ თ ე გ ა მ ო ს ვ ლ ა

ტ ა ს ო. ა ნ ტ ო ნ ი ო.

ა ნ ტ ო ნ ი ო

აქ რომ მდგარიყო ახლა შენი იმ მტერთაგანი,
როგორც გგონია, რომლებითაც ხარ სუყოველთვის
გარშემორტყმული, რარიგ ძლიერ იზეიპებდა!
ო, უბედურო! ღამისაა გონს ვერ მოვეგო!
როცა მთლად რაღაც მოულოდნელს შევხვდებით ხოლმე,
როს ჩვენი მხერა უჩვეულო რაღაცას ნახავს,
დგას ერთი წუთით ჩვენი სული დამუნჯებული
და ამის მსგავსი ვერაფერი ვერ მოგვინახავს.

ტ ა ს ო (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ)

მაშ აღასრულე შენი ვალი. ვხედავ, ეს შენ ხარ!
დიახ, ნამდვილად იმსახურებ ალფონსის ნდობას!
ჰო, აღასრულე შენი ვალი, მაწამე. მტანჯე,
მტანჯე ნელ-ნელა, რაკი ასე მაქვს მე მოსჯილი,
ვიღრე მომაკვდენ. მაშ მოსწიე, მოსწიე ისარს,
რომ მისი შხამის საშინელი სიმწკავე ვიგრძნო
და გამიფლითოს გული მაშინვე!
შენ საიმედო იარაღი ხარ ტირანისა,
ფყავი მისი ციხის მცველიც, ჯალათი მისი!
რარიგ შეგფერის შენ ორივე, გიხდება ძალზე! (სცენის იქით)
მოდი, ტირანო, გამოცხადდი და იზეიმე,
რაკი ბოლომდე ვერ შესძელი, რომ გეთვალთმაქცა.
კარგად შებოჭე შენი მონა, უფრთხილდებოდი,
წინასწარ შეთხზულ წამებისთვის რომ წარგედგინა.
გასწი! შენ მძულხარ, მეზიზღები, ვით მოძალადე,
რადგან იქცევი თავხედურად და უკანონოდ. (პაუზის შემდეგ)

მაშ ასე, ჩემს თავს საბოლოოდ მე უკვე ვხედავ
განღვენილსა და უარყოფილს, ვით მათხოვარი.
მიტომ შემამკეს მე გვირგვინით, რომ მივეყვანე
საკურთხეველის წინ, ვითაარცა სამსხვერპლო კრავი.
ცბიერი სიტყვით დამტყუეს მათ პოემა ჩემი—
ჩემი ქონება ერთადერთი. ჩაბლუჯეს მაგრად!
აწ თქვენს ხელთაა ერთადერთი საუნჯე ჩემი,
რომელიც ყველგან მიწვილიდა, გზას გამიხსნიდა,
გადამარჩენდა შიმშილისგან მე მხოლოდ იგი!
ახლა კი ვხედავ, რატომ მმართვეს მე უქმად ყოფნა.
შეთქმულებაა, შენ ხარ ამის ავანჩავეანი.
გსურთ, არ მიიღოს ჩემმა შრომამ სრულქმნილი სახე,
რომ არ გავრცელდეს უფრო მეტად ჩემი სახელი,
რომ ჰპოვონ მასში ჩემმა მტრებმა ათასი ნაკლი,
რომ საბოლოოდ დამიეიწყოს ყველამ სრულებით,—
აი, რისათვის მირჩევენ მე უქმად ცხოვრებას
და რისთვის უნდა გავუფრთხილდე ჩემს ჯანმრთელობას.
აი, ძვირფასი მეგობრობა და მზრუნველობა!
ყოვლად საზიზღრად მიმაჩნდა მე ეს შეთქმულება,
ჩემს გარშემო რომ საიდუმლოდ იხლართებოდა,
მაგრამ ის უფრო საზიზღარი ყოფილა თურმე.
და შენც, სირენა შენც. რომელიც ციურ სინაზით
მზიზღავდი ძლიერ, დაგინახე ახლა რაცა ხარ.
მერედა, ასე გვიან რისთვის, ოჰ, ღმერთო ჩემო!
მაგრამ ჩვენ გვიყვარს მოტყუება საკუთარ თავის,
პატრეს ვცემთ უგვანთ, რომელნიც ჩვენც პატრესა გვემენ.
აღამიანებს ერთმანეთი არ ძალუძთ იცნონ,
ეს მარტოოდენ შეუძლიათ გალერის მონებს,
სულს რომ ლაფავენ მიჯაჭვულნი ერთ ვიწრო სკამზე,
სადაც ვერაფერს ვერვინ მოგთხოვს და წასართმევიც
არავისა აქვს, იქ იცნობენ ერთმანეთს მხოლოდ;
სადაც თავის თავს თაღლითად სთელის ყოველი კაცი
და დანარჩენნიც თაღლითები ჰგონია ხოლმე.
მაგრამ ჩვენ ხშირად სხვებს არ ვიცნობთ მხოლოდ იმიტომ,
რომ არც მათ ვიცნონ—ორივე მხარე ვიქცევით ზრდილად.
ო, რარიგ დიდხანს ფარავდა ეგ ციური სახე
ფუქსავატ კეკლუსს. ძირს დაეცა ნილაბი უკვე,
მთლად გაქრა შენი ჯადოსნუი მომხიბვლელობა

და შენში ახლა მარტოოდენ არმიდას ვხედავ!
ჩემმა სიმღერამ, ვინც იყავი, წინასწარ იგრძნო!
და ლეონორა, ეს ცბიერი შეამაველი!
ო, რარიგ ძლიერ დაიმცირა მან ჩემს წინ თავი!
მე მისი ფრთხილი ნაბიჯის ხმა ახლაც კი მესმის,
მივხვდი, გავიგე, რა მიზანიც ჰქონია თურმე.
თქვენ ყველას გიცნობთ. კმარა, კმარა ეს უკვე ჩემთვის!
დაე წაძართვას ყველაფერი უბედურებამ,
არ შენაღვლება, ის სიმართლეს მასწავლის მაინც!

ანტონიო

გაოცებული გისმენ, ტასო, თუმც კარგად ვიცი,
დაუდგრომელი შენი სული რარიგ ადვილად
აწყდება ხოლმე აქეთ-იქით, სხვადასხვა მხარეს.
გონს მოდი, გულში დაბოკე ეგ შმაგი რისხვა.
იუგი სიტყვით იხსენიებ შენ ახლა ყველას,
რაც შეიძლება ეპატიოს შენს დარდს და ნაღველს,
მაგრამ ვით ძალგამს აპატიო ეს შენს თავს თვითონ?

ტასო

ო, ნუ საუბრობ ჩემთან ახლა მაგ მშვიდი ენით,
არ მინდა შენგან გავიგონო სიტყვები ბრძნული!
დამიტოვე ეს ბუნდოვანი ბედნიერება,
რომ გონს მოსვლის დროს მთლიანად არ გადავცდე ჰკვიდან.
სულით ხორცამდე მომლილი ვარ, კარგად ვგრძნობ უკვე,
და ვცოცხლობ მხოლოდ იმისთვის, რომ ეს მუდამ ვიგრძნო.
მთელი სიშმაგით შევუპყრივარ სასოწარკვეთას
და ჯოჯოხეთურ წამების დროს, რომელიც ასე
მსპობს, მანადგურებს, ბოლოს მიღებს მე სამუდამოდ,
ჩემი ძაგება უძლურ კენესად გაისმის მხოლოდ.
მსურს, შორს გავიქრე! თუ ხარ მართლა პატიოსანი,
აწ დამიმტკიცე, დამეზმარე, რომ გავემგზავრო!

ანტონიო

ასე უბედურს, დამწუხრებულს ვერ მიგატოვებ.
თუ შენ მხნეობა აღარ გყოფნის, თავს დაეუფლო,
მე მოთმინება ოღნავადაც არ დამლევი.

ტასო

მაშ უნდა ახლა ტყვედ დაგნებდე აუცილებლად?
 კარგი, გნებდები, ეს ხომ ასე გინდოდა კიდეც.
 ასე სჯობია, არ გიხდება წინააღმდეგი.
 მაშ ნება მომეც, ჩემს თავს ვუთხრა გულისტკივილით:
 ლამაზი იყო, მშვენიერი, რაც დამეკარგა.
 ისინი უკვე გაემგზავრნენ!.. ოჰ, ღმერთო ჩემო!
 ვხედავ, იქ უკვე მათ ეტლთაგან დამდგარა მტვერი,
 წინ კი მხედრები მიუძღვიან... მიჰქრიან იქით,
 თვალს მიეფარენ! იქიდან არ მოვედი მეცა?
 დამტოვეს უკვე, ჩემზე დიდად განრისხებულან.
 ნეტავ პრინცესას ერთხელ კიდევ ვმთხვეოდი ხელზე,
 ნეტავ წასვლისას შემძლებოდა დამშვიდობება,
 რომ ერთხელ კიდევ მეთქვა მისთვის: „ო, მომიტევეთ!“
 და ერთხელ კიდევ მომესმინა მის ბაგეთაგან:
 „წადი, ტორკვატო, მოგიტევე სუყველაფერი!“
 მაგრამ მე ამას ვერასოდეს ველარ მოვისმენ.
 მეც ხომ წასვლა მსურს. ნება დამართეთ, გამოგეთხოვოთ,
 დაგემშვიდობოთ! ო, მიბოძეთ, მიბოძეთ ნება,
 რომ ერთი წუთით, ერთი წუთით გრხილოთ ისევ,
 და შეიძლება განვიკურნო კიდევაც მაშინ.
 არა, ვარ უკვე განდევნილი, უარყოფილი:
 თვითონ ვავღევე ჩემი თავი. აღარ მოვისმენ
 მე ამ ხმას უკვე, ამ მზერასაც აღარ შევხვდები.

ანტონიო

დე გაგამხნეოს, ჩაგაგონოს ხმამ ვაჟკაცისამ,
 შენს გვერდით რომ დგას, სიბრალულთ გრძნობააშლილი!
 არა ხარ ასე უბედური, როგორც გგონია,
 გამხნევედი, ტასო, სულთ ასე ნუ დაეცემი.

ტასო

ნუთუ მე ისე ბედშავი ვარ, როგორც მგონია?
 ისე სუსტი ვარ, როგორც ახლა შენ გეჩვენები?
 უკვე დავკარგე ყველაფერი? ნუთუ ტკივილიმ,
 როგორც მიწის ძვრამ, დაანგრია მთელი შენობა

და მტვრის და ნაგვის უზარმაზარ გროვად აქცია?
 ნუთუ მე ნიჭი აღარ შემრჩა არაფითარი,
 რომ გავერთო და დაეწყებას მივცე ყოველი?
 მაშ გაქრა ძალა ყოველგვარი, რომელსაც წინათ
 გრძნობდა ეს გული? ნუთუ მართლა არაფერი ვარ,
 მთლად არაფერი?
 არა, გათავდა ყველაფერი! ამიერიდან
 არარაობას წარმოვადგენ, დავკარგე იგი
 და ამის გამო ჩემი თავიც დავკარგე უკვე.

ანტონიო

თუ შენ ნამდვილად დაკარგული გგონია თავი,
 სხვებს შეადარე და ამითი შეიცან იგი.

ტასო

ღიახ, მარჯვე დროს გამახსენე ეს, ანტონიო!..
 ნუთუ ვერ მიხსნის მაგალითი ისტორიისა?
 ნუთუ არ ძალმიძს გავიხსენო კეთილშობილი
 ვაჟკაცი, ვინაც ჩემზე მეტად იტანჯებოდა,
 და ჩემი ტანჯვა, ჩემი ბედი მას შევადარო?
 არა, წარვიდა ყველაფერი!.. ერთილა დარჩა:
 ცრემლი, რომელიც მოგვანიჭა დედა ბუნებამ,
 და მწარე კვნესა, როცა კაცი ბოლოს და ბოლოს
 ვერ იტანს ხოლმე განუზომელ ტანჯვა წამებას.
 მე კი დამირთო ყოველივე ამაზე ზევით:
 უნარი მწველი სიმღერისა და სიტყვის ძალა,
 რომ დავიტერო მთელი ჩემი უბედურება, —
 როცა ტანჯვის დროს სხვა დუმს ხოლმე, მაღალმა ღმერთმა
 ნიჭი მიბოძა, ხმახალლა ვთქვა წამება ჩემი.

(ანტონიო მივა მასთან და ხელს გაუყრის.)

ღირსო ვაჟკაცი, დგეხარ მტკიცე, შეურყეველი,
 მე კი ტალღა ვარ ქარიშხლისგან აგორებული.
 მაგრამ სიმტკიცით, შენი ძალით ნუ მოგაქვს თავი.
 მძლავრმა ბუნებამ. რომელმაც ეს კლდეები შექმნა,
 ტალღას უბოძა მოძრაობა მარადიული;
 როს ის ქარიშხალს გამოგზავნის, ტალღაც მაშინვე

რბის, იქორება და იმსხრევა ქათად ქცეული.
ისახებოდა ამ ტალღაში დიდებული მზე
და მის ნაზ მკერდზე ისვენებდნენ ვარსკვლავნი ცისა,
როდესაც თრთოდა იგი ნაზად და დამძვიდებოთ.
მაგრამ გაქრა ის ბრწყინვალება, სიმშვიდეც გაქრა,
თავს ველარა ვცნობ ამ საფრთხეში მთლად ჩაძირული
და არც მრცხვენია, რომ საკუთარ თავს გამოვეუტყდე.
დაიმსხვრა საქე, იბზარება, ტკრციალებს გემი
და იატაკი ქახაქუხით მეცლება ფეხქვეშ.
შეშფოთებული შენ გეხვევი ორივე ხელით.
მენავეც ასე, ბოლოს იმ კლდეს ებლაუქება,
სადაც ელოდა მას დაღუპვა, განადგურება.

